

F 412
1956




ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროშა


№ 6 ივნისი 1956



ჩანახატები ალ. ბანძულაძისა.




გუმათჰესის მაღალი ძაბვის
გადამცემი.



ბეტონის ქარხნის ცენტრალური კორპუსი.

სკკ-ის XX ყრილობის დირექტივებში გათვალისწინებულია ახალი მძლავრი ენერგეტიკული ბაზის შექმნა ჩვენს რესპუბლიკაში. გუმათჰესი მეექვსე ხუთწლეულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია საქართველოში. ამას წინათ ამუშავდა გუმათჰესი II-ის პირველი აგრეგატი. მალე დანარჩენი ორი აგრეგატიც გადაეცემა საექსპლოატაციოდ. გუმათჰესის მშენებელთა კოლექტივმა მდიდარი გამოცდილება დააგროვა და ამჟამად სერიოზულ შედეგებს მიაღწია სამშენებლო სამუშაოების თანამედროვე მეთოდების ათვისებაში.

გუმათჰესის კაშხალი.



ჩინელი ხუან ძიუნ-მინი საწარმოო პრაქტიკას ღებულობს გუმათჰესის მშენებლობაზე.

საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალ-სამხარული



6928

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 2 ივნისს მოსკოვს ჩამოვიდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხანაგი იოსიპ ბროზ ტიტო იუგოსლავიის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეების თანხლებით.

სურათზე: იუგოსლაველი სტუმრები სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე. ავტომობილში სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ) — ნ. ს. ხრუშჩოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ი. ბროზ ტიტო და მისი მეუღლე.

ფოტო ვ. სავოსტიანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ჩვენი დიადი სამშობლოს ახალგაზრდობა მსურველედ გამოენმაურა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას.

ფოტოზე: ახალგაზრდა პატრიოტებმა — ორჯონიკიძის სახელობის თბილისის მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშებმა გამოთქვეს სურვილი გემგზავრონ სამუშაოდ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებში (მარცხნიდან მარჯვნივ): ზეინკალი ლ. სააკიანი, ხარატი ო. ხეჩიაშვილი და ზეინკლები შ. მაკიევი, ი. პერკოვი, ე. კისელიოვა.



ფოტო ვ. აკერძისა
საქართველო
საბჭოთა კავშირი

ქუთაისის ავტოქარხანა გეგმს ხუთწლიანი

3. სკალსონი

მეექვსე ხუთწლიური დიდი პერსპექტივები ისახება ქუთაისის ავტომშენებელთა წინაშე. წელსვე ქარხნის საერთო პროდუქციის გამოშვება, 1955 წელთან შედარებით, 64,4 პროცენტით გაიზარდება, მეექვსე ხუთწლიური უკანასკნელ წელს კი — 6-ჯერ მეტად. 1960 წელს თავის საპროექტო სიმძლავრეს ქარხანა 30,2 პროცენტით გადაჭარბებს.


ქარხანაში შეიქმნება ახალი მაღალი წარმადობის მქონე ბუქსირები. დაპროექტდება და დაშვდება ახალი მანქანები—ხორბლის, ჩაის მწვანე ფოთლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადასაზიდად.

მეექვსე ხუთწლიურ ქარხნის ბირველ საჩამომსხმელო კონვეიერზე შეიქმნება ზუსტი ჩამოსხმის განყოფილება. რაც, დაახლოებით, 15 ათასი ტონით გაზრდის ჩამოსხმის რაოდენობას წელიწადში. მეორე საჩამომსხმელო აგრეგატზე ეწყობა ავტომატური დანადგარები. სამჭიდლო საამქროში დგამენ 27 სახის მოწყობილობას, რაც მკვეთრად გაზრდის საამქროს წარმადობას.

მთელი რიგი ტექნიკური სიახლე განხორციელდება მოტორებისა და შახების საამქროებში. მნიშვნელოვანი თანხა განსაზღვრული ავტომშენებელთა მატერიალური და კულტურული კეთილმოწყობის გასაუმჯობესებლად. საცხოვრებელ სახლებს გარდა, აშენდება ორი სანატორიუმი, კულტურის სასახლე, კინოთეატრი, სტადიონი, საცურაო აუზი. კიდევ უფრო გამშვენდება ავტოქარხნის ქალაქის ქუჩები. დიდი სამუშაოებით აღდგურებული ავტოქარხნელები ყოველდღე აფარ-

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კომკავშირელი ხარატი ვაჟა გოგსაძე ყოველდღიურ გეგმას ასრულებს 250-270%-ით.

ფოტო რ. ლუცენკო ს ი



თობენ სოციალისტურ შეჯიბრებას მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე ადრე შესასრულებლად. ამ შეჯიბრების დამახასიათებელი ნიშანია სულ უფრო და უფრო მზარდი მეგობრობა ქუთაისის ავტოქარხნისა და მოქმედებულნი ავტომშენებელთა კოლექტივებს შორის, თანამეგობრობის საუკეთესო მაგალითი გვიჩვენებს მოსკოვის ავტოქარხნელებმა, რომელთა დახმარებითაც ქუთაისის ქარხანაში წარმატებით აითვისეს ცილინდრის ბლოკების ჩამოსხმა. ამ საპასუხისმგებლო დეტალის სერიული გამოშვებაც მალე მოგვარდება.

განთქმულ ნოვატორს, ავტოქარხნის სამტამბო-მექანიკური საამქროს ჩქაროსან ხარატს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ანატოლ ავაპოვს, რომელმაც გასული ხუთწლიური განმავლობაში 20 წლის ნორმა შეასრულა, საწარმოო შეჯიბრება აქვს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატთან, სკკპ-ის XX ყრილობის დელეგატთან — ილია ქუმბურიძესთან. ერთ-ერთ თავის წერილში ილია შემოქმედებით გეგმებს უზიარებს ქუთაისელ მეგობარს და ვალდებულებას კისრულობს მეექვსე ხუთწლიურ ყოველდღიური გეგმა 300 პროცენტით შესასრულოს. საპასუხო წერილში ანატოლ ავაპოვი, თავის მხრივ, კისრულობს 18 წლის ნორმის შესრულებას მეექვსე ხუთწლიური განმავლობაში. ანატოლი არ კმაყოფილდება პირადი მიღწევებით, იგი არა მარტო ავტომშენებლებს, ქალაქის მანქანათმშენებლებსაც უზარებს თავის გამოცდილებას და საამქროში მოწინავე გამოცდილების სკოლის ჩამოყალიბებას აპირებს. ამას წინათ ჟურნალ „ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობაში“ გამოქვეყნდა ნარკვევი ნოვატორის მუშაობის შედეგად შესახებ.

წელს ქუთაისის ავტოქარხანას ურადის ავტომშენებელთა დელეგაცია ეწყვიდა. მათი წინადადებით დაიდო სოკ-შეჯიბრების ხელშეკრულება მეექვსე ხუთწლიური ვადამდე ადრე შესრულების შესახებ. ურადელებთან შეხვედრამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ხალხთა მეგობრობის დიად ძალას და ახალი შრომითი აღმაჯლობა გამოიწვია ავტომშენებელთა შორის. ქუთაისელები ახლა დაძაბულად იბრძვიან სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომელთა შორის, წელს უახლოეს ამოცანას წარმოადგენს 150 სატვირთო ავტომობილის გამოშვება გეგმის ზევით, დაზგათა მნიშვნელოვანი ნაწილის ჩქაროსნულ რეჟიმზე გადაყვანა და სხვ.

ამ ვალდებულებათა განადღებისთვის ავტოქარხნელები თავდადებით იბრძვიან. მთელმა რიგმა საამქროებმა წარმატებით შეასრულეს პირველი კვარტალის გეგმა.



ფოტოზე (მარცხნიდან მარჯვნივ): გუმათხისის მშენებლობაზე საწარმოო პრაქტიკის მასალებად ჩინეთიდან ჩამოსული ჩუაო-იუნ-კუნი და ელექტროდამონტაჟებელთა ბრიგადირი ა. პროლეტარსკი.

ფოტო რ. ლუცენკო ს ი

ჩინელი მეგობრები VI ხუთწლიის მშენებლობაზე

სკკპ-ის XX ყრილობის დირექტივები, სსრკ-ის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ითვალისწინებს მთელი რიგი მძლავრი ჰიდროენერგეტიკული ბაზების შექმნას ჩვენს რესპუბლიკაში. გუმათხისი მეექვსე ხუთწლიური ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ახალი მშენებლობაა. უკვე ექსპლოატაციაში შევიდა გუმათხის — 2-ის პირველი აგრეგატი. მალე ელსადგურის დანარჩენი ორი აგრეგატიც ამუშავდება.

შორეულ ჩინეთიდან გუმათხისის მშენებლობაზე საწარმოო პრაქტიკის მისაღებად ჩამოვიდნენ ნანკინის საინჟინრო-ტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები — ხუან-ციუნ-მინი და ჩუაო-იუნ-კუნი.


გულთბილად შეხვდნენ ჩინელ მე-

გობრებს გუმათხისის მშენებლები. ტექნიკური განყოფილების მთავარი ინჟინერი ვ. სამოილოვიჩი დაუზარებლად ეხმარება სტუმრებს რუსული ენის დაუფლებაში. გუმათხისის გამოცდილი მშენებლები უზიარებენ ჩინელ მეგობრებს ჰიდროტექნიკის ახალ მეთოდებს.

ამას წინათ, ჩუაო-იუნ-კუნი მეზობელ კომმუნისტურებაში იყო და დიდი ინტერესით აკვირდებოდა ქართველი გლეხების კოლექტიურ შრომასა და ახალ სოციალისტურ ცხოვრებას.

— თქვენს მშენებელ ქვეყანაში — თქვა ჩუაო-იუნ-კუნმა, — ჩვენ ცხოვრების შესანიშნავ სკოლას ვავდივართ. გულმოდგინედ ვსწავლობთ თქვენს გამოცდილებას, რათა ნაყოფიერად გამოვიყენოთ იგი ახალ ჩინეთში.

ბ. ს-ი



ახალციხის ერთ-ერთ კოლომეტრს რომ გასცდები, გზატკეცილი ორად იყოფა. ერთი ზემოთ მიდის აბას-თუმისაკენ, მეორე იქვე ხიდზე გადის და მოსახვევ-ში იკარგება. სწორედ ეს უკანასკნელი მიემართება ვალესაკენ.

ვალე რესპუბლიკაში მემსახურებდა ყველაზე ახალგაზ-რდა დაბა. აქ, ამ ადგილზე, სადაც ახლა კომპოზი-ორი და სამსართულიანი სახლები წამოვიწყალა, ათიოდე წლის წინათ რამდენიმე ქოხი იდგა და ხრიკი მიწაზე ქარი დანავარდობდა. საბჭოთა ადა-მიანების მარჯვენა აქაც ამოქმედდა. ახალციხის ქვანახშირის შესწავლის შემდეგ დადგინდა მისი სამ-რეწველო მნიშვნელობა; ტრიალ მინდვრებზე გაჩნდა პირველი ფიცრული ბარაკები, თავი მოიყარეს მშე-ნებლებმა. სოფელ ვალეს ყამირს ჯერ წერაქვი და ბარი შენო, შემდეგ მოტორებიც ავტოგუნდენ და საქმეში მექანიზმები ჩაებნენ. ასე დაიწყო ახალცი-ხის ქვანახშირის საბადოს № 1 და № 2 შახტის მშე-ნებლობა. 1946 წელს ჩვენმა სამშობლომ უკვე მიაღ-ო ახალციხის ქვანახშირი.

მას შემდეგ რუსთაფი აშენდა მეტალურგიული ქარხანა. ქარხანამ ახალციხელი მღაროელები ახალი ამოცანების წინაშე დააყენა — მარტენის ლუმელები უფრო მეტ და მეტ ქვანახშირს მოთხოვნიდნენ ტყე-ბულიდან, ტყეარჩილიდან, ხოლო ახალციხეს დაეკის-რა სათბობი რეზერვის შესება.

ახალციხელებმა თავადებული შრომით უპასუხეს დაკისრებულ ვალდებულებას. 1955 წელს მეხუთე ხუთწლიანი უკანასკნელ წელს ახალციხის ქვანახ-შირის მღაროთა სამმართველომ სამშობლოს რამ-დენიმე ათასი ტონა ქვანახშირი მისცა, რაც 12-ჯერ აღემატება 1946, ხოლო სამჯერ 1950 წელს მოპოვე-ბული პროდუქციის რაოდენობას.

რაიონში ყველა იცნობს მოწინავე ადამიანებს, რომლებსაც თავიანთი პატიოსანი შრომით დიდი წვლილი შეაქვთ კოლექტივის წარმატებებში. ესენი არიან გამამაგრებლები, ძმები ილია და ბიკენტი ტყე-

ნაძეები, მწგრეელები გ. ლომიძე, გ. მუმლაძე, ხ. ალექსანდრე, პ. პრივალენკო, პ. ბირიულინი და მრავალი სხვა. მათმა უმრავლესობამ ვალეში დამ-თავრა სამთო-სამრეწველო სკოლა და წარმოებაში თავდადებული შრომით მოწინავეთა სახელი დამსა-ხურა. მეოცე ყრილობის ბრძანულ დირექტივებს ამ სახელოვანმა ადამიანებმა ახალი შრომითი აღმავ-ლობით უპასუხეს. თვითუღმა მათგანმა წლიური გეგმის ვადამდე შესრულება იკისრა. დაპირება ასრულ-დება, მათი სიტყვა და საქმე ერთია.

შახტების სიმძლავრის ზრდასთან ერთად დიდი ცვლილებები ხდება მემსახურებთა კულტურულ-საყოფა-ცხოვრებო საქმიანობაში. დაბაში აშენდა მრავალი საცხოვრებელი სახლი. ასფალტმა შეცვალა ტრალანის ქუჩები, რომელსაც დამთ ანათებენ ლამპიონები.

სამთოელთა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული დასვენების სამსახურშია სამი საშუა-ლო, რვაწლიანი და სამთო-სამრეწველო სკოლა, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, აფთიაქი, აბანოები, ორი საფოსტო განყოფილება, შემნახველი საღარო, სას-ტუმრო, ოცზე მეტი მაღაზია და საზოგადოებრივი კვების ობიექტი, საბავშვო ბაღები და ბავები, წითელი კუთხეები, ბიბლიოთეკები, ორი კეთილმოწყობილი კლუბი და სხვ.

ახლახან ახალციხეში სამთოელებმა კიდევ ერთი ძვირფასი საჩუქარი მიიღეს. მათ საექსპლოატაციოდ გადაეცათ შესანიშნავი სამსართულიანი კულტურის სახლი. მას აქვს ხუთსადგომიანი მაყურებელთა დარ-ბაზი, სამკითხველო, ბიბლიოთეკა, საბილიარდო, ოთახ-კაბინეტები წრებრივი მუშაობისათვის.

ყოველწლიურად პროფკავშირული საგზურებით ათეულობით მღაროელი თავის შეგებულებას ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კურორტის სანატორი-უმებსა და დასასვენებელ სახლებში ატარებს.

300-ზე მეტი ფიზკულტურელია გაერთიანებული ტანვარჯიშის, ძალოსნობის, მოკრივეთა, მოთბილა-მურეთა, ფეხბურთელთა და სხვა სექციებში.

ახალ, მეექვსე ხუთწლიანი გრანდოზულმა ამო-ცანებმა ახალციხელ მემსახურებს დიდი საპასუხო-მგებლო სამუშაოები დააქირა. 1960 წელს, 1955 წელთან შედარებით ახალციხელებმა სამშობლოს სამ-ჯერ მეტი ქვანახშირი უნდა მისცენ. ამ ამოცანის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია მიმდინარე წლის მეორე ნახევარში ექსპლოატაციაში გადაეცეს ახალი № 3 შახტი, ხოლო 1957 წელს მწყობარში ჩადგება კიდევ მეტი სიმძლავრის № 6 შახტი. მოეწყობა მათი პროდუქციის შედარებით სწრაფი და იაფი ტრანსპორტირება. მეექვსე ხუთწლიან საფუ-ძველი ჩაყვრება დამატებით სამ ახალ სამთო ობიექტს. საპროექტო სიმძლავრის გაზრდის მიზნით მოს-დება № 1 შახტის რეკონსტრუქცია. № 2 სამშენე-ბლო სამმართველოში ძირითად სამთო გამონამუშე-ვართა გაყვანის დასაჩქარებლად გათვალისწინებუ-ლია თვეში 100-150 გრძივი მეტრი გამყვანი მექანიზმის დადგმა. ტექნიკური პროგრესისათვის დიდი სამუშაოები ჩატარდება № 2 შახტშიც.

მეექვსე ხუთწლიანი მანძილზე გათვალისწინე-ბულია დიდი კაპიტალდაბანდებანი. საცხოვრებელი ბინების ფონდი გაიზარდა 25 ათასი კვადრატული მეტრით. ინდივიდუალურ სახლს აიშენებს ბევრი მემსახურე, მათ შორის ზენკალი გ. ბერიძე, მწგრე-ელები — კ. პროკოპენკო, ს. ვალუსტიანი და სხვები. თორმეტი კოლომეტრის მანძილიდან გამოყვანილი იქნება წყაროს წყალი. მოსაფლტდება დაბა ვალეს ახალციხესთან და შახტებთან დამაკავშირებელი მარაკაზები. აშენდება ერთი ახალი საშუალო სკო-ლა, ასაწოლიანი საავადმყოფო, მოეწყობა სპორ-ტული მოედანი, საცურაო აუზი და სხვ.

რესპუბლიკაში ყველაზე ახალგაზრდა მემსახურე დაბა ვალე, სულ ახლო მომავალში გადაიტევს ერთ-ერთ კეთილმოწყობილ და ლამაზ, ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტად.

დ. ზინკველიაძე,
ბ. გომარტელი

შემოქმედი მიზნობრიობა

ხ. ივლიძე

აკაკი ხორხომელიძემ მხარზე ელექტრობურღი გაიღო და, ის იყო შახტში ჩასასვლელად ემზადებოდა, რომ ეტრის დამტარებელმა შეაჩერა:

— თქვენი წერილია, ამხანაგო კაკო!

ახალგაზრდა მემსახურე პატარა, ლამაზ კონვერტს თვალი მოავლო. მაშინვე იცნო უკრაინელი მეგობრის ეგორ შაკოვის ხელნაწერი.

...ეგორი, მიიღებ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩემს გამოწვევას, — სწერდა შაკოვი, — ეს დაგვეხმარება წარმატებით შევასრულოთ მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებით ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები“

შაკოვი სწერდა თავის მიღწევებზე, იმ ახალსა და პროგრესულზე, რაც დაწერეს თავიანთ მუშაობაში ამ უკანასკნელ დროს უკრაინელმა მემსახურებმა.

აკაკი ხორხომელიძემ შაკოვი ტყიბულში გაიკნო. ეს იყო 1954 წელს, როცა მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივს ესტუმრა უკრაინელი მემსახურე-ბის დელეგაცია. სწორედ მაშინ გადაწყდა გაშლილიყო სოციალისტური შე-ჯიბრება ორი შახტის კოლექტივებს შორის. უკრაინელმა მემსახურე ივანე შჩერბაჩენკომ გაზეთის საშუალებით შეიტყო ტყიბულელი მემსახურის, ქვანახშირის ნგრევის ოსტატის — რუბენ მუშკულაია-ნის შრომითი წარმატებების შესახებ და თხოვნით მიმართა მას, გაეზიარებინა თავისი საწარმოო გამოცდილება. პარტეიდან მემსახურე გულთბილად გამოეხმა-ურა თავისი ახალი მეგობრის წერილს. დაიწყო მიმოწერა. სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა კავშირი. მომდებ რესპუბლიკების მემსახურეებმა ატყობი-ნებდნენ ერთმანეთს მუშაობაში მოაოვებულ წარმატებებს, უზიარებდნენ საწარმოო გამოცდილებებს, უამბობდნენ თავიანთი ამხანაგების ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ. მიმოწერაში, ორივე მხრიდან, სულ ახალი და ახალი მემსახურეები ჩაებნენ. დაბოლოს, ტყიბულში მოვიდა უკრაი-ნელი მემსახურეების, კერძოდ „ალექსანდრეუგოლის“ ტრესტის № 2-ე შახტის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური წერილი. ამან აღფრთოვანა ტყიბულელი-ბი და გადაწყვიტეს სტუმრად მოეწვიათ ისინი.

აი, უკვე სამ წელზე მეტია, რაც მათ შორის სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარეობს.

ტყიბულელი მღაროელები ეჯიბრებიან უკრაინელ მემსახურებს, ითვისე-ბენ თავისი მეგობრების მდიდარ საწარმოო გამოცდილებებს ციკლური გრაფიკისა და სხვა მოწინავე მეთოდების დაწერვის საქმეში. ამ დღეებში ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივის სახელზე მოვიდა წერი-ლი დონბასიდან. „დონბასნატრატის“ კომბინატის „სვერდლოვუგოლის“ ტრესტის № 63 შახტის კოლექტივი ქართველ მემსახურებს ატყობინებს იმ შედეგების შესახებ, რომლებიც მიღწეულია მათ მიერ კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ბრძოლაში, აგრეთვე, ციკლური გრაფიკით მუშაობის უპირატესობაზე. ამავე წერილით დონბასელები

აგზავნიან სოცმეჯიბრებაში გამოწვევის ხელშეკრულებას და ითხოვენ თან-მობას.


ტყიბულელი მემსახურეები თითქმის ყოველწლიურად მიემგზავრებიან დონ-ბასის, კუზნეცის და ჩვენს ქვეყნის ქვანახშირის სხვა აუზების მემსახურებთან. გასულ წელს დონბასში იმყოფებოდნენ ცნობილი მემსახურე, XX ყრილობის დელეგატი, ივანე ორჯონიკიძე და სამთო ოსტატი პაპუშ ნანიკაშვილი, ხოლო კუზნეცში — სამთო სპეციალისტები ივანე მანგალაძე და ნიკოლოზ მარდალე-შვილი.

ტყიბულელი მემსახურეები ტყვარჩილელ მემსახურებსაც ეჯიბრებიან. გასული წლის ოქტომბერში ტყიბულში ჩამოვიდა დელეგაცია, რომლის შემადგენლო-ბაში შედიოდნენ ტყვარჩილქვანახშირის ტრესტის ყველა შახტის წარმომად-გენლები.

აღფრთოვანებული შეხედნენ ტყიბულელები დელეგაციის წევრს ნიკოლოზ ხაჭაპურიძეს. 7 წლის წინ ეს ცნობილი მემსახურე მუშაობდა ტყიბულში, სტალინის სახელობის შახტში.

...7 წელი. ამ წინა მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა ტყიბულში... გაიზარდა და გაღაზნდა ქალაქი. მისი შახტები და საწარმოები ალიპურვა მოწინავე სამთო ტექნიკით, შეივსო კვალიფიციური სპეციალისტებით.

* * *
სანგრევი აფეთ-ქების ხმა გაისმა. უხვად ჩამოწვა მონ-გრეული ქვანახშირი. მოქმედებაში ჩაერ-თო მომხმეტი კონვე-იერი, რომლის ფარ-თო და მაღლიან ლენტზე აციმციმ-დნენ ქვანახშირის ნა-ტეხები. დაულალავად აგრძელებს მუშაო-ბას აქ. ხორხომელი-ძე. მას ყველაფერი წუთებზე აქვს გათ-ვლილი. დღეს სიტ-ყვა მისცა, იმავე სან-გრევი დამატებით შეასრულოს კიდევ ერთი ციკლი.



მემსახურე აკაკი ხორხომელიძე სანგრევიში.

კლიმატი ყოიანი

გამედვიდა. რაღაც ხუთიოდე წუთით დაგასწარი მადლიძარა საათის რეკვს. ალბათ, წუხელ, როდესაც ისარს ვაყენებდი, გულში ჩამყვა იმის შიში, რომ მძინარეს ზარბაზნის სროლასავით ჩამსემბოდა მადლიძარას ზარის წყრალი, შემავფოთებდა და, იქნებ, დამფრთხალიც წამოვიგდე ლოგინიდან. ასე, რომ შიშმა, თუ შიში შიშმა ამცდინა არასასურველ გამოფხიზლებას. მადლიძარა საათი პირველად გამოვიყენე ჩემს სიცოცხლეში, რადგან სტუდენტობისას მაინცდამაინც არ ვდარდობდი ლექციებზე დაგვიანებას, ანდა, რატომ უნდა შედარდნა, თუ კი იმავე ლექციებს სრული შეგნებითა და სინდისის შეუშფოთველად ვაცდენდი ხოლმე.

დღიდან კი თავდებოდა სტუდენტობის წლები და იწყებოდა ახალი ხანა ჩემი ცხოვრებისა, სწორედ ის ხანა, რომლის მეორე თუ მეოთხე წელს, უკიდურეს შემთხვევაში, მეხუთე წლისთავზე მაინც, არა მარტო ნაცნობებს, უცნობებსაც უნდა გავეგოთ ჩემი სახელი და ხშირადაც ესენებინათ.

რა საფუძველი მაქვს, ამას რომ ვამბობ? მე მგონი, ახალგაზრდებს არაერთი საფუძველი და მიზეზი არ სჭირდებათ თავისი სახელოვანი მომავლის დასახატავად.

გამიგრძელდა ლოგინში წოლა. ეს სტუდენტური სიზარმაცის გადანაშთია. აი, მადლიძარა საათიც აწკრიალდა. ამ დროს უნდა გამედვიძინა, ზუსტად რვა საათზე, სამსახური კი ცხრაზე მიწყება. ვდებდი და პირს ვიბან. ოპო, ონკანი დალექტრონებულა, დენი წყალს მოჰყვება და თითებში მზვყენს. ალბათ, საღვაც, წყალსადენი მილის სიხილოც, მავთულს იზოლაცია დაუზიანდა, — გვიფიქრე და სიამოვნებისგან გამედვიძინა; მიხვდებოდა ამ მიზეზს რომელიმე ჩემი ამხანაგი? განა ინსტიტუტში ყოფნისას ლექტორმა ოდესმე ასენა დალექტრონებული ონკანი? მე კი, მიუხედავად ამისა, ხელად მივხვდი რაშიცაა საქმე. ჰოდა, ასეთი ინჟინრის გადაგდება უნდოდათ საღვაც, გუმათისა თუ ლაჯანურპისის მშენებლობაზე, ტალახის საზელად და ცემენტის მტვრის საფლავად. ისევ ჩემი საყარელი სპორტი მოვიშველიე, როგორც ინსტიტუტში მიღებისას, ახლაც ის გამოვიყენე გაჭირვების ტალკველად. მოგნახე ჩემი მწვრთნელი და დავარწმუნე, რომ ისევ ვუბრუნდები სპორტს, რომ მე არ შემიძლია სპორტის გარეშე ცხოვრება და ნუ დამლოპავს, ნუ გადამკარგავს სოფელში. დატრიალდა, ფიზკულტურის კომიტეტოდან დაარკვიანა, ვილაც ნაცნობიც მიუგზავნა გამანაწილებელი კომისიის ერთ-ერთ წევრს და მე თბილისში დამტოვეს. სამსახურში მოწყობაზე კი არ ვნაღვლობდი, აქ არა მყავდა ბიძაჩემი? მომავლეთ კიდევაც პიდროლექტროპროექტის ინსტიტუტში. ვინ ეტყობა უარს!

ალბათ, დღესვე ამრეზილად შემომხედავენ სამსახურში. იფიქრებენ — ეს ახალგაზომცხვარი ინჟინერი რისი მაქნისი იქნებაო. მაგრამ გაივლის ერთი-ორი თვე და ამ საპნის ბუშტივით გაუქრებათ ეჭვი.

ჯერჯერობით ვერაზენ ვერ უნდა მიხვდეს, რომ მე თანდაყოლილი ნიჭი მაქვს, დაე, ყველაფერი ჩემს შრომისუნარიანობას მიაწერონ. მაინც რა გვიან ეძლევა ადამიანს დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება. მე შემეძლო 18-19 წლის ასაკშიც დამემთავრებინა ინსტიტუტი. ცუდია, რომ სკოლასათი წელი უნდა შესწირო და ინსტიტუტს — ხუთი. როდისღა მოიფიქრებენ ამ ვადების შემცირებას? თუ ადამიანი გამჭირიანი გონებით დააჯილდოვა ბუნებან თუ მესხიერებით შეამკო და ცოტა შორს-მჭვრეტელობის უნარიც უბოძა, რადღა უნდა ინსტიტუტისა თუ უნივერსიტეტის დამთავრება? დაპლომისთვის? ქალადის ნაგლეჯისთვის? დედაჩემს ისე გაეხარდა, როცა, ბოლოს და ბოლოს, ეღერსა ჩემი დიპლომის ნახვას, რომ ლამის ოყო ძაფი ჩაება და ამ პირსასოცვით ჩამოვიკინა კედელზე, რათა ყოველ სტუდენტსა თუ ნათესავს შემოსვლისთანავე გავეო ჩემი ინჟინრობის ამბავი. კარგი გამახსენდა, ამ საღამოსვე მივწერ დღეას სოფელში, თუ სად დავიწყე მუშაობა და რამდენი მაქვს ხელფასი. გაეხარდებოდა.

როგორ მეცინება ძველ ინჟინრებზე, აი, თუნდაც ზოგიერთ ნაცნობზე, რომლებმაც ჩემზე სამი-ოთხი წლით ადრე დამთავრეს უმაღლესი, ჰგონიათ და სრული დარწმუნებულნი არიან, რომ ქვეყნის აშენების საქმე მათ ახარიათ. მაგრამ, საქმე რომ მართლაც საქმეზე მიდგეს, წერტილმან საკითხშიც ვერ გაერკვევიან და პირველი კლასის მოსწავლესავით დააღებენ პირს. ასე კი იყო იმ საღამოსაც? ჩაის ესვამდით. მოულოდნელად ბუბაჩემმა იკითხა: „დავებრედი და კიდევ არ გიცო, ამ კოვზს რა ეშმაკი ამრუდებს ჩაიში“? მე ოპტიკის კანონები მოვიშველიე და გასაგები ენით აუხსენი ბუბისა სინათლის გადატევისა და არეკლის საიდუმლოებანი. ჩემი ამხანაგი კი, ჩემსავით უმაღლესდამთავრებული, თვალგაშტერებული მისმენდა ეტყობოდა, ამ საკითხებში არც მაინცდამაინც უფრო გათვითნობიერებული ვახლდით, ვიდრე ბუბაჩემი, მაგრამ ეს უცოდინარობა რომ შეენიბა, ნაძალადეგად იღიმებოდა..

გამახსენდა თუ არა ეს შემთხვევა, მეც ნაძალადეგად გამედვიძინა, რადგან კარი გაიღო და მეზობლის ბიჭმა შემოპოყო თავი. მივხვდი — ან ამოცანის გამოყვანის მთხროდა ან ნახაზის გასწორებას. ყოველთვის ვეზმარები ხოლმე. მაგრამ ახლა წასასვლელად ვიყავი გამზადებული, მაგვიანდებოდა და სწორედ ამიტომ გამედვიძინა ნაძალადეგად. მაგრამ ასე იყო თუ ისე, რადღა გამედვიძინა, ეს იმის მომხმარებელი უნდა ყოფილიყო, რომ არ მიწყინა მისი დანახვა და ამიტომ დაეკობე:

— შემოდი, მიტო, საქმე გაქვს რამე? ჩემი კეთილი მასპინძლობით გათამამებულმა მიტომ მხრით შემოალო და მერე ფეხით მოიხურა კარი, რადღა ხელში ფანქრები, ვაწლილი სახაზავი რეკული და რეკულზე დაწყობილი რაღაც ნივთები ეჭირა. ჯერ ღვიზის ჭიქას მოგკარი თვალი, ღვიზის ჭიქაში ნარდის ქვა ევლო, როცა ყველაფერი მაგ-

დაზე დაჰყარა, სუფრაზე შაურიანი და ორი სხვადასხვა ზომის შავი ლილი ვაგორდა. მიტო ადგილიდან მოწყდა და სუფრის მეორე მხარეს ძლივს მიუსწრო ლილს. ვერ მოვიხსარე, რას ნიშნავდა ასეთი უცნაური კოლექციით სტუმრობა ამ დილაადრიან. მაგრამ, როდესაც მიტომ დამწუხრებული სახე და ხვეწნა-მუდართი საყსე თვალები მომაპყრო, როდესაც თავისი ხაზვის რეკული წინ დამალო და ერთმანეთში ჩახაზვილ გათაბნილ და გამრუდებულ წრეებზე მიმითითა, მიხვდით, რასაც შეეწუხებინა ჩემი პატარა მეზობელი.

— სამი ფურცელი გაეფუძეე, მაინც არაფერი გამომივიდა, — შემომჩველა მიტომ. გამედვიძინა მის ვალუბრყვილობაზე, საწყალ ბიჭს წრეში წრეები უნდა ჩაესაზა. ჯერ ლილი დაუღვია რეკულზე და გარშემო ფანქარი შემოუტარებია, მერე უფრო მოზრდილი ლილი, შაურიანი, ნარდის ქვა და ღვიზის ჭიქაც კი, მაგრამ რა გასაკვირია, რომ კონცენტრულ წრეებს საერთო ცენტრი ვეღარ შეუწარმოა და ხაზებმაც ერთმანეთი გადაკვეთეს.

გავხსენი ჩემი რიხტერის ხელსაწყოები, ამოვიდე ფარგალი და თვალისდახამამებამში შევასრულე მიტოს სამინაო დავალება. ალტაქტული შეკყურება და ჩემი მოქნილი თითების მოძრაობას, ბოლოს მადლობა გადამიხადა, „ფარგალი დეკარგეო“, ააგი იმართლა და გავიდა.

უნდა გამოეტყველე, რატომღაც გული ამიჩუყდა, სიხარულის ცრემლი მომადგა თვალზე. წარმოვიდგინე, რომ ურთულეს პროექტებსაც ასევე ადვილად დავლევდი, სახელგანთქმული ინჟინრებიც მიტოსავით ალტაქტული დარჩებოდნენ ჩემი ნამუშევრებით, დღეს იქნებოდა ეს, ხედა, თუ ზღვ.


ქული დავიხსურე და ეზოში ჩავიდი. რა კარგი ყოფილა დღესი. ამ დროს ყოველთვის ტკბილად მეძინა ხოლმე, რადგან უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ლექციების უმეტესობა სადამოებით გვეწონდა და ძალაუბნებურად შევიჩვიე გვიან დაწოლასა და ადგომას. აივებზე მეზობლები დაფუფუნებდნენ. ზოგიერთმა გადმოიხედა და თვლიც გამომაყობა. მე კი უკან მოუხედავად ჩავიარე, თითქოს ყოველდღე ასე ადრე გამოვიდიდი სახლიდან და მეზობლები კი რაღაც შემთხვევით აქამდე ვერ მაშინევდნენ. ონკანთან დეიდა ტასო იდგა, უზარმაზარი, ნახევრად ქერცლგაცლილი თევზი ეჭირა და დანი თვზვდა, როცა დამინახა, წელში გაიმართა და მომამახა:

— მაშ სამსახური დაიწყე, აბესალომ? — დავიწყე, დეიდა ტასო, — ვუპასუხე და გავუღიმიე, რადღა შვილივით გუყვარდი და სტუდენტობისას დიდ დახმარებას მიწევდა. — დამილოცინიხარ, შეილო, შენი ბედნიერება გეშენებინოს. მადლობა გადავუხადე და გულში გავიფიქრე: „ჩემი ბედნიერება თავისთავად აშენდება, როცა ელსადგურთა პროექტების ავტორი გავხდები-მეთქი“.

ბედნიერების სსენებაზე თუა წარმომიდგა თვალწინ და ერთბაშად გავწითლი, იმიტომ, რომ პირობის თანახმად ცხრის ნახვარზე უნდა გამველო მასთან და აღარც კი მახსოვდა, რომ ამ დილით კიდევ ერთხელ ვნახავდი მის სივლიანსა და თითქოს მოლაპარაკე თვალებს, კიდევ ერთხელ შევიხებოდი მის პატარა ხელს და კიდევ ერთი დასამახსოვრებელი წუთი შემებატებოდა ჩემი სიყვარულის ისტორიას.

უნდა გამოეტყველე, რომ ჩემი მომავალი მიზნები, ჩემი ჯერ კიდევ განუზოხცილებელი სურვილები, ასე ერთბაშად ამხედრებული ფანტაზია და აბოზოქრებული ენერჯია თუას სიყვარულმა გამოიწვია, თორემ მანამდე მე ერთი უბრეტუნზით ადამიანი ვიყავი, რომელსაც აზრადაც არ მოსდოდა თავისი ტექნიკური ცოდნით გამოჩნეული სხვებისგან და ამით სახელი, დიდება და უზრუნველყოფილი ცხოვრება მოეპოვებინა. აი, რა შესძლებია სიყვარულს და შიშნარეგ ფიქრს იმის შესახებ, რომ შენ ოჯახი უნდა შექმნა.

თუას, ამ პატარა და კოხტა გოგონას, ისე უხედბოდა ღიმილი, ისე უხედბოდა სიხარული, რომ ერთითად ღამაზდებოდა, ერთითად მომჯადოებელი და მომხიბვლელი მეჩვენებოდა და ამიტომ ვცდილობდი, რომ მუდამ ცინია, მუდამ გახარებულ ყოფილიყო რამით და ეს სიხარულიც მუდამ ჩემი მიზეზით ყოფილიყო გამოწვეული. დღესაც კი, როდესაც დამოუკიდებელ ცხოვრებას ვიწყებდი,



როდესაც პირველად მივდიოდი სამსახურისკენ, უკვე გვექრობოდა იმაზე, თუ სადამოს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, რით და როგორ გახდებოდა ბინა.

თუას შორიდანვე მოვკარი თვალი, თავისი სახლის წინ იდგა და მოთმინებით მილოდებოდა. დამინახა თუ არა, ხელი დამიქნია და ჩემსკენ წამოვიდა.

— ღელავ? — მიკითხა მოახლოებისთანავე და თითქოს მოფერება უნდოდარი, მკლავეზე ხელი ჩამომისკა.

— ხომ კარგად ხარ, თუა? — ვითომ ვერ გავიგონე მისი შეკითხვა.

— მე კარგად ვარ, მაგრამ შენ, გეტყობა, ღელავ, სამსახური მაინც სხვაა.

— რა მატყვს ასალეღვებელი, მივალ, ვნახავ, თანდათან ყველაფერს შევიჩვევები.

— მისვლა და ნახვა ადვილია, — გაიღმა თუამ, — უნდა დაიპყრო.

— ეშვი ნუ გეტყვობა, ჩემო თუა, მე ყველაფერს გავაკეთებ შენი ბედნიერებისათვის, ჩვენი მომავლისათვის, — ვთქვი და სიყვარულის ტკბილმა ძრუანტულმა დამიარა, ერთბაშად დღეს ძალა ვიგრძენი. — აი, ხომ ხედავ იმ გორაკს. ისიც კი ვერ მოუხარებიათ, რომ ქოხმახის დაანგრიონ და უზარმაზარი ტერასებიანი პარკი გაშენონ ფერდობზე, აქ ახალგაზრდის გონება საჭირო...

ჩვენ სტალინის სახელობის ხილვე მიგაბიჯებდით და იმ გორაკისკენ ვიყურებოდით, რომელიც სანაპიროს გადამოჰყურებს. თუას არაფერი უთქვამს. ელბაქიდის აღმართს რომ შევედებოთ, ერთბაშად აქლურტულდა:

— იცი, დღეს სამ საათზე, რეფერატს გკითხულობს სამეცნიერო წარის სხდომაზე.

— მართლა? რატომ აქამდე არაფერი მითხარი? — მეშინოდა, გაითუ არ გამომივიღებს-მეთქი.

— თუა ვერასოდეს ვერ განხდება ნამდვილი მეცნიერი, — გავფიქრე გულში. — საკუთარი თავის რწმენა არა აქვს. გააკეთებს რამეს და ევლარ შეუფასებია, კარგია, თუ ცუდი.

— რა თქმაზეა შენი რეფერატი? — ვკითხე ხმა-მალა.

— „ვერობელი მოგზაურები საქართველოს შესახებ“.

— გამიგონია, შაგრენის მოგზაურობა და კიდევ... მი...

— ჰო, შარდენისა... არქანჯელო ლამბერტის, დიუბუა დე მონ პერეს და სხვათა. გინდა ზოგიერთ ადგილს წავიკითხავ? ნუ გეშინია, არ დაგავიანდება, ჯერ ოცი წუთი უკლია ცხრას.

თუამ თავისი ჩანთიდან რვეული და სათვალე ამოიღო და რეფერატს შესავლის კითხვა დაიწყო. მე კი აქეთ-იქით ვაგვიხედავმოვიხედავ.

არ მინდოდა ვინმე ნაიანობს დაეჩხუბა და გავგო, რომ თუა სათვალეს ხმარობდა, ასე მეგონა, ყველამ იცოდა მე და თუას ამბავი და ყველა ვაიფიქრებდა: „რად სათვალის გოგო ამოარჩია, სხვა ჯერ ნახა?“ აბა, ხომ არ გავაჩერებდი სათითაოდ და ავუსხნიდი, თუ რა კარგია თუა. მე რომ მიკითხონ, უნდა კიდევაც სათვალე უფრო მკვეთრად გამოუჩინებდა ხოლმე წითელი, პატარა ტურები, თეთრი კანი, ოქროსფერი ბუსუსები ყურის ძირში. ლამაზი, სევდიანი თვალიანი, კი აღარ უჩანს და ყოველთვის, როდესაც სათვალეს მოიხსნის, მეჩვიდება, თითქოს პირველად ვხედავ თუას და ხელახლა უნდა შევიყვარო.

მიუხედავად ამისა, მაინც არ მინდა დაინახონ, რომ თუა სათვალეს ხმარობს, მით უფრო, იმ ნაცნობებს, რომლებმაც იციან ჩვენი დამოკიდებულების შესახებ და, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც მე და თუა ერთად ვართ.

— კარგი რეფერატი უნდა იყოს, რაღა დღეს ვიწყებ სამსახურს, დავესწერებოდი, მოვისმენდი. — თუმცა ყურს არ ვუღებდი, მაგრამ მაინც ასე ვუთხარი თუას. თვითონ კი, ალბათ, შექებებით გააბამებულნი, აღარ აპირებდა კითხვის შეწყვეტას და სათვალის მოხსნას. უნებურად ხელი გავუშვირე. — თუა, მათხვე შენი სათვალე...

შევატყვი, რომ გაუკვირდა. მაგრამ, როდესაც ჩემს ხელში ახალთახალი გაშლილი ცხვირსახოცი დაინახა, მიხვდა, რა სამსახურის გაწვევას ვუპირებდი, სათვალე მოიხსნა და მომწაწკადა.

— დამაფიქრდა გაწვევმა, — თითქოს მოიბოდიშა კიდევაც.

— თუ პირველიდან ორ საათამდე თავისუფალი იქნები, გამოივარე, თუა. ჰავტავაძის ქუჩის დასაწყისში რომ გავუთუბის კოსიკა, იქ დაგიცადი.

— პირველიდან ორამდე? ვნახოთ, შეიძლება მოვიდე, მხოლოდ აუცილებლად დამხვდები, მართო ვერ გავჩერდები ქუჩაში, მრცხვენია.

— აუცილებლად, თუა.

— გაიმი, არ დაგავიანდეს, უკვე ცხრა სრულდება. — წამოიძახა შემოვითუბნა თუამ და ქუჩის საათზე მიმითათა. შეგკრით, წამოვივინი, რომ მართლაც დაგვიანებული ვიყავი და გული შემიქანდა.

— თუა, გელოდები... პირველ საათზე... — უკვე ქუჩაზე გადავბრდი და ისე ვამბობდი ამ სიტყვებს.

მხოლოდ ერთხელ მოვიხედე, რომ თუას „მამატი“ ამოვიკითხა ჩემს სახეზე.

დირექტორი მოსული არ იყო. მდივანმა ქალმა მთავარი ინჟინრის კაბინეტზე მანიშნა:

— შედი, მაგასაც ეცოდინება რომელ განყოფილებაში ხართ მიღებული.

კარი ოდნავ შევადე და შევიხედი. მაგადას გვერდულად მიჯდომილი წითური, ჩასკნილი კაცი, სახე არ უჩანდა, რადგან ხელში ტელეფონის მილი ეჭირა, ვიღაცას უჯერდებოდა.

— არა, გენაცვალე, ნურც თავს იტყუებ და ნურც ჩვენი გეტყუებ... თუ ქაში მორყეულია, ამაგრებენ, თუ არა და სხვა ქაშით სცვლიან, ასეა მექანიზმებში...

დასწრე განცხადება და წადი. შენი გულისთვის ჩვენ მუშაობას ვერ ჩავშლით, — ყურმილი აპარატზე დააგდო და მეც შევაბიჯე კაბინეტში. შევაბიჯე და მხოლოდ მაშინ ვიცანი; ჩემი ყოფილი ლექტორი იყო, „მასალათა გამძლეობას“ ვეკითხებოდა მეორე, თუ შესამე კურსზე.

ტანში დამაბურძღვია, რადგან ისიც გამახსენდა, რომ უმცირესი გამოცდების სახელი ჰქონდა გავარდნილი. ისეთი კაცი იყო, რომ მასთან ცუდად ვერ დააცემინებდი ცხვირს. მახსოვს, ერთი სტუდენტი ცხრაჯერ ჩაიჭრა მის საგანში და მერე კი იძულებული გახდა სხვა ფაკულტეტზე გადასულიყო, სადაც „მასალათა გამძლეობას“ სხვა ლექტორი კითხულობდა. ალბათ, მეც ასეთი ბედი მელოდა მაშინ, რომ კონსპექტები არ დამეზუთხა და ისე ვეღმიწევი არ დამეზუბირებინა, რომ არათუ ფორმულები და ნახაზები, გადამოლიი სიტყვებიც და მეღნით გადღაბნილი ადგილებიც მახსოვდა რეგულის ამა თუ იმ მწერდზე.

— რას გვიბრძანებთ?! — მიკითხა ჩემმა ყოფილმა ლექტორმა, ამკამად მთავარმა ინჟინერმა.

— აქ დავიწყე მუშაობა და... — შევყოყმანდი, — არ ვიცი რომელ განყოფილებაში მიმიღეს.

— გინ მივიღო? — მიკითხა მოლოდინულად და ტანში კიდევ ერთხელ გამაქროლა.

— დირ... დირექტორმა, — ვუბასუხე ენის ბორძიკით, კინაღამ წამომცდა „ბიძაჩემმა-მეთქი“.

მხოლოდ ახლა შემომხედა პირდაპირ და თავის ქნვეა დაიწყო, თითქოს ლაპარაკის ტემპის დადგენა უნდოდა წინასწარ, და აკი მართლაც სწრაფი ტემპი შეარჩია:

— რომელი ფაკულტეტი დაამთავრეთ? — სამშენებლო.

— როდის? — წელს.

— რომელ ინსტიტუტში? — პოლიტექნიკურში.

— ჯგუფის ნომერი? — ორას ჩვიდმეტი.

— სად გავანაწილეს სამუშაოდ? — აქ... თბილისში დამტოვეს, დედა მყავს მძიმე ავადმყოფი და...

იჭვეულად შემათვლიერა, თითქოს ახლა დამინახა პირველად. სქელი ბლოკნოტი ამოიღო და კიდევ ერთი შეკითხვა მომცა:

— გვარი? — კილურაძე.

თავი ჩაქინდარა და ბლოკნოტი გადაფურცლა. რაღაცას ჩურჩულებდა, მეგონა თავისი საქმე გაახსენდა-მეთქი და მოთმინებით ველოდი, თუ როდის მოიცლიდა ჩემთვის. უეცრად გაკვირვებით წამოიძახა:

— თქვენ „ოთხი“ მიიღეთ ჩემს საგანში?! — და რაც მის კაბინეტში შემოვიდე, პირველად გაეღმა. მეც ისე მომეშვა გულზე, ისე გამეხარდა, რომ ხმამაღლა გავიცინებდი, უხერხული რომ არ ყოფილიყო.

— მერე როგორღა სწავლობდით? ალბათ, უფრო კარგად...

— ვცდილობდი, რაც შემეძლო — ვუბასუხე უჩვე დამშვიდებულმა და უნებურად მისი ბლოკნოტისკენ გამეპარა თვალი. — ჩემი და ჩემი ინსტიტუტის ამხანაგების გვარები ამოვიკითხე, იქვე ნიშნებიც ეწერა. მეორე ფურცელზე კი სულ სხვა ფაკულტეტისა და სხვა კურსის სტუდენტთა სია იყო, ოთხი წლის წინანდელი გამოცდის „ოქმი“.

— თუ ახალი თანამშრომელი მისი ყოფილი სტუდენტი აღმოჩნდება, — გავიფიქრე გულში, — ჩაიხედვას ამ ბლოკნოტში და ერთბაშად ივარაუდებს, ვის რა უყრია თაქში... ყველა ლექტორი რომ ასეთი მკაცრი იყოს, ერობა, ადვილი არ იქნებოდა ინსტიტუტის დამთავრება...

— თან ბავშვივით მიხაროდა, თან სინდისი მქეცნი-



და, რომ ასეთი ჰქვანი და მომთხონი პედაგოგი, ტექნიკურ მეცნიერებათა ლექტორი, ინჟინერი, რომელმაც შაპკის აშენა და კიდევ ვინ იცის რამდენ ელსადგურს ააშენებს, გაეცუტრე, მოვატყუე და საგნის ნამდვილი, ღრმა ცოდნის სანაცვლოდ მექანიკურად დაზუბირებულ ფორმულებში დავაწერინე კარგი ნიშანი.

— აბა, წავიდეთ! — მზარულად წამოიძახა მთავარმა ინჟინერმა, წელზე ხელის გული მომალა და ოდნავ მიბძვია კარისკენ. — ვერჯერობით სამხაზელოში იმუშავებ, იქ სწრაფად აუღებ ალღოს ჩვენს საქმიანობას, ოქროსავეთ ბიჭები სხედან, დაგებმარბინა... ნახაზებში ხომ კარგად ერკვევი?

— რა თქმა უნდა, — გავეცი პასუხი, რომლის კილო გულისხმობდა: „ეგ რა საკითხავია?“.

ჩვენ გავიარეთ გრძელი დერეფანი. მერე კიბეზე ჩავდით, კვლავ დერეფანი, ისევე კიბე. მეგონა უკან ვბრუნდებოდით მთავარი ინჟინრის კაბინეტისკენ, რადგან დერეფნებიც და კიბეებიც ძალზე ჰგავდნენ ერთმანეთს.

მივიხედა, რატომ გაისარჯა მთავარი ინჟინერი, სხვას რატომ არ დაავალა ჩემი მეგზურობა-მეთქი. მაგრამ გამახსენდა, რომ ყოველთვის პატრიცეშია და განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდა ნიჭიერ სტუდენტებს და მისი საქციელიც ამით აფხენია.

თავაქინდრული მივსდევდი მას და ნაბიჯებზე ვითვლიდი. გულში ასე ჩავითქვი: თუ იმ ოთახამდე, რომელშიც მე მომხილება მუშაობა, კენტი რიცხვი იქნება ნაბიჯებისა, ჩემი საქმე კარგად წავა-მეთქი. ხშირად ასე და ამის მსგავსად ემკითხაობდი ხოლმე ინსტიტუტში, გამოცდების წინ, და ხშირად მიმართებდა. ნაბიჯების თვლა დაახლოებით შუაგზად დაიწყე, და როდესაც მთავარმა ინჟინერმა ერთი მაღალი კარი შეაღო და შეჩერდა, რომ მე წინ გავეშვი, — სიხარულისაგან ხმამაღლა წამომცდა:

— სამოცდა სამი! — და ერთი დიდი ნაბიჯი გადავდგი, რომ სამოცდა ოთხი არ გამოსულიყო.

— თქვით რამე? — შემომხედა მთავარმა ინჟინერმა.

— არა, ბატონო, არაფერი მითქვამს, — ვუბასუხე მეტად სერიოზულად და დამაჯერებლად.

ნახაზებში ცხვირჩარგული ათიოლუ ახალგაზრდა ინჟინერი მოსწავლეობივით ერთდროულად წამოდგენ ფეხზე.

— დასხედით! — ხელი ჩაიქნა მთავარმა ინჟინერმა და ოთახის მობარდაბირე მხარეს გაემართა, სადაც ნახაზებითა და ქალაქგეგმებით დაფარულ ცალკე მაგიდას შეხედა. მისი შუაოთახში შეხედნენ ერთმანეთს და ლაპარაკობდნენ. ჩემსკენ წამოვიდნენ. ახალგაზრდა ინჟინერი კი ისევ ნახაზებს მიუბრუნდნენ და ხანგაზმობით, სხვადასხვა მაგიდებიდან თავს წამოყოფდნენ ხოლმე და ცნობასმოყვარეობით მათვლიერებდნენ. უეცრად მათ შორის ერთ ნაცნობს მოვკარი თვალი, ჩემს უხედას და ამხანაგს, ალიკო ერცეზს, სამი წლის წინათ დამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი. შორიდან გამიღიმა და ხელის აწევით მომესალმა.

— ეს ჩვენი ახალი თანამშრომელია. — განუხარტა მთავარმა ინჟინერმა ახალგაზრდებს და მხარზე ხელი დამადო, ჯერ თქვენდენი გამოცდილება არა აქვს, მაგრამ კარგი სტუდენტი იყო და, იმედია, თქვენის დახმარებით და თავისი მუყაითობით ინჟინერიც კარგი დადგება. — მერე იმ შაგვრდენი კაცს მიუბრუნდა, რომელიც სამხაზველო განყოფილების გამაჯ აღმონდა და ჩემს გასაგონად უთიბა, — დღესვე მიეცი პატარა სამუშაო, რაც ახალმოსულს შეეფერება... აბა, გისურვებ წარმატებას.

ხელი ჩამომართვა და წაიღია. აი, რას ნიშნავს პირველი შთაბეჭდილება...

სამხაზველოს გამგემ სულ წინ, ცარიელ მაგიდასთან დამსვა, მთავარი ინჟინრის მსგავსად, თვითონაც ყველაფერი გამოკითხა: ვინ ვარ, სად რა დავამთავრე, როდის დავამთავრე და სხვა. მერე ფილაცის დაწყებული და დაუმთავრებელი ნახაზი გამიშალა დაუფრე:

— აი, ეს ჭრილები დაშტრიბე, დეტალებიც დაწოზე, როცა დაამთავრებ, შემატყობინე. — მითხრა და თავისი ადგილისკენ გაეშურა. ცოტა არ იყოს შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი, აბა დაშტრიბე და დანობრე რა ინჟინრის საქმეა. განა ასეთი სამუშაო შეეფერება საბროექტო დაწესებულების თანამშრომელს, თუნდაც სამსახურის დაწყების პირველ დღეს? მაგრამ საყვედური ხმამალა არ გამომიტყამს, „ჯერ მოიცადეთ, გაივლის ორი — სამი თვე და...“ დავიმუქრე გულში. ფარგალი მუგომარევე და საღეროველი გვირახის განივი ჭრილი ხელახლა შემოვხაზე, რადგან მკრთალად დაეხანათ. გვერდით ალიკო მომიხიდა.

— კარგა, ჩვენთან რომ მოხვდი, — დაიწყო მან და ხაზზე ხელი ამაღობინა, რადგან ვერასოდეს ვერ ვმუშაობ, როცა სხვა მწყურებს, — იცი, რა საინტერესო სამუშაოები? აი, შენ რომ წინ გიღვეს, ეგ დარიალესის ერთ-ერთი გვირახია. ჩვენს დაწესებულებას დაეკლეს პროექტის შედგენა...

— დღი ხანია, რაც აქ მუშაობ? — შევაწყვეტინე ლაპარაკი.

— მეორე წელია, მანამდე ბუქუაქსზე ვმუშაობდი... ხაზი და თან ვილაპარაკოთ, ხელს ვიშლი? — მე უხებურად სახაზაჟი მოვიმარჯვე და ხაზვა განვაგრძე. ალიკო რატომღაც გაჩუმდა. ისე უხერხულად ვიგრძენი თავი, თითქოს საბასუხისმგებლო გამოცდას ვაბარებდი, მეჩვენებოდა, რომ ალიკოს გარდა, სხვებიც თვალს მაღიქნებდნენ.

— ლარტყა სახაზაჟი ინჟინერი. — ჩამწერხულა ალიკომ. — ისე პარალელური ხაზები არ გამოვიდა. — ლარტყა სახაზაჟი დავას მობარგო და ზედ სამკუთხედი გააკურ-გამოაცურა, — აი, ასე.

— შენ ჩემებურად გხაზავ, — ცოტა არ იყოს მეწყინა და სამკუთხედი, ლარტყა სახაზაჟთან ერთად, ისევ გვერდზე გადავიწე. „მარტყებს, თითქოს პატარა მიტო ვიყო“, გავფიქრე გაბრაზებულმა.

— შენებურადაა? — გიმუშავდა.

— არა, მე დამპროექტებული უნდა გაგხდეთ.

— მერე რა, ვინც არ უნდა გახდეთ... ზედმეტი არ იქნებოდა...

— მაინც, რაში გამომადლებოდა?! — ცოტა ხმამალა წამომცდა ეს სიტყვები. — რას გადამიკლავ? მომადლა კიბე და აღარ მეშეება...

— მეგონა, ხუმრობდი. შენ კი, მგონი, მართლა არაფრად მიგაჩნია პრაქტიკა, ამიტომ თვალსაჩინო



ნოდ დაგამტკიცებ, თუ რა განსხვავებაა მე და შენს შორის. — ალიკომ ეშმაკურად გაიღიმა, მაგიდის სამუხედი აიღო, ცერა და სალოკი თითო მონიშნა და მოკლე მოჭრა, — აი, ამ საშლელის სიგრძე 35 მილიმეტრი იქნება, სიგანე — 18. — უკან მიხედა და თავის ამხანაგებს თვალი ჩაუკრა. მივხვდი, რისი ტქმა და დამტკიცება უნდოდა ალიკოს, მაგრამ სიტყვა მაინც მოუჭკრი:

— მაგას მეც მივხვდები, ყველა საშლელს სტანდარტული ზომები აქვს.

— კეთილი, ეგრე იყოს, შენ თვითონ მკითხე, რაც გინდა.

მე კი ის მინდოდა, რომ თავიდან მომეშორებინა ტრახების გუნებაზე დამდგარი ალიკო, მაგრამ, რადგან ასე ძალიან სურდა თავისი უპირატესობის დემონსტრაცია და იმის დამტკიცება, თუ რამდენად გამოცდილი ინჟინერია ჩემთან შედარებით, ამიტომ უფრო და უფრო მიღვივდებოდა სურვილი, რომ როგორმე ჩინში მომეშეყვია და თავისივე იარაღით დამემარტყებინა, ქალაქზე სწორი ხაზი გავავლე და გვთხარი:

— აბა, ამ ხაზზე შეიდი მილიმეტრი გადამიზომე. — ალიკომ ფანქარი აიღო; ერთი ციკცქა მონაკვეთი მომალა ხაზზე, წერტილით აღნიშნა და თავზე „7“ დააწერა.

— აბა კიდევ მკითხე.

— სამოცდა ექვსი მილიმეტრი, — ცვლილობი მრგვალი რიცხვი არ დამეხახელებინა, რომ არ გადავიღებოდა „მკითხაობა“. ალიკომ კვლავ გადაზომა და კვლავ დააწერა „66“.

— კიდევ, კიდევ.

— ას ცხრა მილიმეტრი.

— ერთიც.

— ოცდაათმეტრი.

— კიდევ ერთი.

— ოთხმოცდაათმეტრი... საკმარისია, — წამოვიძახე და წინდაწინ გახარებულმა იმით, რომ ალიკოს ყველაფერი არეულ-დარეული ექნებოდა, ხაზთან მილიმეტრებად დაყოფილი სახაზაჟი მივეცოცე და... ალიკოს აღნიშნული რიცხვები „7“, „66“, „109“ და ერთი სიტყვით, ყველა, ზუსტად დამეხებება სახაზაჟის დანაყოფებს.

— კიდევ მკითხე, — იღიმიბოდა ალიკო და თვალებში შემომტყუროდა, ჩვენს უკან მსხდომნიც გადმობრილიყვნენ და სიკრის უყურებდნენ, ეტყობოდა, მათთვის ახალი არ იყო ეს გასართობი. მე კი ჯერ განუცდელი სიკოუტე დამეუფლა, დარწმუნდნი, რომ ალიკოს მართლაც საოცრად ჰქონდა განვითარებული თვალის სიზუსტე, მაგრამ, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, უნდა დამემარტყებინა. ვგრძნობდი, ახლა რომ არ გამემარჯვენა, ყველას თვალში დავ-

მცირდებოდი. ერთხელად თითქოს ფიზიკური ძალაც შემემატა. ისე გამინათდა და ისე სწრაფად ამიშეშავდა გონება, როგორც არასოდეს. მარჯვლს ვიხილავდი ჩემი ოთახის გასაღები ამოვიღე, მას თავი გაჭეჭილი ჰქონდა და, ჩემის გარაუდით, ალიკოს უნდა გასწენლებოდა „მკითხაობა“:

— ამ გასაღების დამეტრს თუ შეტყუებ?

— ალიკომ გასაღები შეაფავლიერა.

— თავი გაჭეჭილი აქვს? — ესე უთქვა ჩემდამდე. — ენით რომ ვთქვათ, ორი დამეტრი ჰქონია, ორივეს გეტყვი, ამ მიმართულებით რვა მილიმეტრი იქნება, ასე — ხუთი.

გავზომე. ზუსტად დამეხება. ალიკო ნიშნისმოგებით შემომყურებდა, თითქოს მეუხებებოდა: „ახლა ხომ ხედავ რას ნიშნავს ინჟინრისათვის პრაქტიკაო“. დანარჩენები ხმამალა იციონდნენ, თითქოს ყოველი მათგანისთვის უადვილესი და უმარტყვისი საქმე იყო ასეთი ჯადოქრობა. „ისე იქცევიან, ვითომ ვილაკებებო და გაუთლელი ვიყო, — გავფიქრე გულში, — მე მაგათ ვუჩვენებ...“ მაგრამ ჩემი მუჭარა რატომღაც ვეღარ დავაბოლოვე. ერთი პირობა, მინდოდა მე თვითონ მეცადა ბედი და ალიკოსავით გამომეცნო ზომები, მაგრამ ვერ ვაგებდე. კვლავ დავიქტე ვიბეჭები, იქნებ ისეთ რამეს მიგანო, ალიკოს ხელები მალლა ავაწვეინო-მეთქი. რაღაც უცნობი და უჩვეულო საგანი მომეცა ხელთ, მაშინვე ამოვიღე ვიბიდან და... მისმა დანახვამ ფეხზე წამომავლო.

— „სათვალ... თუას სათვალე გამომყოლია, — კინდამ ხმამალა წამომცდა ეს სიტყვები. — რა უნდა ქნას ახლა?...“ გავფიქრე, მაგრამ აღეკვება არ გამოვამქლავენი, არ მინდოდა გავეთ სათვალის პატრონის გინობა.

— ამხანაგისა... შემთხვევით გამომყოლია, — გავიღმე დამნაშველავით, ალიკომ სათვალე გამომართვა და შეატრიალ-შემოატრიალა. ალბათ, ისევე აპირებდა თავისი ოლტატობის ჩვენებას, მაგრამ მე უკვე აღარ მხილავდა მისი დაარგუნვის სურვილი, ერთხელად გამიქრა ინტერესი და მხოლოდ ერთი რამ მაწუხებდა: — სად არის ტელეფონი? საიდან შეიძლება დარეკვა?

— ბულალტერიაში შედი, — მიპასუხა უკანა რიგიდან ცისფერთვალა გოგონამ, რომელსაც შიშველ ხელებზე შავი სატინის სამკლავები ჩამოეცვა და ისე ხაზავდა.

— ბულალტერიაში? საითკენა?

— პირდაპირ წახალთ, — გოგონა რატომღაც წამოვლა და ისე განავრძობ ახსნა, — დერეფანს გაშევიბით... მეორე შესახვევი მარჯვნივ... და ერთი... ორი... სამი... — თვალზე ერთ წერტილს მიაპყრო და სალოკი თითო უხილავი ოთახები გადათვალა. — მეოთხე კარი ბულალტერია იქნება.

— გამალობთ, — გაკვირვებულ გოგონას და გარეთ გამოვიდი. არ ვიცი, მისი ახსნა-განმარტება ვერ დავიმსოფრე, თუ დერეფანს იქითვე არ ვაგვევი, საითაც საჭირო იყო, ბულალტერიას კი ვერ მივაგვინი, არც არაფერ შემხვდა, რომ მეკითხა და ისევ უკან დავბრუნდი, იქნებ ალიკო გამომეყვეს-მეთქი.

— მაგრამ გამოყოლის მაგიერა...

— ვერ ნახეთ? — შეწუხებული სახით მომმართა ცისფერთვალამ და კვლავ ფეხზე წამოვლა, — ახლავე დავიხაზავთ, — მაგიდის უჯრიდან რეგული გამოიღო, ერთი ფურცელი ამოხია და სწრაფად დახაზა კიბე, დერეფანი, დერეფანს ოთახები მიუხაზა, სულ ერთხანით სიგრძისა და სიგანისა, და ქალაქი გამომიწვდა, — ეს ჩვენი სართლის გეგმაა, ბულალტერია აი ამ ოთახშია.

ჩემთვის ახალი და მოულოდნელი როდი იყო ასეთი საშუალებით განმარტება. ინჟინრები, როდესაც ნათლად ვერ იტყვიან ხოლმე თავიანთ სათქმელს, წაველებენ ხელს ფანქარს და ცილიობენ ნახაზის ენით ახსნან ყველაფერი. მე ანეგლოტიც გამოგონია ერთი ინჟინრის შესახებ, რომელმაც ნახაზებით და ფორმულებით აუხსნა ქალს სიყვარული. მე კი, უნდა გამოვტყდე, ამ ნახაზს მერჩინა, ვინმე გამომყოლოდა ბულალტერიაში.

გოგონა დავლომსა და მუშაობის გავრძელებას აპირებდა, უეცრად ისევ ჩემსკენ შემობრუნდა, რეგულის ფურცელი უკანვე გამომართვა.

— აი, ამ ოთახში კი, ამ მაგიდასთან, — ერთ-ერთ კვადრატში პატარა სწორკუთხედი ჩახაზა, — ალიკომ თქვენი სათვალე დამალა, — თქვა და გაუღია ალიკოს.

— სათვალე დამალა? — გკითხე დაბნულად. — დიას, ერთ ლამაზ ბიჭს ჩააბარა... ალიკო ამბობს ასე, თორემ ჩემის აზრით, არც ისე ლამაზია... ნახეთ ის ბიჭი და სათვალეს დაგიბრუნებთ.

ყველას გაეცინა. უეცრად სამხაზველოს გამგემ თავი ასწია და გადმეკვძა:

— აბა, იმუშავეთ, რას აცდნთ მაგ კაცს...

მეგონა, რომ ცისფერთვალა რაღაცას მესულრუბოდა, მაგრამ სათვალე მართლაც არსად ჩანდა. დაიხარე და ალიკოს ჩაჩურჩილეთ:

— ამ ოთახში დამალე? — და თითი ფურცელს დავედე, რომელზეც ჩვენი სართლის გეგმა ეხაზა. ალიკოს არც გამოუხედავს ჩემსკენ და მისმა ხაზსუხმა ორი რამ მათქმობინა: ან არ უნდოდა ზედ-

მეტი ახსნა-განმარტება მოეცა ჩემთვის, ან ჩემი შეკითხვა ვერ გაიგო:

— ჰო, მაგრამ ახლა ნულარ გახველ დასარკვეად, გამგე გაუფრდება, შესვენებაზე გავიდეთ...

გაბრაზებით გადახვედი ალიკოს. მე სათვალეზე ველოდებოდი და ის კი: „შესვენებაზე დარეკე“. ჩემს გამოცდას აპირებდა ვაჭარბო, „დიდი პრაქტიკოსი“ და „გამოცდილი ინჟინერი“, როგორც ნათლავს, ალბათ, თავის თავს ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში. დამიხალა სათვალე, რომელიც ოთახში გაიტანა და ვილაყავ ჩაბარა. ამხანაგებს კი წინასწარ შეუთხმნდა და ვითომ იმ გოგონასაც შემთხვევით გაახსენდა ეს ამბავი. მიხვდი, რისთვისაც ჭირდებოდა ალიკოს ეს კუჭუჭალობა. ასე იცის, როდესაც ზოგიერთ ცინიკურთვალს ემკვლევა, როდესაც სხვისი დამკვირვებელი თავის გამოჩენას ცდილობს. ჰგონია, იმდენად გამოშტერებული ვარ, რომ უბრალო ნახაზშიც ვერ გავიყვები. იცის, სირცხვილისა და თავმოყვარეობის გამო ვერაფერს ვკითხავ, თუ სად დამალეს სათვალე. მით უმეტეს — იმ გოგონას... მე თვითონ უნდა მოეძებნო ნახაზის მიხედვით. კეთილი, ყმაწვილი. აწი ხომ ერთად ვიქნებით და ვიმუშავებთ და, სათვალეს კი არა, საკუთარ თვალებს დაგამალოვინებ, ისე დაგაბნინ, სირცხვილისგან ველარაყის შეხედო, გამომიჩინდა დიდი პროფესორი, რაღაც შვენილბაზე ეგდო და ფოქოსნიკობის გარდა გერაფერი უსწავლია, ამასაც დავაზუსტებთ, რა ზუსტი თვალის აქვს.

ფეფქობდი ასე, მალულად გადახედვდი ხოლმე დაფაზე მივლბულ რეფულის ფურცელს და თანდათან მეპარებოდა შიში. გაითუ მართლა ვერ გავიყვებ ამ ნახაზში, რომელიც გოგონამ ოთახების განლაგება დამიხაზა და ჯერით აღნიშნა იმ უცნობი ყმაწვილის მაგიდაც კი, ვისაც სათვალე ჩაბარეს. ო, ნეტავ უკბად ვიპოვო სათვალე, სულ ორიოდ წუთიც არ დამჭირდეს ამისთვის და მერე მე ვიცი. შემოვბრუნდები ისევ ამ ოთახში. აუჩქარებლად წავალ ჩემი მაგილისკენ. მერე, თუ ალიკო მომიჯდა გვერდით, დაფუყებ ლაპარაკ ფეხბურთზე ან სატელევიზიო სადგურზე ან, თუნდაც, კიბერ-ნეტკაზე. ერთი სიტყვით, ყველაფერზე, ოღონდ მოიქვინოს და დარწმუნდეს კიდეც, რომ მე სატყუარს ბანზე ვაგებ და სათვალის სხენებაც კი შეშინია: ალიკოს თავისებურად, ეშმაკურად გაუბადრება სახე და, თავის მხრივ, თვითონაც მომჩვენებს, რომ ვითომ სხვათა შორის გაახსენდა:

— მათხვე, ერთი, ის სათვალე, მინდა...

მაგრამ მე არ დავამთავრებინებ სახელდახლოდ შეთხზული მიხეზის თქმას, სათვალეს ვინ დაფუღებ და თუნდაც ისევ კიბერნეტკაზე განგარბობ საუბარს, ვითომც აქ არაფერი მომხდარაყოს...

ამ ფეფქობში შესვენების დრომაც მოაღწია. ზუსტად პირველ საათზე ახალგაზრდა ინჟინრები წამოიშალნენ, ნახაზებს ქალადლები და გაზეთები გადააფარეს. ზოგი იმ წუთშივე გაიდა ოთახიდან, ზოგი შეჯგუფდნენ, ჯობებში დაიხიროკეს და რა დარწმუნდნენ, რომ საკმაო თანხა შეუგროვდათ, ლუდის დასალკად გასწიეს.

— წამო, დავარკვიებ ტელეფონზე, მერე ლაზორატორიებზე დავათვლიერთ — მითხრა ალიკომ და წამოდა.

— ჯერ სათვალეს მოვიტან და... — მოეძებნი-მეთქი? განკვებ არ გუთხარი, რომ ეგრძნო, თუ რამდენად ადვილი იყო ჩემთვის ამ ნახაზში გარკვევა.

ჩემმა პასუხმა ალიკო ვითომ საშინლად გააოცა, ისე დაბრაწა თვალები, თითქმის არაფერი არ იცოდა სათვალის შესახებ. მერე კი, აქც ვგონებოდა, ეს-ეს არი, რაღაც დიდი საიდუმლო ამოხსნაო, მრავალმნიშვნელოვანად გააქნია თავი, იმ რვეულის ფურცელს დახედა, რომელზეც ოთახების გეგმა იყო დახაზული და თითქმის შევეცოდე, ისე შემომხედა...

გაზეთების კიოსკთან ერთად გამოცხადდით მე და თვა. ჩვენ მაინცდამაინც განებოგრებული არ ვიყავით ხშირი შეხვედრებით და ამიტომ ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას ვიყენებდით. პიჯაკი განკვებ დავტოვე სამსახურში, რადგან თქვს პირველივე კითხვაზე: „ჩემი სათვალე?“, მეპასუხნა: „უპ, პიჯაკის ჯიბეში დამჩნა, ნუ გეშინია, თვა, მოგიტან“. ჩვენ მართლაც ამ სიტყვებით გამოველაპარაკეთ ერთმანეთს და თვა განგარბო:

— ჩამომიტანი, თუ ვიყვარვარ, დაგიცდი.

— ახლა რად გინდა, თვა, საღამოს მოგიტან სახლში... წამო, ნაყინი გჭამოთ...

— რად მინდა? სამ საათზე რომ რეფერატს ვკითხვობ, დავგვიწყდა? — კი არ მკითხა, თითქმის გამიჯავრდა, დამტყუა. ეს მართლაც არ მახსოვდა, მაგრამ გულში შიში შემეპარა, ვაითუ მაღი ვერ ვიპოვებ-მეთქი სათვალე, ამიტომ თვას ასე ვუპასუხე:

— შენ წადი ახლა უნივერსიტეტში. მე ღღებს მაინც არ მაქვს საქმე, გავთავისუფლდები და მოგეტან, მოგისმენ კიდეც.

თვა დაკმაყოფილად ამ პასუხით.

— როგორაა საქმი, კარგად მივიღეს? — მკითხა და ხელი ხელში დამაყარა, ალბათ, სერიოზოა აბი-

რება, მაგრამ მე, ჩემის მხრივ, მინდოდა შესვენების საათი სათვალის მოსაძებნად გამომეყენებინა.

— ძალიან კარგად, მაგრამ (რატომღაც დამებარდა ეს აზრი) ხომ იცი, თვა, არაფერი არ კეთდება გაურჯელად, ოფლის დაუდგერლად, ბეჭი უნდა იბრძოლოს ადამიანმა... აი, თუნდაც — მე... სანამ მიზანს მიაღწევდეს.

— დილით რომ ასე არ ამბობდი? — ბავშვური ნიშნისმოგებით მკითხა თვა.

— მე ყოველთვის ასე გამბობდი — ვუპასუხე და ოდნავ გამაკვირვა კიდევაც ჩემმა სიცრუემ, რომელსაც მერე სიცრუე წავუმატე. — თვა, ახლა დირექტორთან უნდა შევიდე, ჯერ არ ვუნახივარ, მაპატიე...

ასე მოკლე იყო ჩემი პაემანი.

— არ დაგვიანო, იცოდე, სამის ნახევარზე იქ იყავი, — დამაწია თვა.

მაგრამ სამის ნახევარზე სახეწითლებული და ნერვიულობისგან გაოფლიანებული სამდივიომი ცი-დეტი, ტელეფონის მილს ყურიდან ყურზე ვინაცვლებდი და თვას დამშვიდებს ვცდილობდი, იმედგაცრუებული იმის გამო, რომ ოთახს, იმ დაწვეული ოთახს, სადაც სათვალე უნდა ყოფილიყო, ვერაფრით ვერ მივავრები:

— მოვალ, თვა, მოვიდარ... სამ საათზე მანდ ვიქნები. — თვას თვალში ტელეფონოვდა, ასე მომჩვენა მისმა წამოხაზილმა გულფონში:

— რა? სამ საათზე? ახლავე წამოდი, ჩემს რეფერატს სხვას ხომ არ წავაკითხებ? ძლივს გავიგე თქვენი ტელეფონის ნომერი, მანქანა დაიქრავდა, ვესმის? თორემ ვერ მოსწრებ, უკვე საგსეა აუდიტორია, — მესმოდა თვას აღელვებული ხმა.

— ჰო, თვა, ჰო...

და რადგან თვა მხოლოდ იმას ანგარიშობდა, თუ რამდენად სწრაფი ტრანსპორტია ავტომობილი, და არა იმას, თუ რამდენად კარგი ინჟინრია მისი მეგობარი, ხუმრობის გუნებაზეც კი დადგა:

— იცი, აბესალომ, მთელი სათვალისი სტუდენტების მოზლიზაცია გაეკეთეთ, ერთმა დირექტმაც შემომთავაზა... ჩქარა, გელოდები! — და ყურმილი დაკიდა...

მე კი აღარაფერი მადარდებდა, არც ის, რომ შეიძლება თვას ჩამოლოდა რეფერატის კითხვა და აუცილებლად დამეძღვრებოდა, არც ის, რომ პირი აუ არა, გულში მაინც დამკინებდნენ ალიკო და მისი ამხანაგები. წარმოიდგინეთ, არც იმაზე ვჯერობდი, რომ ეს ამბავი შეიძლება მთავარი ინჟინრის, დირექტორის და მთელ დაწესებულებას გაეგო. მე მხოლოდ ერთი ფეფქო მიღრძინდა ტვინსა და სულს: „ნუთუ მართლა არა ვარ ინჟინერი? ნუთუ ასეთ უბრალო ნახაზშიც ვერ გავიყვებ? სათვალე ვერ ვიპოვებ და დარიალკისის აშენებას ვაპირებ? რატომღა მეგონა ჩემი თავი ასე განსწავლული? ვინ არის ამბავი დამნაშავე? სად არის ჩემი შეცდომის ძირი?“

ფეფქობდი ასე და მასხედებოდა ჩემი სტუდენტობა. ბრმა და სუბპირებული ფორმულები, ასი და ორასგვერდიანი კონსპექტების დაზუთხვა, თვალწინ გამილევადა ჩემივე სახე, ამხანაგებს რომ საკურსო პროექტებს ეთხოვდ გალასახაზად. მერე გამოცდები, შპარგალები... „სტიპენდიას მაკარგვინებთ ბატონო ლექტორო? ნუ დამიწებთ სამიანს“, „აბუპალომი ჩემი ინსტიტუტის სიამაყე...“, „ჩიტია, ჩატი, მალე სანაძესაც გაასწრებს...“, „ბატონო დირექტორო, ვთხოვთ გადამდიოთ გამოცდები, კვრას ქალაქის პირველობა იწყება და...“

და თანდათან ყველაფერი ნათელი ხდებოდა ჩემთვის. უპირველეს ყოვლისა კი ის, რომ ცხოვრება უმკაცრეს ლექტორზე უმკაცრესი გამოცდილი ყოფილა ადამიანისათვის. ექვს საათამდე ვეძებდი სათვალეს, ჩუმად, ქურდულად, რომ არავის შეემჩნია ჩემი გაჭირება, ხან ვითომ წყლის დასალევად გავილოდი, ხან — ვითომ ტელეფონზე დასარკვეად, თან ძალზე მიკვირდა, რომ არც ალიკო, არც ის ცინიკურ-თვალა გოგონა, არც სხვა, არავინ მეკითხებოდა, არა-

ვის აინტერესებდა, ვიპოვე თუ არა, ბოლოს და ბოლოს, სათვალე. ალბათ, გულისხმობდნენ, რომ ეს სულ უიოლესი საქმე იყო უმალესდამთავრებულ ანჟინრისათვის. ერთ ხანს დაეაპირე, რომელიმე მათგანისთვის ხუმრობა-ხუმრობაში გამომეტყუებინა იმ ოთახის მდებარეობა, მაგრამ ვეშობოდი, ამ „ტექნიკურ“ საუბარში რამე სისულელე რა წამომეყარნტალებინა და კიდევ უფრო ამ წამომეყარნტალებინა ჩემი უტოლდინარა. ერთი სიტყვით ჩემს ოფის ველარ ვენდობოდა...

დიდხანს ვიხეტილავ ქუჩებში, ბოლოს სახლისკენ გავსწიე. ვფიქრობდი, როგორ მეგობრებინა თვა, რა მეთქვა თვასათვის. „სათვალე გამოიტყდა?“, „ტროლებუსში ამომავალს?“, „დამეყარვა?“ არც ერთი არ ვარგოდა, რადგან საერთოდ არც ვაპირებდი თავის მართლებას. საკუთარი თავი რაკი მოვატყუე, სხვა რაღად მიმეტყუებინა? მით უმეტეს — თვასთან ბრძანების ამონაწერი მიმეწონდა, რომელშიც ვწერა, რომ მე ინჟინერი ვარ, ვმსახურობ ამა და ამ დაწესებულებაში და ვიღებ ამდენ და ამდენ ხელფასს. მინდოდა მეჩვენებინა თვასათვის, გამებარებინა და კიდევ ერთხელ შენახა მისი ღიმილისაგან გაბადრული, გამშვენიერებული სახე. მაგრამ მე მხოლოდ მისი გაბუტული ტოჩები, საყვედურის გამომხატველი თვალები და ნაწყენი ხმა წარმოვიდგინე: „როგორღა წავიკითხო, სათვალე დამიკარგა?“

თუმცა ამ ბრძანების ამონაწერს თვა მაინც წაიკითხავს, წაიკითხავს დღესვე, რადგან ხილზე ვაგონისას ქარმა ქუდი მომტაცა, თმები ამიწეწა და როდესაც საერთოდ დაფუყვი ძებნა, პიჯაკის უბის ჯიბიდან სათვალე ამომეყა.

ვაი, სირცხვილი, ვაი, ჩემო უბედურო თავო, ამაზე მეტი უსუსურობა შეიძლება? მე თვითონ ამიგდია ქვა და თავი შემიშვრია. მომხვენება ზღვა და წყლის წვეთს დაფურჩივარ. ტყუილად ვემდობოდი ალიკოს. მას საერთოდ აზრადაც არ მოსოლია სათვალის დამაღწეა. ახლა ყველაფერი ნათელზე ნათელი გახდა ჩემთვის — როდესაც ბულალტერიის მოსაძებნად და ტელეფონზე დასარკვეად გავიდი, ალიკო აიღო და ხელში შერჩენილი სათვალე სკამზე გადაფენილ ჩემს პიჯაკში ჩადო, იმ ცისფრთვალა გოგონას კი გაახსენდა ეს ამბავი და როდესაც ოთახების განლაგებას მიხაზავდა, იხუმრა: „აი, ამ ოთახში, ამ ლამაზ ბიჭს ჩაბარაო“, რადგან დარწმუნებული იყო, დაგვხვდები თუ არა ნახაზს, მიგხვდებოდი, რომ ის ოთახი ჩემი სამსახურელი იყო, ის „ლამაზი ბიჭი“ კი — მე. მაგრამ მოხდა ისე, რომ საკუთარი თავი ვერ ვიპოვე...

იქნებ, მართლა ვერ ვიპოვე საკუთარი თავი?

როცა ჩემი ოთახის ქარს მივადექი და გასაღები მოგმარჯვე, დედა გამახსენდა. ვადრეწვიტე, დღეს აღარ მიმეწერა მისთვის ბარათი. ამ დროს დირეფანში მიტო გამოვიდა, ხელში ფარგალი და რვეული იჭირა:

— გცალათ, ძია აბესალომ?


არ ვიცი რატომ, მაგრამ მთელი ჯავრი მიტოზე ვიყარე.

— დამეყარე აქედან და მეროდ აღარ გაბედო! — დავუყვირი საწყალ ბიჭს, და, ალბათ, ძალზე ვაგოცე. კარგია, თვითონვე ისწავლოს ხაზვა, გამოადგება.

ჩემი მაღიძარა საათის ისრები რვას უჩვენებდა. თითქმის დილის შემდეგ არც დამკრულან ადგილიდან. გამახსენდა დედა ტასოს სიტყვები. ეზოში რომ მითხრა სამსახურისკენ მიმავალა: „შენი ზედნიერება გეშენებინოს, შვილო“.

მადლობთ, დედა ტასო.





საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სესილია თაყაიშვილის დაბადებიდან 50 წლისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავი ფართოდ აღნიშნა ქართველმა საზოგადოებამ.

სესილია თაყაიშვილის მსახიობური ნიჭი გამოვლენდა ჯერ კიდევ ბავშვობის დროინდელ „სპექტაკლებში“, რომელთაც ამხანაგებთან ერთად აწყობდა მომავალი მსახიობი. ეს წარმოდგენები, ჩვეულებრივ, იმართებოდა ეზოში, აივნებზე, სასტუმრო ოთახებში, 1914 წლიდან კი სესილია თაყაიშვილი თბილისის გიმნაზიის დრამატული წრის აქტიური წევრი ხდება. 1922 წლიდან ს. თაყაიშვილი აკ. ფაღვას ახლად დაარსებული სტუდიის მსმენელია და უკვე იპყრობს თეატრალური საზოგადოების ყურადღებას.

1930 წლიდან დაწყებული ს. თაყაიშვილი დაუღალავ, ნაყოფიერ მუშაობას ეწევა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

ს. თაყაიშვილმა დაუვიწყარი სახე შექმნა ქართველი საბჭოთა ადამიანებისა. გასაკუთრებით აღ-



სანიშნავია გვირგვინის როლი პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებაში“.

არანაკლები სიძლიერით გამოვლინდა ს. თაყაიშვილის ნიჭი და ოსტატობა ევროპულ, ქართველ და რუს კლასიკოსთა ბიჭებში. მსახიობმა დიდი განც-

დიო და რეალისტურად განასახიერა ქრისტინეს როლი „ნინოშვილის გურიაში“ დაუვიწყარია მისი ოგულალოვა („უმზიფო“), კატერინა („სიბრძნეული ცოლის მორჯულება“) და ძიძა („რომელ და ჯულიეტა“).

ს. თაყაიშვილის მორიგ გამარჯვებულ უნდა ჩითვალოს ინგლისის დეოდორის ელისაბედის როლი შილერის „მარიამ სტიუარტი“, ეს როლი მსახიობმა მაღალი ოსტატობით და დამაჯერებლობით განასახიერა.

ს. თაყაიშვილი ერთნაირი ხალისით ჰკიდებს ხელს დიდ და პატარა როლებს, ერთნაირი სიძლიერით ასახიერებს, როგორც დრამატულ, ისე კომედიურ პერსონაჟებს და მაყურებელიც ყოველთვის მოხიბლულია მსახიობის თამაშით — თეატრის სცენაზე ხედავს მას, კინო-ეკრანზე, თუ ესტრადაზე.

რესპუბლიკის სახალხო არტისტს ს. თაყაიშვილს თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეუქვს ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. **ი. მ.**

ეზოში შობილი დაფნა

რაც აღამაინა კერძების დამზადება დაიწყო, დაფნა მტკიცედ დამკვიდრდა ოჯახში. თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ დიასახლისს, რომელსაც სამზარეულოში დაფნის ფოთლის მარაგი არ ჰქონდეს და ყოველდღიურად საჭმელს იმით არ აწვებდეს. ეს ჩვეულება მამაპაპათავან მოგვცა.

კაცობრიობა უხსოვარი დროიდან იცნობს ამ მცენარეს. ჩვენ წელთაღრიცხვამდე ერთი საუკუნით ადრე დიოსკორიდს მოხსენებული აქვს დაფნა თავის სამედიცინო რეცეპტურაში.

ძველი ბერძნული მითოლოგია ბევრს მოგვითხრობს დაფნის შესახებ და თავის ლეგენდის გმირებს მისი გვირგვინით აშკობს. დაფნის გვირგვინს, როგორც დიდების ნათელს, თავზე ადგამდნენ სამშობლოსათვის თავდადებულ რაინდებსა და უდიდეს პოეტებს. თვითონ დაფნის გაჩენაზე ერთი მშვენიერი მითოსი მოგვითხრობს: ბერძნების ღმერთს აპოლონს ძალიან შეუყვარდა თურმე ერთი ნიშნა სახელად დაფნე. ერთხელ აპოლონმა შორიდან დაინახა ნიშნა, ვერ მოითმინა და მიხედა გაიქცა. დაფნემ დამალვა სცადა და თავის ღმერთს იუბიტერს შეგლა სთხოვა. იმანაც ეს შეუყვარებული ხედ აქცია. ამ ხეს ნიშნას სახელი დაფნე, ან ჩვენებურად დაფნა დაერქვა.

დასავლეთ საქართველოში დაფნა კარგად ხარობს და ზამთარ-ზაფხულ ეზოებსა და ბაღებში მწვანედ ხასხასებს. არაფერ იცის, როდის დამკვიდრდა იგი აქ. არქანჯელო ლამბერტი კოლხიდის აღწერაში აღნიშნავს, რომ დაფნით გადამწვანებულია ცაიშის მთები, ნოქალაქების მდამოებე და შავი ზღვის მთელი სანაპირო.

აქ ახლაც ხარობს დაფნა, განსაკუთრებით კი ხობის რაიონში გაითქვა სახელი. ურთას მთა ორი მდინარის ჯვრისა და მუწჩიას შორის გაწოლილია და სამხრეთის კალთები შავი ზღვისათვის აქვს მიფიცებული. ეს კალთები გაქიმულია თორმეტ კილომეტრზე, მისი ნიადაგი ნოყიერია, ზღვიდან თბილი და ნოტიო ჰაერი ხედება, რაც დაფნის განსახარად მეტად ხელსაყრელია. ამიტომ ამ მთის სამხრეთის კალთებზე ისე ხარობს და დღეგრძელობს დაფნა, კაცმა შორიდან რომ შეხედოს, გადალურჯებული ზღვა ეგონება. მეტადრე მაშინ, როცა ქარი დაერევს ხეებს და ჰაერი ნაზი სურნელით ივსება.

ურთას მთის მეორე მხარე კი საცოდავად გამოიყურება, რადგან მას მრისხანე კავასიონი სუსხავს და ეკალ-ბარდების მეტს არაფერს ახარებს.

დასავლეთ საქართველოში რკინიგზის გაყვანის შემდეგ ქართულმა დაფნამ თავისი ბაზარი მონახა და 1888-89 წლებში იმპორტი შეამცირა და მთელი რუსეთის მოთხოვნილება დააკმაყოფილა. მაგრამ მაშინდელმა უკუდამართმა წყობილებამ ფართოდ ვერ გაშალა დაფნის პლანტაციები და ამ კულტურის გავრცელება თითქმის ჩაკვდა.

მსოფლიო საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა კეთილშობილი დაფნის განვითარებას ხელსაყრელი პირობები და დღეს დაფნა არათუ კოლმეურნეობებს ფართობებზე ხარობს, არამედ იგი დამკვიდრდა გლეხის ეზოში და მისი შემოსავლის ერთ-ერთ დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს.

ყველაზე მეტი დაფნა ხობის რაიონის სოფელ ხეთაშია, მის გორაკებსა და მინდვრებში, ქალებსა და ეზოებში ამ მცენარეს მაგრად გაუდგამს ფესვი და წლის ყოველ დროს ცოცხალი ფოთლებით დაყურსული ბუჩქები გულის განსახარად შრიალებენ. ამ სადაფნეთში მუდამ ზაფხულია. მწვანე ფერს შემოდგომა ვერ ერევა, ვერც ზამთრის სუსხი აკლებს რამეს, ადგილობრივ პირობებს მტკიცედ შეგუებული დაფნა შრიალებს და შრიალებს!

აი, ძველი მედაფნე ხეთის მკვიდრი ესე ბაძალა, მიუხედავად წანაწმულობისა, კოლმეურნეობაში მარადიდ მუშაობს და თავის ეზოსაც არ აკლებს მზარუნველობას. მისი ეზოს ერთი მხარე დაფნის ბუჩქებით არის დაფარული და სურნელოვანი ფოთლები დიდ შემოსავალს აძლევს. ეს კოლმეურნი დაუცხ-

რომლად ზრუნავს დაფნის მოშენებისათვის. ეზოში უდგას 150 ძირი დაფნა ხე, რომელიც ხშირ ფოთლებთან ერთად დახუნძლოვლია თბილისიდან შავი მარჯულებით და ყოველ წელიწადს ათეულ კილოგრამ თესლს იძლევა.

სოფელ ხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს გრიგოლ კუტალოს კარგად აქვს შეგნებული დაფნის ფასი და მნიშვნელობა. მის ეზოში ამ მცენარის ძველი ბუჩქები და ხეები ხარობენ და პატრონს ყოველ წელიწადს დიდ შემოსავალს აძლევენ. ამით წახალისებულმა გრიგოლმა კიდევ რამდენიმე ასეული ძირი დაფნა დარგო, რომ მომავალში თავისი ოჯახის შემოსავალი ერთობლივად გააძლიეროს.

ცაიში გაგიგონიათ? ეს ზუგდიდის რაიონის განთქმული სოფელია თავისი შესანიშნავი სამკურნალო-საბაზანო წყლებით, მაგრამ არა ნაკლებ იცნობენ მას, როგორც კეთილშობილი დაფნის სამშობლოს. აქაურ მედაფნეთა შორის შრომობს და ცხოვრობს ექიმი ანდრო როგავა, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში ემსახურებოდა ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს, ჰკურნავდა ავადმყოფებს და რაიონში დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. როგავა ახლა ოთხმოც წელს მიღწეულია. ხნოვანებამ თავის საყვარელ პროფესიას ჩამოაშორა, მაგრამ შრომისმოყვარე და მუდამ ფუსფუსა, სიბერეს არ შეეშალა და თავის ეზოს მარჯვედ დაუტრიალდა. ახალგაზრდობაში მის მიერ დარგული დაფნები, ახლა ფოთოლსა და თესლს ბლომად აძლევენ. წელიწადში ნახევარ ტონამდე ფოთოლს ახარებს სახელმწიფოს, ხოლო თესლს თვითონ უფხვიერებს ნიადაგს, გამოჰყავს ათასობით ნერგი და მთელ რაიონში ავრცელებს.

როგავამ იცის სუფთა ჰაერზე ფიზიკური შრომის ფასი, პლანტაციაში და სანერგეში მუშაობამ სხეულში სასიცოცხლო ძალები აუმიძრავს, კუნთები გაუმკვრივა და თითქოს სიბერეს სძლია.

ანდრო როგავას არც ვალერი სარჯველაძე ჩამორჩება, ისიც შრომასა და გარჯას შეაბერდა და ახლა როგორც ახალგაზრდა ისე მხნედ დასტრიალებს ეზოში დაფნის ხეებს, წელიწადში ნახევარ ტონა ფოთოლსა კრეფს და სახელმწიფოს ახარებს. სარჯველაძე ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო-ჩიბათში მდინეკოვის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს და თავისუფალ დროს მუშა ფუტკარივით დაფუსფუსებს დაფნის ბუჩქებს.

გარდა სამეგრელოსი, დაფნა შედარებით კარგად გრძობს თავს იმერეთის ზოგიერთ რაიონში, გურიაში, აფხაზეთსა და აჭარაში, ასე, რომ სადაც ციტრუსებია, იქ ყველგან შეიძლება გაიხაროს ამ კეთილშობილმა მცენარემ.

საქართველოში მეურნეობის ეს დარგი თითქმის მივიწყებული იყო. ჩვენ არა გვაქვს მედაფნეობის არც ერთი საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობებს ფართობები და გლეხების ეზოები იმდენ მოსავალს არ იძლევა, რომ გაზრდილი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს.

მარტო ჩვენი სამშობლოს საკონსერვო მრეწველობას წელიწადში ორი ათასი ტონა დაფნის ფოთოლი სჭირდება. ამას თუ მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილებასაც მივუმატებთ, მაშინ ეს ციხერი ერთობლად გაიზრდება. ამდენ მოსავალს კი ჯერჯერობით საქართველო არ იძლევა.

მაგრამ ქართველმა კოლმეურნეებმა ამოცანად დაისახეს, მსგავსად ჩიისა და ციტრუსებისა, ფართოდ გააშენონ დაფნის პლანტაციები. არსდება საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობებში დიდდება დაფნის ფართობები და უახლოეს წლებში უნდა მივიღოთ იმდენი მოსავალი, რომ ჩვენი სამშობლოს კვებას მრეწველობა არ იყოს დამოკიდებული უცხოეთზე და შეწყდეს დაფნის ფოთლის იმპორტი.

კ. გომიკაძე

ხ ი ლ ე ბ ი

ჩვენ ქიღვი ერთი ღიისი ღიქიქიქი



ხიღნი, —
 ფოლადის ლურჯო თაღო, მყარო, მკარნო!
 თქვენ გეხიღებთ ყველაფერი,
 თქვენ გტოვებთ ყველა:
 მატარებელი —
 გადაქროლნი თქვენს რკინის ზურგზე,
 თქვენს ბურჯებს შუა გამდინარნი ტალღანი შმაგნი...
 გვამ უშორესმა უმოწყალოდ მოალა მგზავრნი,
 იმ გვამ,
 რომელიც არ მთავრდება, იწყება მხოლოდ...
 მაღლიდან მიწას გადმოჰყურებს მარადი ზეცა,
 ნაირ-ნაირი ფრინველები დაჰქრიან მაღლა...
 ვით ეს ტალღები,
 ვით ბორბლები მატარებლისა —
 ბრუნავენ მარად, — უძრაობის არ შესწევთ ღონე.

ხიღნი მაღალნი!
 რამ მოგუნსნათ, ვინ შეგაჩვენათ!
 ვის ელოდებით, რას უღებნართ ამ შავ ღამეში!
 რად გაგიწვიათ თქვენ სივრცეში ხელები ისე,
 როგორც ძმა დისკენ სიკვდილის წინ გაიწვდის
 ხოლმე?!

ვისმა წყევლამ და კრულვამ გასჭრა, ხიღებო,
 რამ გადაჩრდილა თაღნი თქვენნი ყორნის
 ფრთასავით!
 რად უნდა იყოთ დღე და ღამე თქვენ იმის მოწმე,
 თუ როგორ რბიან თავის გზაზე ტალღები ჩქარი!
 რატომ გხვდათ წილად, უბედურნი ამგვარი ბედი:
 იდგეთ, უყურეთ — როგორ მიჰქრის ცხოვრება
 თვალწინ,

მზე როგორ ბრუნავს,
 დედამიწა ტრიალებს როგორ,
 როგორ მიქშუის სიშორეში მატარებელი...
 თქვენ კი გამძიმებთ საუკუნო ღუმელი რკინის
 და ყრუ ტკივილით ღრმად იძირვით მიწის წიაღში.

ერთი ღიისიც დაჯვარებთ კიდეც...
 ისე მოვიდა ქვეყანაზე ცისფერი ღამე —
 მე არ მინახავს თვალები შენი.

მე ფანჯარასთან ვიდექი მარტო...
 მთავრებულზე ზეიმობდა მზე ჩამავალი.

დროგამოშვებით ჩემს ხელის გულზე
 უხალთუნვით თამაშობდა არილი მზისა.

ვფიქრობდი შენზე და კვენსოდა გული იმ სევდით —
 ნაცნობია და ახლობელი შენთვის რომელიც.

შენ სად იყავი ნეტავი იმ დროს?!

შემოგარენი შთანთქა მაღლით მოსულმა ბინდმა;
 ნოტიო ღამეს სველი ზეწრის სივრცე მოჰყვა.
 თვალებით ისე ხარბად ვიწვოვ სილურჯებს ციდან —
 ვით სადამო ხანს ხბო წოვს ხოლმე გვიქინდან ძროხას.

მთელი სოფელი მოქცეულა ღუმელის ყდაში...
 ქალაქიდან კი... მე ტრამვის მიხმობს ზარის ხმა.
 გვარი საყდრისა ზუზუნებს და ქანაობს ქარში, —
 მის კლანჭებს ვერვინ გაქცევა — გარდა ქარისა.

მოსაწყენია ყველაფერი სოფელი შენი:
 ვიწრო შუკაში — ღუმელის გასწვრივ — სუნი დგას
 შმორის;

ქებში წყალია უგემური, მღვრიე და ძველი...
 შენი ხალხისგან მსურს მანძილი მთიშავდეს შორი, —

რაზე ფიქრობდი?!
 ვინ იყო შენთან?!
 რად ხდება ასე:
 უფრო რატომ მძაფრდება ტრფობა —
 შენ როცა შორს ხარ,
 ჩემთან როცა ახლოა სევდა...
 ვარდება წიგნი — აღებული ძილის წინ ხელში;
 დაჭრილ ძაღლივით იშმუშენება ლაბადა ფერხით.

და ასე... ყოველ მიმწუხრის უამს შენ იქით ილტვი —
 სად ქანდაკებებს ნთქვენ ხოლმე ღიისის ჩრდილი.


სოფელი

რადგან მათ სულში შემოქმედის არ ბრწყინავს აზრი;
 არ გააჩნია მათ ოცნებას სიმკვირცხლე მერცხლის;
 მათ არ იცინა აღმავრენის ყადრი და ფასი, —
 ურომლისოდაც არ იშობა ამ ქვეყნად ლექსი.

მაგ უღიმღამო აოეპარეს სოფელი შენსას —
 რაც უფრო შორს ვარ — უმატება მით უფრო ეშხი;
 გეწვევი — ვხედავ:
 კვლავ ამოქნარებს მთვლემარე ზეცა
 და კვლავ შენდამი სიძულვილი აღიძვრის ჩემში.

მაგრამ... სოფელში სატრფოა ჩემი.

თარგმანი
 მუსხრან მახუპარიანისა
 და გივი ძნელაძისა



თამაზ ნაგროვილი

ნო ვ ე ლ ა

მხატვარი ალ. ბანძელაძე

— გაგაგეილო? — ღიმილით შემეკითხა ვანო და წვერით დაფარულ პირი-
 ხანზე ხელი მომიცა ცუნა.

— აბა, შენ იცი და შენმა ბიჭობამ! ერთი ფრიალზე შემარემონტე, იქნება
 ჭიპალაანთ თამროს მაინც მოვეწონო!

— კაცო, ქვრივებს თავი დაანებე, სიკვდილს მოგანატრებენ, შენ სხვასთან
 სცადე ბედი. ნუ გეშინია, არც მაინც დამაინც დასაწუნებელი სახიძო ხარ, —
 იხტბარს არ მიტებს ვანო და განაგრძობს, — ეგ არი, გაგალამაზებთ ხოლმე
 ქალაქლებს ამ მაღლიანი სამართებლით და მერე კი ჩვენ გვეცილებით, თქვე-
 ნებურად რომ გითხრა — კონკურენციას გვიწევთ.

დასწევდის ეშმაკმა, რომელი ქალაქელი მე მინახა?! ამ მხარეში ვარ
 დაბადებული და გაზრდილი. განა ერთჯერ და ორჯერ გამირეკია ნახარი
 სამოვარზე! სანამ არ დავფუკავდი, მატარებელი თვალთ არ მენახა და ნაყი-
 ნის გემოც არ ვიცოდი.

კარგა მოსული ბიჭია ვანო გუგეშაშვილი, ელფერი არ აკლია და სიმაღლე,
 მაგრამ ვერც იმას იტყვი — მარგილივით აშვებულაო. ყველაფერი ზომაზე
 აქვს, ყველაფერი შნოსა მბატებს, ფართო გულმკერდიცა და მოჭიდავის ბეჭე-
 ბიც, შუბლზე ჩამოშლილი თმაც და თაფლისფერი თვლებიც. მხრებში ოდნავ
 მოხრილია, თითქოს ვეება ტანის სიმძიმე მიწისაკენ იზიდავს სიარულის დროსო.
 გაფოლადებულ ხელებში სამართებელი უნდოდ უჭირავს, ვაითუ გადამიტყ-
 დესო. ნაზად და სათუთად მუშაობს, კაცი იფიქრებს — ამ ბიჭს ბალობიდან
 დალაქობის მეტი არაფერი არ უკეთებიაო. რა იციან, ორი-სამი წლის წინათ,
 სოფელში ვანოს ქებას ვერ აუდიოდნენ. მთელი რაიონის ფალავანს ტოლი
 არა ჰყავდა ქართულ ჭიდაობაში, ვერც სერბთა სჯობნიდნენ და ვერც ღონით.
 ბევრი ვაჟკაცი გაუტეხია წელში გუგეშაშვილს თავის დროზე, ძალიან ბევრი.

— ხედავ, დღეს ჩემთან რა ხალვაობაა, კვირა არ იყოს, როდი გამიკვირდე-
 ბოდა, — არღვევს სიჩუმეს ვანო და კვლავ თავის საქმეს უბრუნდება.

...ნავიანევი შემოდგომის მზიანი დღეა. ხეებს მწვანე სამოსელი უკვე
 გაუხლიათ, მაგრამ თოვლის ლოდინით დალილები არც ოქტომბერში მოძუ-
 ლებულ ყვითელ კაბას დაიწუნებდნენ. ახლა კი ქარსაც შეუძლია მათი აცხ-
 ცახება და წვიმაც ბარქიანად ასველებს ტანსაცმელში მოძარცულებს. კიდეც
 კარგი, თბილი დღეები არც ისე იშვიათია იმთ ბედად და ხეებზე თბიანი
 სუსხიანი ზამთრის კარბქესთან.

ახეთ ნანატრ დარში სადალაქოში ვის შემოიტყუებ?! პატარა გოგო-ბიჭები,
 ახალგაზრდობა და ქარმა-ქარმაგი ხალხიც, ყველანი, გარეთ გამოფენილან
 სოფლის ორღობებს და ქუჩებში. სალაპარაკო მასალა არავის დაეღვევა და
 ჩონგურზე დამკვრელი ბიჭის მონახვაც ადვილია.

საერთოდ კი, ვანოს სადალაქო ყოველთვის სავსეა ხალხით. ამხელა სო-
 ფელს ერთადერთი კლუბი გააჩნია და ისიც ყველა მსურველს როდი იტევს.
 უამინდობის დროს სოფლის ერთი ბოლოდან მეორეში გადასვლაც ვერ არის

სახლისო. ამიტომ ახალგაზრდები ვანოსთან იკრიბებიან, განა მარტო სალა-
 ლანდაროდ და თუნუქის ღუმელთან გასათობად, არა, აქ სერიოზული საუბა-
 რიც იმართება. ხან დიდი ზღვების გადაღმელებზე ჩამოაგდებენ სიტყვას, ხან
 ახალ გავეთს კითხულობენ და უფრო ხშირად სოფლის ამბების განხილვა —
 ვინ ვის ირთავს, ვინ სად მიდის და ვინ უკეთესი გოგოა სოფელში.

ვანოსთან ქალები არ დადიან. ვანომ არც შეღებვა იცის თმისა და არც
 დახვევა.

— მე მარტო წვერ-ულვაშისა და ქორის ოსტატი ვარ... როცა თქვენ
 წვერს მოუშვებთ, თქვენი სიბრალოლით აქ არ დამეგომება, უწვერულვაშო-
 დაც მიყვარხართ და გულში არ გაიტაროთ ჩემი გაუბედურება, თქვე განაწყ-
 ვეტბო თქვენაო!

სოფლის დინჯ დალაქს, ხუმრობაში ვინ აჯობებს, მაგრამ არც ისე ხშირად
 ხარჯავს ხოლმე მართლიან სიტყვებს გულწრფელი გუგეშაშვილი.

— დღეს უკანასკნელად გემსახურები, ბიძაჩემო — მიუხედავად ვანო.

— რათა? მოგებურდა განა დალაქობა?...
 — რა ვიცი, მომხერდა თუ არა, ისე კი... წასვლას ვაპირებ, დალაქობას
 თავი უნდა დავანებო.

— როდის გადაწყვიტე?
 — არც ისე დიდი ხანია.

— ბიჭო, ამდენი ხელობა გამოიცვალე — სოფლის კლუბის მხატვარიც
 ყოფილხარ, მოჭიდავე, დალაქი და ახლა საით?!
 — ტრაქტორისტობას ვსწავლობ.

— კარგია მე და ჩემმა მზემ, ძალიან კარგი იქნება! თუ ისეთი მირონის
 ტრაქტორისტი გამოხვედი, როგორიც დალაქი ხარ, მეტი ბედნიერება რად გინდა!
 — ემ... მარტო ეგ რომ იყოს სანატრებელი!
 სათქმელი აღარ გაათავა და ოთახში ყრუ სიჩუმემ დაისადგურა.
 ისევ მე ამოვიდგი ენა.

— მართლა, სულ დამავიწყდა, კლუბში არ მიდიხარ? ახალი კინო ამოუ-
 ტანიათ. მთელი სოფელი იქ გაიკრია.

— წასვლით წავიდოდი, მაგრამ გული რომ არ მიშვებს... ამ ბოლო
 ხანებში სიცილიც შემძულდა და...
 კიდეც დარჩა რაღაც უთქმელი, კიდეც შეკრა წარბები და გულთან ხელი
 უცნაურად მოისვა.

— მანდა გაქვს, ხომ არ გაგაპრავია? — შევეხუმრე, მაგრამ ნეტავ არ შევ-
 ხუმრებოდი.

— ისე მეჩვენება, თითქოს ჩემიაო და, მართალი რომა ვთქვა, აქ კი არ არის...
 ცნობისმოყვარეობამ შემისპრო და აღარ მომასვენა, საუბრის ვეზე შევც-
 ვალე და მიკიბულ-მოკიბული გზებით მის გულში ჩავიხედე, პირველმა გავი-
 გე მთელი ისტორია იმ უბედო სიყვარულისა, რომელიც კარგა ხანია აწვალბდა



ვანოს და რომელიც კარგა ხანია აქაურების ენაწამოსკრავ სავნად გადაქცეულიყო.

— სიყვარული გულში მაშინ ჩამესახა, როცა უკვე წამოვიჩრტი; საულვაშეზე გაზაფხულის ჯეჯელო ამბიბინდა და ხმაში ყრბობის მომასწავებელი ხრინწი შემეპარა. განა მანამდე არ ვცინობდი იმ გოგოს: მე და მყვალა პატარა-ილიდანვე ამხანაგები ვიყავით, ერთმანეთთან ყოფნა გვიხაროდა და ერთნაირად ვერთობოდით. დილიდან დაღამემამდე მისი სახლ-კარის სტუმარი ვიყავი, თუმცა იმ უბანში ალმაცერად მიყურებდნენ ჩვენკენ თუ კარგი და უწყინარი ბიჭის სახელი მქონდა გავარდნილი, ამა ერთი მაყვალას მეზობლები-სათვის გეკითხათ — ვინ იყო ყველაზე აბეჯარი ბაღლი მთელს სოფელში, თვალის ერთ დახმ-ხამებაში პასუხი მზად იყო — შაქრო გუგუშა-შვილის ბიჭო!

— თქვენს ბაღაში ღამით ვინ გადაძვრა?
— ვანო!
— ჯა, კოკა ვინ დაგმსხვრია?
— ვანოში!
— ჩემს შვილს ვინ დაუღლიოდაა ლოცა?
— ვანოში!

— დედაჩემის სახელიც სულ პირზე ეკერათ, და გულიანად უსაყვედურებდნენ ჩემი კაცობის გამო. სახლში მოხვენება არა მქონდა: დედის მომბეზრებელ დარიგებას მამაჩემის სილაქები მოსდევდა ხოლმე ჩვეულბერივად. მაგრამ არც დარიგებას ვუვადებდი ყურს და არც სილაქებს ვებუბინო. თავენბა და ჯიუტი ვიყავი. მზე სხვა მხრიდან ამომდიოდა და იმ მზის სურვილს ვისურვებდები. მახსოვს, ერთხელ ვიდაც მოზრდილმა ბიჭმა აწყენინა მაყვალას, არ ვიცი, რაღაც წართვა თუ უდიერი სიტყვა უთხრა. მაგრამ გოგო კი მთელი დღე ზღუქუნებდა, გამოსარჩლებს მოლოდინში. ჩემხელა ბიჭებში პირველი ყოჩი ვიყავი და ამიტომაც გავბედე იმ ბიჭთან წაკინკლავება. კარგა ღალათიანად მბეგვა, ახლა მე გავხედი დასამშვიდებელი. მაინც არ დავუთმე, უფროსი ბიძაშვილი მოვიხმარე და მეორე დღეს სამაგიერო გარდავუხადეთ, მე — მაყვალასი, ბიძაშვილმა — ჩემი.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ეს ამხანაგობა მალე ნამდვილ სიყვარულში გადაიზარდა. აღარაფერი არ მახსოვდა მაყვალას გარდა. სულ თვალბინი შევცოცინებდი, და საპასუხო აღერის ველოდი. გაკეთებდნენ ვამზადებდი, ის მახსენდებოდა, ტყეში შეშასა ვჭრიდი, მაყვალაზე ფეჭობდი, ყველგან მისი სახე მელანდებოდა და ღამებზე შავ თვალბეზე ოცნებით ვათენებდი. იმაზე თავდავიწყებით შეყვარებულს ცაში ასი მზე მედგა, გულით ასი სიხარული დამქონდა და ჩემს ასევე ნატვრას იმისი სახელი ერქვა. მაყვალაც თითქმის მაიმედებდა, ისევ კარგი მეგობრები ვიყავით ერთმანეთისა, ისევ ერთმანეთთან ვხარობდით. ზოდა, დარდიც ახლო არ გამკარებია.

როცა სკოლა დავამთავრეთ, მაყვალა პეტტიკინკუში შევიდა. მე ვიმამლაყინე, პირდაპირ თბილისში ჩავიდე, და თასი გეგმები დავისახე თავში, შენც არ მომიკვდე, ხუხულასავით ჩამეშალა ყველა. ვერსად ვერ მოვეწყვე და ისევ სოფელს დავბრუნდი გაწილებული.

იმედგაცრუებულმა პირველად ვერც საქმეს მოვკიდე ხელი, გავჯარბადი. ათწლეული დამიმთავრებდა და მიწის ჩიჩქა აღარ მეკადრებამეთქი. იოლ საქმეს ვეძებდი. ახლა ეგ ხანდა სალაპარაკო — სახლშია, გართავ და კომკავშირში. დამციხოდნენ — ჭიდაობა და ცეკვა-თამაში ხომ იცო, მეტი რა გინდა, ზოგი მარტო მაგათა სქამს პურსო, მიდი და იჭიდავეო. მეც ვჭიდაობდი.

არ მინდოდა, სახელი საშუალოდ გამფუჭებოდა და სხვათა გასაკილავი დავრჩენილიყავი. კიდევ კარგი, მომეშველნენ და ჩემი ცხოვრების გამრუდებულე გზა ცოტათი გავასწორე, დროზე გამოვეკეთი. დალაქობა ვისწავლე და მალე ისე დავოსტატდი, რომ მოქიდავის სახელი დამიჩრდილეს.

— დალოცოს ეგ ბიჭი, რაიონის სადლაქოში სირბილს გადავჯავრია და მადლი გექნაო, — ამბობდნენ. მართლაც თუ საქმე გეხმის და კარგად მუშაობ, ყველა ხელობა ვარგისია, თუ შენს უნარსა და შრომას ვერ დამრახავენ, ხელობაც არ დაგეძარება.

მაგრამ, ის, ვისი ქებაც და გამხნეებაც წამალივით მჭირდებოდა, ხმას არ იღებდა და ჩემს ნაფიქრალს არა ფეჭობდა, ჩემთან ყოფნა ემძიმებოდა და არც ჩემი ხელობა მოსდიოდა თვალში. მაშინდა ვიგრძენი, რომ ცუდი ამბები ტრიალდებოდა ჩემს თავზე.

ერთ მშვენიერ საღამოს კლუბში შევიარე. მაგიდის გარშემო ახალგაზრდობა მოქურჩებულიყო და რომელიღაც წიგნზე ლაპარაკობდნენ. მაყვალაც მათ შორის იყო. თითქმის სირბილით გავეჩანე იქითკენ, მაგრამ რაღაც ეშმაკად, ფეხი სკამს წამოვკარი და კინაღამ იატაკზე გავიშოტე. ერთმა გოგომ კისკისით მომამახა — რა ნახტომშეშლილი კვიცივით მორბინარ, დალაქების ყრილობა ხომ არა გგონია? — ერთხმად გადაიხარხარეს. მაყვალამაც უცნაურად შეათამაშა წარბები და დაცინით შემომხედა. ესც საკმარისი იყო ჩემთვის, გავწითლდამ და გულში თითქმის რაღაც ჩამიწყვედა, ისე ამოვიგმინე. გუმანიო მივხვდი, ეს შემოხედვა ბევრს რასმე ნიშნავდა, მეც ავლილად ვინიშნე.

ის ამბავი კუბრის პირველი წვეთი იყო, თავლივით ტკბილი სიყვარული რომ ამდგრია, მერე სულ აირია ყველაფერი. რა ვიცი, რატომ მოხდა ეს? რატომ აიკრუა გული იმ ოჯახაშენებულმა თავდავიწყებით შეყვარებულ ქაბულზე და ალო, დალაქ ბიჭს, ერთი გულნამცეცა, საიდანაც ჩამოსული მექანიკოსი არჩია? აბა, რა მექნა, ვისთან მეჩივდი, ვისთვის გამეზარებოდა ჩემი გულწიკვილი.

ურიგო ბიჭი როდი იყო ის მექანიკოსი, გარეგნობითაც მგზობდა და ჩემზე ათჯერ ნასწავლიც იყო, მაგრამ განა მაგიტომ შეიძლება პირველი სიყვარულის დავიწყება, თუმცა ვეღარ გამოვიცა, ვუყვარდი კი როდისმე?

ჩემს მოქიშპეს არც ისე ხშირად ვხვდებოდი, მაგრამ ერთ სოფელში ჩვენი დატევა მაინც არ იქნებოდა. ერთხელ კომკავშირის კრებაზე უგულუო მუშაობა უსაყვედურეს და მეც ორიოდ სიტყვა მივახმარე ბიჭებს. არ შემეპაუა და ყველას გასაგონად იყვირა — გუგუშაშვილს ცოგო წავართვი და იმიტომამ შარობსო.

ბოღმისაგან გული ყელში მომებჯინა. ასე, ჩვენს პატარა-ბიჭობაში კოჭებსა და კაკლებზე ვამბობდით — ამან ეს წამართვა და ამას ეს მოუვუგო. იმ ოხრამა კი ჩემი გულის პატრონზე მაგრე თქვა, სწორედ მაგრე, თითქმის მაყვალა რადაც ნივთი იყო და ნივთივით წამართვა. გავიწიე, ცოტად დააწყვდა და გავართყამდი, დროზე შემაკავეს და საქმეც მიაფუჩეჩეს. მეც გამაჩუმეს, ისიც.

ეგ კიდევ არაფერი, მალე ისიც გავიგე, მაყვალა უარესად აღესილიყო ჩემზე და ამხანაგთან ეთქვა — ერთ შარხვეტია დალაქს თუ ცოლად არ წავყვე, განა კაცები ამოწუნდნენ ამ ქვეყანაზეო?

ხელობაც შემძულდა და ჩემი თავიც. სამუშაოს თავი მივანებე, საბუთად ავადმყოფობა მოვიშველიე... მართლაც ავად ვიყავი, წელის ტკივილი დამჩემდა, გულს ვინდა ჩიოდა.

მაგ სატკივარსაც ვაგუემელი და ვაჯობე. სწორედ მაშინ შემოიარა ჩვენთან თავმჯდომარემ. მამაჩემის ძმაცაცა და შინაურულად დამარბია ქუა. შე კაი კაცი, სახლში რომ არაფერს გუგუნებთან, პატარა კი არა ხარ, უნდა მიხედდე — ასე უქმად ცხოვრება სასახელო საქმე როდია. სიყვარულმა განა შრომაზეც უნდა ავალბინოს ხელიო. აი, ახლა, მონაგარიშეთა კურსებზე ვინმე უნდა გავჯავანო და არჩევანი შენზე შევაჩერე, უარი არ მითხრა და სიხარულით გავრინდი ამ წუთშიო.

სიტყვა არ მოვუწონე: სად მე და სად ჩოქის ჩხაკუნი, მანდ ერთი ცხვირ-მოუხოცელი გოგო გავჯავნეთ და ჩემზე მეტად ის ივარგებს-მეთქი.

ექყინა და დამიცაცხანა — ვაუკაცობის საღერლეო ავშლია და აღარ კადრულს სოფელს, თბილისში ხომ არ მივიწვიე გულიო. მეტი რა გირჩიო, შეილოსან, შენთვის კარგი მინდოდა, შენ კი ქვა ამიგდე და თავი შეუშვირე. აგრე ჯიუტი ვერც შეყვარებულს გამოადგები და ვერც ოჯახსო.

თავმჯდომარემ ჩემი ლანღვით ენა ავლილად მოიფხანა და წავიდა. მე კი გულში ჩამივარდა მისი სიტყვები, გადავწყვიტე, დალაქობაზე ხელი ამეღო, ჩემი ჯანის პატრონს უფრო სასახელო ხელობა მესწავლა და ხალხს უფრო გავმოდგომოდი. მექანიკოსი თუ არა, კარგი ტრაქტორისტი ხმდ გავხდებდი და უქმეც მაყვალასთანაც გამომივიდეს საქმე-მეთქი. როდი დამცადნა.

...იმ თვეში ქორწილი გადაიხადეს; მთელი სოფელი მაჯავნე ლაპარაკობდა, ბიჭს მარჯვენას უქებდნენ, გოგოს — სილამაზეს, და ზურგს უკან გულმოკლულ გუგუშაშვილს დასცინოდნენ. მე კი მათი ერთად სხენდა ბოღმას მისაკეცვლად, თავზე ლოდვით მარჯვებოდა. ცოლ-ქმართან შეხვედრას ვერიდებოდი, მაყვალას გულიდან ამოღება მეწადა, რატომაც დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ თვალსწარვებ მექანიკოსს ერთი სიყვარული არ ეყოფოდა და სურვილი სხვის-კენაც ვასწავდა გრძნობაშეუკავებელი. ის წესიერი ოჯახური ცხოვრების მიჯნაზე გამჩერებელი არ ყოფილა.

მართლაც მაგრე მოხდა, ბედმა მაყვალას უწრუნელოდ შეაქცია ზურგი და ახლა სხვას გავთამაშე, ახლად შერთულ ქმარს შარხანდელი თოვლივით გაუქრა სიყვარული. თავისი სურვილი შეისრულა და იმდენს ეცადა, რომ ცუდ ქცევითა და მკვანე-მკვანე სიტყვებით მაყვალასაც შეაძულა თავი, ღამებზე ღვიწის სმასა და არსიყობაში ატარებდა, მერე გულდანახდა აიკრა და უკვალოდ გადაიკარგა.

ვითომ უნდა გამხარებოდა? რა ვქნა, მართლა გამიხარდა, მაგრამ მალე იმასაც მიხვდნენ, რომ მაყვალა უფრო დიდი მანძილით დამშორდა. იმ ახვედ ზაფხულში ჩვენს შორის გათხრილი უფსკრული უფრო გაღრმავებულიყო. გოგო სირცხვილით თავს აღარ ჰყოფდა გარეთ, ხანთელივით დნებოდა.

მე ისევ გულზე მეხატა და ისევ მზად ვიყავი მისი სიყვარულის ღირსი გავმხდარიყავი; ვაი, რომ ისევ მიმტყუნებდა იმედი.

განა იმისი მეშინა სხვისი ნაცოლარი სახლში მოვიყვანო, ხალხს სალაპარაკო გავჭირნო? არა, ჭკვიანი ადამიანი ავლილად გამოვიგეს, ქორიკანათა ნათქვამი კი, შენთან ბოღიში და, ფეხებზეც არ მკილია. არაფრის არ მეთათკივება, მაგრამ, ალბათ, ისიც გრძნობს, რომ რაგინდ კარგად ვიცხოვრობო, ერთხელაც იქნება და თვლი შეზაბად გადავეცემა. რა ვიცი, შესაძლოა არც მოხდეს ასეთი რამ, მაგრამ ფაქტია, რომ მაყვალას აღარ ვუყვარავ და მეც, თავგზაუნულია, რა ვქნა, რა ვიღონო, არ ვიცი. სულ იმის ნატვრაში ვარ, ისევ შევფხმებოქობდე ქორშიაც და ლხინშიაც; იმდელკარგულს გზა და ხილად გავედლო. ნეტავი შეიძლებაღეს მისი გულის ჩემს საგულში დაბრუნება, ძველი გრძნობების განახლება და ახლის, უფრო უწყეთისის დაწყება. ნეტავი!.. მე კი იმედი, ჯერ საბოლოოდ არ გამცრუებია.


...გაჩუმებული ვიჯექი, ან კი რა უნდა მეთქვა, რით მენუგუშებინა ეს ოქროსავით ბიჭი, ახნელა გულის პატრონი, ასეთი წმინდა სიყვარულის მფლობელი. ვერც ერთი სიტყვა ვერ გამოვხანებ და მე მგონი, არც იყო საქირო.

უხმოდ გამოვემშვიდობე თავჩაღუნულს და გარეთ გამოვედი. ბინდებოდა. დიდხანს შინ ნამყოფს სცივემ დამკრა და აჩქარებით გავუყვიე ჩემი სახლისაკენ მიმავალ გზას. ქიშკართან პაპაროსის მისაკედებლად შევჩერდი და უნებლიეთ, ორიოდ სიტყვას მოვკარი ყური. ჩემი მეზობლები მასლაათობდნენ.

— გერეა, ჩემო რძალო, ეგრე!
— ქაა, მაგ საწყალ ვანოს მალის ქონი წაუხვა ვინმემ თუ რა არი, უცებ რომ შეიძულა იმ თვალდასავსებმა გოგომ ანგელოზით ბიჭი!

— მგლის ქონი რა სათქმელია, თავისი თავი თვითონ დალუპა! შეყვარებულს კარგად ვერ მოუარა და ავი კიდევ წართვეს, ახლა ორთავეს, აი მეხი კი დავაყარე თავზე, ერთმანეთისა რცხენიათ და გულდღეობენ. ვანო, კი იმის მავიჯრად რომ ქმრისაგან თავინებებოდი გოგო გააბედნიეროს, გული მოუღუბოს, ახიერებულა — აღარ ვუყვარავო. ძალიანაც უყვარს გოგოს და ძალიანაც კი უნდა შეცვალოს თავისი ცხოვრება, გულზე უნებურად დაგდებული ნაღველი მალე გადაიყაროს. რაღას უცდიან, ნეტავი!

მართლაცადა, ნეტავი რაღას უცდიან-მეთქი, — გავიფიქრე მეც ჩემბი...
...გაჩუმებული ვიჯექი, ან კი რა უნდა მეთქვა, რით მენუგუშებინა ეს ოქროსავით ბიჭი, ახნელა გულის პატრონი, ასეთი წმინდა სიყვარულის მფლობელი. ვერც ერთი სიტყვა ვერ გამოვხანებ და მე მგონი, არც იყო საქირო.



საუკეთესო სათევზაო ადგილები უკვე დაკავებულია.

ფოტოგრაფი მთ. თურქიანი.

საქართველოს
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეთერის სიმღერა

თბილისის კინოსტუდიამ გამოუშვა ახალი მხატვრული ფილმი „ეთერის სიმღერა“ (სცენარი და დადგმა რეჟ. ს. დოლიძისა).

ფილმი მოუთხრობს დიდი ქართველი კომპოზიტორის ზ. ფალიაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ფოტოზე: კადრები ფილმიდან.







როცა ქალაქის ქუჩებში ცხელა, ბავშვები პარკის „მწვანე ქუჩებს“ აფარებენ თავს.

ფოტოგრაფი ოთ. თურქიასი.

დაშორებული მშობლიურ სოფელს მე ჩემს ოჯახში მივედი სტუმრად, მივუჩქე ბუხარს ცეცხლჩაუქრობელს რომ ჩემთან ერთად გესაიდუმლოთ, —

თქვენ კი სანატრელ დღის ნ ბერწლებო ისე დაიწვიოთ — ვერ გამახარეთ, — სასიხარულო და საოცნებო თქვენც დაგრჩენიათ, ვხედავ, კარგარედ!

ძველ ოლა-სახლის დათოვლილ ყავარს მზის ნაბერწლებთან ერთად აცვივით, გაზაფხულს უკვე დაუნახავართ და მეც აქა ვარ სოფლის — კაცივით...

მიყვარს ჯივთუნის გაშლილი ვაკე, დიდი რიონის ველით ვერთობი, შორი ოცნებით რამდენჯერ ვაქე შორს გაწეული მთების ფერდობი!

მიყვარს მინდორი მინდორს რომ ერთვის, დღეც რომ გათენდეს არაშინანი, — კავკასიონის ქედი ყოველთვის აქედან მაინც ლამაზი არი!

მთა-ბარი ისევ ხვდება გაზაფხულს, კვირტს იყრის ნერგო ახალთახალი, სოფლიდან სოფლად, მინდორს გადახნულს უმღერს რადიო-ანძა მალაო!

და საოცარი არაა განა, რომ აქ თავისი მტკიცე ბუნებით ათასწლოვანი ძელქვეები დგანან ჯგუფად ვით ძველი დიდებულები!

ახალ სოფელთან შეკრულან ფიცით, დრო იმათ ჯავარს არ დატყობია, ზედ ჩემ ჭიშკართან ერთი ნაბიჯით გასს მხოლოდ ერთი გადადგომი!

ცაში ამაყად ამართლები იწარჩუნებენ ზვიად ხასიათს, თუმცა ქარი ქრის... და მავთულებით ცა ელსადგურებს გაღუხანათ.

ღრმა ამოსუნთქვით ხვდება გაზაფხულს მიწა ჯერ ისევ თოვლქვეშ მინარია! — და ვგრძნობ რომ ჩემშიც ქრება რაც ამ გულს ჯავრი ჭქონია და სამძიმარი...

ბუნებრივი

ჯერ ისევ ჩუმი საღამო არის, მოწყენილი და ცივი საღამო, ჩემ დაუდგარიმელ და უქრობ ხალისს შეუწყობი და შეუსაბამო!

მარტო ვარ. გული ძალ-ღონეს იკრებს, მინდა ბუხარის წინ ვათიო ღამე, ციხე-კოშკები შემოაქვთ ფიჭრებს და ჩემი ტახტის გარშემო დგამენ.

ბნელში კი თავი მიუღვეს ძელქვას, ძილს რომ ებრძოდეს — ბუნებრივია: არ შეიძლება ცეცხლი არ ერქვას, მისი თვალები ისე ღვივანი!

აღარ დგას, როგორც ხე ახოვანი, კუნძი ახლა, მაგრამ ფარული გულში აქვს სითბო ათასწლოვანი, უინი, სიცოცხლე და სიხარული!

ხის ანთებული უბრალო ხიფვიც როცა ნაბერწკლად მიფრინავს მალა, ვგრძნობ, სიყვარულის წუთივით იწვის და ერთ სიმღერას იმღერის ახლა:

„დაიწვი ბებრის გულს და ქერქო და განათე ღამის წყვილი, რამდენი წუთი სიცოცხლეც გერგო, იმდენ ნაბერწკლად კვლავ აცქრიალი!

ხოლო თუ ვინმე აიღებს კალამს, საწერად აქვე ჩაიბუხლება, — გესმის? არ ჩაქრე, არ ჩაქრე, სანამ თვით გულის ცეცხლი არ ჩაუქრება!“

ესმის ეს ძელქვის ანთებულ ნაობს, მამაპაპურად გუგუნებს კერა... და ციცხლი, როგორც თქმულვდა ამბობს, ჯერ მაინც რომ არ ჩაქრება, — მჯერა.

ბნელს ირგვლივ აღმა მისცა ელფერი, წუთი ანათებს წუთს ვით წუმწუმა, ძილს ებრძვის ძელქვის კუნძი ბებერი, და ეღიმება ბუხარს ჩუმჩუმად.

მაქსიმ გორკი თბილისში

ლევით პულნიკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1928 წლის 23 ივლისს საქართველოს დედაქალაქს თბილისს ეწვია ძვირფასი სტუმარი — მაქსიმ გორკი. თბილისის მშრომელთა დელეგაცია მაქსიმ გორკის თაივლებით მიეგება ნავთილულის სადგურზე და მას მხურვალე ოვაციები გაუმართეს სამგავრო ვაგონის ბაქანზე გამოჩენისას.

მაქსიმ გორკიმ მოკლე სიტყვით მადლობა გადაუხა და დელეგაციას და ბოდიშის მოხდით თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „მადლობელი ვარ შეხვედრისათვის, — ძალიან დაღლილი ვარ სიცხით, შეუწუხებელი მტვრით, ლაპარაკის თავი აღარ მაქვს. მიიღეთ ჩემი გულითადი სალამი და... Пустите меня, ради бога, в баню!“

ცნობილია, რომ გორკი საქართველოს თავის მეორე სამშობლოდ სთვლიდა. გაუ. „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში, გორკიმ თქვა: „მე ჩემს მეორე სამშობლო ქალაქში — თბილისში უკანასკნელად ვიყავი 25 წლის წინათ, — 1903 წლის ივლისში. მაშინ ჩემთან ერთად იყვნენ ანტონ ჩეხოვი და მხატვარი ვაქტორ ვასნეცოვი. ამ ხნის განმავლობაში აქაურობა ძლიერ გამოცვლიდა. როგორც საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეს, ისე თბილისს სრულებით ახალი, ჯანსაღი იერი აქვს“. გორკი ჯერ კიდევ 1905 წელს საქართველოს შესახებ წერდა „...მე ისე მხურვალედ მიყვარს ეს მშვენიერი ქვეყანა, — სილამაზისა და ძლიერების ეს გრანდიოზული განსახიერება, — მისი თოვლით დაფარული მთები, — სწრაფი მოჩუხჩუხე მდინარეები და მზიარული ხმაურით აღსავსე მინდვრები და ხეობები, — მისი ლამაზი, ამაყი ხალხი“.

მაქსიმ გორკის თბილისში ჩამოსვლისთანავე — 1928 წლის 23 ივლისს, საღამოს, ხელოვნების სახლში გორკის პატივსაცემად გაიმართა ბანკეტი, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები და ქართველი მწერლები.

ამ ბანკეტზე გორკის შესანიშნავი სიტყვით მიესალმა მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი. მან აღნიშნა გორკის დიდი დამახსოვრება, როგორც საბჭოთა მწერლობის ფუძემდებლისა და დიდი საზოგადო მოღვაწისა. უსურფა მას ხანგრძლივი სიცოცხლე, ახალი ქვეყნის, საბჭოთა კავშირის მშრომელთა საკეთილდღეოდ.

ალექსი მაქსიმეს-ძემ თავის საპასუხო სიტყვაში, მადლობა უძღვნა რა ქართველ მწერლებს და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს ასეთი გულთბილი მიღების და მხურვალე შეხვედრისათვის, — აღნიშნა, რომ ის თავის ლიტერატურულ შემოქმედებაში ყოველთვის ეძებდა ადამიანს და რომ მისი მასწავლებელი იყო მხოლოდ ცხოვრება: „ეს ცხოვრება ახლა სულ სხვანაირია, ვიდრე იყო წინათ. ამ ახალ ცხოვრებას ქმნის საბჭოთა კავშირი და ზრდის ახალ ადამიანებს. როგორც მე, ისე თქვენ ქართველ მწერლებს ვალად გვაწევს ხელი შევუწყობთ ახალი ცხოვრების განმტკიცებას და ახალი ადამიანების სავსებით ჩამოყალიბებას“.

24 ივლისს გორკიმ, — თავის შვილთან ინჟინერ მაქსიმე ალექსის-ძემ პეშკოვთან და დელეგაციის წევრებთან ერთად, — დაათვალიერა საბჭოთა საქართველოს ღირსშესანიშნავი მშენებლობანი — ზემო ავქალის პიანოვსკადგური, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზოოლოგიური განყოფილება, რომელიც დიდად მოეწონა და თქვა: „თუ ყველა განყოფილება ასე მოეწყობა მუზეუმში, საქართველოს მუზეუმში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება საბჭოთა კავშირში“.

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ გორკიმ ინახულა კოჯრის საბავშვო სახლი და ბავშვთა ახალშენები. პირადად გაეცნო პიანერთა ორგანიზაციებს.

ბავშვებმა თავიანთ ძვირფას სტუმარს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. როცა ბავშვთა გუნდმა მრავალჯამიერი იმღერა, — გორკის ცრემლობი მოიკრია და წარმოთქვა: „აჰ, როგორა ჰგავს ეს სიმღერა 25 წლის წინათ თბილისში მოსმენილ სიმღერას“.

ალექსი მაქსიმეს-ძე დიდად ნასიამოვნები დაბრუნდა კოჯრიდან, ხოლო ამავე დღეს, საღამოს 8 საათზე ხელოვნების სახლში მაქსიმ გორკის პატივსაცემად შესდგა საბჭოთა მწერლების ფედერაციის საზეიმო სხდომა. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი, გორკის გამოჩენას ყველა ფეხზე ადგომითა და მხურვალე ოვაციებით შეხვდა.


გორკისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გახსნა მწერალთა ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ სილვა თორდიაშვილი. სიტყვებით გამოვიდნენ ქართველი მწერლები — მიხეილ ჯავახიშვილი და ტიციან ტაბიძე, რომლებმაც დაახასიათეს გორკის შემოქმედების უდიდესი მხატვრული ღირსება და შემიცნებთი ღირებულება. — ამავე დღის გორკის სთხოვეს, რომ განემარტა ზოგიერ-


თი იმეამად არსებული მტკიცეული საკითხი, და თავისი ავტორიტეტული სიტყვა ეთქვა ქართველი მწერლებისათვის. მ. ჯავახიშვილისა და ტ. ტაბიძის სიტყვის შემდეგ გამოვიდა მაქსიმ გორკი, რომელმაც აღნიშნა, რომ „ოქტომბრის რევოლუციამ დიდი გარდატეხა მოახდინა მეფის დროინდელი რუსეთის ხალხთა შორის: მათ ყოველში სრულებით ნიადაგი გამოეცალა ძველ ტრადიციებს და ქვეყანა დააყენა ახალი ცხოვრების გზაზე. ყოველი მუშაკის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ხალხთა ამ გარდაქმნის პროცესს. უწინარეს ყოვლისა კი, საჭიროა საკუთარი თავის გადახალისება, ამ დიდ მოძრაობაში გათქვეფა და კოლექტიური სულის შეთვისება. ამ გზით, ასეთი გეგმით ჩვენ უნდა დავემართო მასას, რაც ხელს შეუწყობს კულტურული რევოლუციის მოხდენას.“

აგრეთვე საჭიროა საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის კულტურული კავშირის გაძლიერება. ამ მიზნით, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ერთიმეორის შემოქმედების გაცნობა. ეს შეიძლება მოხდეს ერთი ეროვნების შემოქმედების მეორე ეროვნების, თუ გინდა რუსულ ენაზე გადათარგმნით და პირიქით“.

მაქსიმ გორკი, — თბილისში ყოფნით დიდად კმაყოფილი, თავის შვილთან ერთად იმავე საღამოს 24 ივლისს გაემგზავრა სომხეთის დედაქალაქ ერევანში.

გორკიმ თბილისში ყოფნის აღსანიშნავად 1928 წლის 24 ივლისს გადაიღო ფოტოსურათი ქართველ მწერლებთან ერთად (რომლის დედანი ინახება საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში), ხოლო აქ წარმოდგენილი მაქსიმ გორკის პორტრეტი დახატულია მხატვარ ვ. კროტკოვის მიერ, სწორედ იმ დროს, როდესაც გორკი ტრბიუნდანი ლაპარაკობდა 1928 წლის 24 ივლისს.





ქართული ბიბლიოთეკა

მ. შიქაძე

ფოტო ნ. მაღალურაძისა

ხომ მეტად ძნელი წარმოსადგენია დღეს უქალღობა, უბრალო ბარათსაც ვერ მისწვრთ მეგობარს, თუ ქალღობი არა გაქვთ. წინათ კი, არათუ ბარათები, წიგნებიც უქალღობად იწერებოდა. ალბათ, გაგიგონიათ ასურეთის მეფის ასურბანიპალის ბიბლიოთეკის შესახებ, რომელიც უძველეს ქალაქ ნინევიის ნანგრევებში აღმოაჩინეს. იქ არ ყოფილა ქალღობის არც ერთი ფურცელი. ბიბლიოთეკის ყველა წიგნი თიხის ფირფიტებზე იყო დაწერილი.

არა ნაკლებ საკვირველი იყო პაპირუსების გრაგნილებისაგან შემდგარი ხელთნაწერების ბიბლიოთეკა. რამდენი გულმოდგინეობა, ჯაფა, უძილო ღამე სჭირდებოდა ამ უცნაური წიგნების თვითიული გვერდის მხოლოდ გადაწერას — თიხის ფირფიტების დამზადებას, გრაგნილების შედგენას. ახლა ყოველ ოჯახში იმდენი წიგნია, საჭირო რომ ყოფილიყო, მთელ თავის სიცოცხლეში მათი პატრონი ვერ შეძლებდა ამ წიგნების ხელით გადაწერას.

საბედნიეროდ, ახლა ეს არავის სჭირდება. გინახავთ საროცატიო მანქანა? ამ მანქანაზე საათში ათასობით იბეჭდება გარეთები, შურნალები, წიგნები. მაგრამ ქალღობი რომ არ ყოფილიყო, ცხადია, არ იქნებოდა არც გუტენბერგის გამოგონება, არც ეს საბეჭდი მანქანა, რომელიც თვით გუტენბერგსაც განცვიფრებაში მოიყვანდა. ხომ არაფრად გვიღირს ფარაჩინა ქალღობის ფურცელი, მაგრამ დღევანდელი ადამიანისათვის წარმოუდგენელია უქალღობად ცხოვრება. ახლა ქალღობი პირველი მოხმარების საგანად არის ქცეული, ზოგმა კი არც იცის, როგორ ამზადებენ მას.

ვიდრე კომბინატის ეზოში შეხვიდოდეთ, თქვენს ყურადღებას ხეებით დატვირთული ავტომანქანები მიიქცევენ.

— ეს ხეები, — აგისხნით ინჟინერი, — ქალღობის დასამზადებლად მიაქვთ კომბინატში, ზოგი ზვანი ტყისმჭერელების მიერაა მოჭრილი მთებში, ზოგიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარიდანაა გამოგზავნილი.

კომბინატის ფართო ეზოში უამრავი სხვადასხვა ზომის მორი ყრია, მათ შორის ბევრი ჯერაც კანგაუხდელი და სველია, ენგურადან ახლად ამოღე-

ბული. აქ თითქმის არაფერია უჩვეულო და განსაცვიფრებელი. მოგუგუნე ელექტრომოტორებისა და მექანიკური ხერხებით სწრაფად ხერხავდნენ, მოკლე მორებზე ჰრიდნენ ხეებს, მერე იქვე სხვა იარაღებით კანს აცილიდნენ, ასუფთავებდნენ მორებს. რიგ-რიგობით აწყობდნენ მორებს, ერთბაშად ამორავებდებოდა მანქანა, — ტკაც! — და მანქანის სოლი-სებური დინგი ღრმად შედიოდა მერქნის გულში. ამგვარად, მორები იპობოდა და ტრანსპორტიორის საშუალებით განუწყვეტილად მიემართებოდა წყლით სავსე აუზისაკენ.

რამდენი კაცი იქნებოდა საჭირო, რომ ეს სამუშაო ამავე სისწრაფით შეესრულებინათ. ალბათ, ასი მუშაც ვერ აუვიდოდა. აქ კი სულ რაღაც სამი კაცი ტრიალებდა მანქანასთან. რასაც ახლა მანქანა ასრულებდა, წინათ, თურმე, ხელით კეთდებოდა.

აი, ეს ქვეიანი მანქანაც, ასე სწრაფად რომ აპობს მორებს, ამ ოთხიოდე წლის წინათ დაუდგამთ, აქვე კომბინატში დაუმუშავებიათ მისი კონსტრუქცია გამოგონებულ-რაციონალიზატორებს და აქვე

დაუმზადებიათ. ამიტომ სამართლიანადაც უწოდებენ მას მუშები კომბინატის პირმშოს.

— უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, — გვიხსნიდა ახალგაზრდა ინჟინერ-ტექნოლოგი აკაკი ბელქანია, — ამ მანქანამ 600.000 მანეთის ეკონომია მისცა კომბინატს და ათობით მუშახელი განთავისუფლდა მძიმე შრომისაგან.

მართლაც სახუმარო არ ყოფილა ეს მანქანა! ამდენი თანხით, ალბათ, სოფელში სკოლის ახალი შენობაც აიგებოდა და კლუბიც. ყველაზე საინტერესო მაინც ის მანქანებია, საიდანაც პირდაპირ გადა-
მოღის ქალღობი.

ინჟინერი კი არ ჩქარობს.

— თუ მართლაც დაწვრილებით გინდათ გაეცნოთ ქალღობის დამზადებას, კვალდაკვალ უნდა გავყვეთ აი ამ მორებს, ვიდრე ქალღობად იქცეოდეს, — თქვა მან და კოშკურა საამქროსაკენ წავიძიდა.

ძალიან, ძალიან მაღალი ხეები იზრდება სვანეთის მთებში, მაგრამ ამ კოშკს მაინც ვერც ერთი მათგანი ვერ მისწვდება. მის მეტრის სიმაღლის მაინც იქნება ეს ცადაღმართული კოშკი.

ვიდრე ქალღობის ფაბრიკამდე მიდევდეს, ჯერ ეს კოშკურა საამქრო უნდა გაიაროს ხეების მორებში. აქ ჯერ მანქანების საშუალებით იმტვრევა, ნაფოტებად იქცევა მერქანი, ხოლო შემდეგ უზარმაზარ ქვაბებში იხარშება. ქვაბი კი არა სამიოდეოდა-სახლი მაინც ჩაეტევა მის უშველდებელ ხახაში.

— აი ამ მილებით, — განაგრძობდა ინჟინერი, — ქვაბებში გადახურებული ორთქლი და გოგირდმჟავა შედის. სწორედ ეს ქიმიური ნივთიერებებია, ხის მერქანს წვირდ ბოჭკოებად რომ შლის. ასე მიიღება ქალღობის ნახევარფაბრიკატი, ფაფად ქცეული ცელულოზა. მაგრამ მერქნის დამუშავების პროცესი ჯერ კიდევ დასრულებული არ არის. აბა, შეხედეთ, ამ მურაფერი ფაფისაგან რა ქალღობი უნდა დამზადდეს!

ცელულოზის ფაფის შემდგომი დამუშავება ცელულოზის ქარხანაში ტარდება. აქ საქალღობე ბოჭკოს სპეციალური მანქანების საშუალებით კვლავ რეცხენ, სწმენდენ, ასუფთავებენ, ახარისხებენ და გამათეთრებელ განყოფილებაში გზავნიან.



← მორების მზიდველი.

ზე მოსურათზე — საამქრო, სადაც ქალღობი შრება და ეხვევა რულონებად.

— აბა, წავიდეთ, ეს პროცესებიც ვნახოთ, — თქვა ინჟინერმა და ცელულოზის ქარხნის დასათვალიერებლად წავიყვანა.

...ვეება აუზები, რკინის თხელი ბადეებითა და ტიხრული, ცხელ წყალში გახსნილი ბოქსო მდორედ მიედინება ერთი აუზიდან მეორეში, შემდეგ ქაფ-მოღებულ სითხე კიდევ რომელიღაც მანქანის ხახაში ეშვება. ერთხელ კიდევ იღვებება, ქუცმაცდება მერქანი, იწმინდება და კირის მათეთრას საშუალებით სავსებით ზამბასავით თეთრ მასად იქცევა.

პროცესის პირველი ნახევარი უკვე დამთავრებულია. მიღებულია ეგრეთ წოდებული „ქაღალდის ფაფა“. ყველაზე ძნელი სამუშაო ახლა იწყება, — ფაფისაგან ქაღალდი უნდა ჩამოსხას. მაგრამ, ვიდრე ეს მოხდებოდეს, კიდევ მრავალი ოპერაციის ჩატარება საჭირო.

პირველ ყოვლისა, ცელულოზის ფაფა გაივლის საქვიშარს, აქ საგანგებოდ მოწყობილ ტიხრებსა და ნახვრეტებში ფაფაში მოხვედრილი ქვიშა და მტვერი ილექება, შემდეგ ცელულოზი გადადის გვერდებულარულ დოლში, რომელიც განუწყვეტლივ ირხევა.

ამ მოწყობილობას მექაღალდეები ნასკვებმჭერ მანქანას უწოდებენ. მართლაც, მასში ცელულოზის გატარებისას ნასკვები და მინარევიები დოლზე რჩება, ხოლო წმინდა ფაფა ღარებში გადადის და უკვე ქაღალდისმკეთებელი მანქანის ბადეზე ისხმება. ამ მანქანიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით კი უკვე ქაღალდის დამახასიათებელი შრიალი ისმის.

ყველაზე მეტად ამ მანქანებზე გაგვაკვირვა. უზარმაზარ მალათალებთან სამქროში თავით-ბოლომდე თვალგაუწყვეტლად რიგში ჩამდგარან ქერამდე აზიდული მანქანები — დოლურები, წნეხები, კვლავ დოლურები... ორ ლიღვზე გადაჭიმული ფოლადის ბადე განუწყვეტლივ ირხევა და მასზე თანაბრად ნაწილდება ქაღალდის ფაფა, რომელიც აქედან მაულის საფენზე ხვდება. შემდეგ ქაღალდის თხევადი მასა თანმიმდევრობით გაივლის სხვადასხვაგვარ წნეხებს, დოლურებს, იწნეხება და ბოლოს შიგნიდან ორთქლით გამთბარ ლიღვებზე საბოლოოდ შრება და უკვე მზა ქაღალდი განიერ რულონებად იხვევა.

* * *

ხომ ამდენი რთული პროცესის გავლა საჭირო, ვიდრე ხის მერქანი ქაღალდად იქცეოდეს — ადამიანები მაინც იშვიათად გეცემთ თვალში. ისინი თითქმის არ ჩანან ვეებერთელა დარბაზში გაჭიმულ უზარმაზარ მანქანებს შორის, მუშაობა კი ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. ქაღალდის ფართო ქათათა ლენტი განუწყვეტლივ იხვევა და იხვევა რულონებად. მაგრამ მანქანები თავისთავად როდი აკეთებენ საქმეს, მათ დაოსტატებული სპეციალისტები მართავენ.

აი, სახარზავ განყოფილებაში უზარმაზარ ქვაბებთან დგანან ხარზვის ცნობილი ოსტატები უ. პერტაია, ოტო არიმა და არსენ ჭაჭუა. ერთი შეხედვით მეტად უბრალოდ მოგეჩვენებათ მათი პროფესია. რა დიდი საქმეა იღვე ქვაბთან და თვალუფრს ადევნებდე, მოიხარშა თუ არა მერქანი, ამის მიხედვით ჩატვირთავ და გადმოტვირთავ ქვაბებს. მაგრამ ადვილი როდია ამ დიაგნოზის დასმა — მოიხარშა თუ არა, — ამაში მარტო ხელსაწყოები ვერ გიშველიან, საჭიროა დიდი გამოცდილება და დაკვირვების უნარი. საკმარისია გოგირდმუყვა მოქარბდეს ქვაბში ან წყალში არ იყოს საკმარისი, რომ ნახარში გაფუჭდეს და რაგინდ წარმატებითაც არ უნდა ჩატარდეს მომდევნო ოპერაციები, ქაღალდი უხარისხო გამოვა. საკმარისია უ. პერტაიამ ერთი გახედოს ქვარცის ცეცხლგამძლე შუშაში გადმოფერილ სითხეს, რომ მაშინვე გითხრათ, როგორ მიმდინარეობს ხარზვა.

პერტაიას უყვარს თავისი საქმიანობის შესახებ საუბარი. სულ ერთია, შეეკითხებით თუ არა თქვენ რასმე, ის მაინც ავიხსნით.

სხვადასხვა დანიშნულებისა და ხარისხის ქაღალდის დამზადებისათვის სხვადასხვა რაოდენობითაა

საჭირო წებოსა და კირის მათეთრას მიმატება.

გასაგებია, რომ კირის მათეთრა ათეთრებს ქაღალდს, მაგრამ წებო რა საჭიროა?


— როგორ, ნუთუ ეს არ იცით? — გაიკვირვებს იგი და ვრცელი საუბრისათვის ემზადება. — მაშ ყური დამიგდეთ.

ამბავს იწყებს შორიდან: — არ იცით, როგორ გამოიგონეს საშრობი ქაღალდი? აი, მეღნის საშრობი ქაღალდი? თურმე, ინგლისის თუ საფრანგეთის რომელიღაც ქაღალდის ფაბრიკაში ერთ-ერთ მუშას ცელულოზის ფაფაში საწებავის შერევა დაავიწყდა, გააშრეს ქაღალდი, რას ხედავენ — საწერად არ ვარგა. მეღანს იშრობს, იღბანება. საწერი ქაღალდის ნაცვლად საშრობი მიიღეს. მისი უნებური გამომგონებელი კი მეორე დღევე გააგდეს ფაბრიკიდან. მიხვდით ახლა, რატომაა საჭირო საწებავი? ის ქაღალდს სიმტკიცესა და ფლასტიურობას ანიჭებს, ფურცელი პრიანა გამოდის.

არა ნაკლებ საპასუხისმგებლოა საროლე განყოფილებაში მუშაობა. აქ ცელულოზის ფაფის საბოლოო დამუშავება, მისი ბადეებზე ჩამოსხმა ხდება. 20 წელზე მეტია ამ განყოფილებაში ქაღალდისმკეთებელ მანქანაზე მექსელედ მუშაობს სიმონ ბზიკაძე, იგი თავისი საქმის ნამდვილი ოსტატია.

ერთი შეხედვით მეტად უცნაურად მოგეჩვენებათ მექსელის პროფესია. ქაღალდის წარმოებაში. მექსელე რა შუაშია, აქ ხომ ქსოვილს არ ამზადებენ? მაგრამ ერთგვარი მსგავსება მაინცაა ფეიქარ მქსელავსა და მექაღალდის ამ პროფესიას შორის. ისე როგორც ფეიქარი, ერთი წუთით ვერ მოაშორებს თვალს მანქანას, რომ ქსელი არ გაწყდეს და ქსოვილი უხარისხო არ გამოვიდეს, — ისევე აქაც, მექსელის მცირე გაუფრთხილებლობა, ქაღალდის ლენტის ოდნავი შერხევა და ნახვევში შენაკეციები ჩნდება. ქაღალდი იქმუქნება, პროდუქცია უხარისხო გამოდის.

მანქანა, რომელიც ამზადებს კონვერტებს.



სარეგენერაციო ქვაბი.

კომბინატის სახელოვან მექსელეებს — სიმონ ბზიკაძეს, მამია ნარმანას, აბრამ გულუას, როდიონ ლემონჯავას, კონსტანტინე ფაცაციათ თვალი და ხელი მტკიცედ აქვთ გააფული საქმეში, მათი მეთვალყურეობით შეუფერხებლად ბრუნდებიან რულონები და ქაღალდის ფართო ლენტი განუწყვეტლივ იხვევა დიდრონ მორგვებად. არც ერთი ნაქმუჭნი, არც ერთი შენაკეცი — ქაღალდი პირველი ხარისხისა!

წარმოების წარჩინებულთა პირველ რიგებში არიან დამხარისხებლები მარია შესარენკო, ვერა კაკულია, მარია ჩერნიკოვა, ზინა კვიციანია, მფუთავები ზინა ალანანია, მერი გამსახურდია, მერვეულები — მარგო გერსამია, ნუცა ფარცვანია, ნათელა ლურწყაია და სხვები. ისინი ბევრნი არიან, ყველას ჩამოთვლა ძნელია. მათი შემოქმედებითი შრომის შედეგად კომბინატი დღითი დღე ზრდის წარმატებებს.



ჯივი პეჯერსონი

ხეუჭუჭთმინი, შავკანიანი ახალგაზრდა მაკილაზე დახრილი დგას. ხელში ფანჯარი და სახაზავი უჭირავს...

...კინოსურათი დამთავრდა, ხალხი კმაყოფილი და ნასიამოვნები გამოდის. მშვენიერი სურათი ხანგრძლივად ატოვებს...

ვის არ ახსოვს კინოსურათი „ცირკის“ ეს ეპიზოდი, ვის არ უნახავს, პატარა შავკანიანი, ხეუჭუჭა ზანგი ბიჭუნა...

...ოღესლაც მისი მამა, ლიონ პეტერსონი, ნიჭიერი მსახიობი, მხატვარი...

და დეკორატორი, თავისი მშობლიური ამერიკიდან გამოიქცა. გამოექცა უმუშევრობას, სიღარიბეს, შიმშილს...

საბჭოთა ხალხმა შეიყვარა პატარა ჯიმი, ყურადღებით და გულსიხშირად აღიქვამდა თვალს მის ცხოვრებას.

ჯერ კიდევ პატარა იყო ჯიმი ზღვარში შეიყვარა. მაცდური, ურჩი და ანცი ზღვა მუდამ იზიდავდა მის გულს. მას სურდა მუდამ და ყველასთან ზღვის შესახებ ესაუბრა...

...აი ცოტად და მალე ის სახეიმიო დღეც დადგება, როდესაც ლეიტენანტი ჯიმი პეტერსონი გემზე თავისი ვალის მოსახლელად წავა.

მალე, სულ მალე, მისი მასწავლებლები, ამხანაგები, ბიჭები უცნობი და ნაცნობი მეგობარი მას კეთილი გრძობით „ბედნიერ ცურვას“ უსურვებენ.

რ. კანსადი

გალაფევი მაგიაილი ნინ

უკვე დამთავრდა გათამაშების პირველი წრე, გადახედო ცხრილს, ვინ რამდენი გამარჯვებით, დამარცხებით და ქულათა რამდენი რაოდენობით მოვიდა პირველი წრის ფინიშიან.

ბად იყენებენ სწრაფმორბენალ გარემარბებს, ეს ტაქტიკა არა სწორია და, ალბათ, გუნდის ხელმძღვანელმა მოკლე დროში მიიღებს გადაწყვეტის ზომებს.

1956 წლის „ა“ კლასის პირველობის გათამაშების დებიუტანტი კომინიოვის „ბურვეტნიკი“ რამდენიმე წლის განმავლობაში უშედეგოდ იბრძოდა „ბ“ კლასის გუნდებს შორის პირველი ადგილისათვის.

მეტად მძიმე ბრძოლებში წამოაჩქარეს ისეთი სახელოვანი გუნდები, როგორცაა მოსკოვის „ცესა“, „ლოკომოტივი“, „ტორპედო“, თბილისის „დინამო“ და სხვ.

12 ქულით მე-4 ადგილზე იმყოფება თბილისის „დინამო“. სეზონი თბილისელებმა „უიღბლოდ“ დაიწყო, მოსკოვის დინამოელებთან მოსაგებ მდომარეობაში მათ ფრედ ითამაშეს, მეორე ტურში დამარცხება განიცადეს მოსკოვის „სპარტაკელებსაგან“ (შეიძლება ფრედ დამთავრდა) და მესამე ტურში ყოველად გაუმარტობლად წააგეს „ლოკომოტივთან“.

ზუგდიდის სპორტულ ღირსებას იცავს გოგონათა რესპუბლიკურ პირველობაში, სადაც V ადგილს იკავებს.

ნონა ორი თვის შემდეგ საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და სისტემატურ მეცადინეობას იწყებს ბიონერთა სახელობის ქაღალდის კაბინეტში. ვ. ქარსელაძის სახელთანაა მიხრობდ დაკავშირებული ნონას მიღწევები. ამ ამაღლარი მწვრთნელის აღზრდილ საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ძლიერ პლეადას (მ. ტოგონიძე, ე. კაკაბაძე, ლ. ხაჭაპურიძე, ლ. ნაჭყებია, მ. სტატნიკოვა და სხვ.) კიდევ ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი შეემატა.

თბილისის გასული წლის ჩემპიონატში ნონა II მოჭადრაკე II ადგილზე გამოვიდა — 1/2 ქულით ჩამორჩა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს ქ. გოგიაძეს.

საუცხოოდ ითამაშა ნ. გაფრინდაშვილმა ქ. რიგაში 1955 წლის აგვისტოში გამართულ ქაბუჯთა და გოგონათა საკავშირო გუნდურ პირველობაზე. თავის დაფაზე მან 9 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა (მოგება — „7“, ყაიმი — „2“, წაგება — „0“). მისი თამაშით აღტაცებული ცნობილი მოსკოველი ოსტატ-ი ლ. აბრამოვი საკავშირო რადიოში გამოვიდა და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა ნონას, რომელმაც ამ შეჯიბრებაში I თანრიგი მოიპოვა.

გასული წლის შემოდგომაზე, თბილისის ჩემპიონატის ნახევარფინალში მამაკაცთა შორის, ნ. გაფრინდაშვილს 1/2 ქულა დააკლდა ფინალში გასვლი-სათვის. მან 13 შესაძლებლიდან 8 1/2 ქულა მოაგროვა და 1/2 ქულით გადააქარ-ბა I თანრიგის ნორმას.

შესანიშნავი მიღწევებით აღინიშნა ნ. გაფრინდაშვილის ცხოვრებაში 1956 წელი: თბილისის ჩემპიონის წოდება (მოგება — „13“, ყაიმი — „2“, წაგება — „0“); საქართველოს ჩემპიონის საპატიო სახელი (მოგება — „15“, ყაიმი — „1“, წაგება — „0“). საქართველოს პირველობაში გამარჯვებას მნიშვნელობას მატებ-და ის ფაქტი, რომ მასში კონკურსს გარეშე მონაწილეობდნენ ძლიერი მოსკო-ველი მოჭადრაკეები — საერთაშორისო ოსტატი ო. იგნატიევა და ოსტატი ნ. ვოიცეკი. ნონას თამაშმა მოსკოველ სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოა-დინა და დამწვინებებისას იგნატიევა სიყვარულით მოეხვია თავის ნორჩ მეტოქეს და ჰკითხა: „ნონა, ნეტავ კიდევ როდის შევხვდებით ერთმანეთს?“ იქვე მდგარმა თბილისელმა ოსტატმა მ. შიშოვამ იგნატიევას მოსწრებულად მოუჭრა: „ძალიან მაღელ საკავშირო ჩემპიონატის ფინალში“.

...ახე რომ, მიმდინარე წლის ორ ტურნირში გამარჯვებული ნონა ჩაება მეტად საპასუხისმგებლო ასპარეზობაში — სსრკ ქალთა ჩემპიონატის ნახევარ-ფინალურ შეჯიბრებაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ტურნირის „შეურ-ყველო“ ლიდერს — ნ. გაფრინდაშვილს პირველ შვიდ ტურში 7 ქულა ჰქონ-და. მაგრამ, აი IX ტურში ნონამ პირველი დამარცხება განიცადა — მან დათმო პარტია უკრაინის ჩემპიონთან, ვაისბერგთან. ეს იყო პირველი წაგება წელს გათამაშებულ ორმოც პარტიაში! ყველას აინტერესებდა, თუ როგორ იმოქ-მელებდა ნორჩ მოჭადრაკე პირველი მარცხი. მომდევნო ტურებში ცხადყო ნონას სწორი, ჯანსაღი მიდგომა ამ წაგებისადმი, მისი მტკიცე ნებისყოფა და გამარჯვებისადმი შეუწინაღებელი სწრაფვა — იგი კვლავ შეუდგა ქულების მოგროვებას და ტურნირის ბოლომდე არავისთვის არ დაუთმოა ლიდერობა. ჯერ კიდევ ნახევარფინალური გათამაშების დამთავრებამდე ორი ტური აღერ ნიჭიერმა ქართველმა გოგონამ განაღდა I ადგილი. 11 1/2 ქულით ნ. გაფ-რინდაშვილმა კიდევ ერთი დიდი გამარჯვება ჩაიწერა თავის აქტივში.

როდესაც ნონა ქაღალდის მაგიდას უზის, მისთვის ამ 64 უჯრისა და მასზე განლაგებული ფიგურების გარდა არაფერი არ არსებობს. მისი სახის ყოველ ნაკვეთში, მის გამომეტყველებაში გამოსჭვივებს ამ ბრძნული თამაშის მთელი სტიქია. ნონას არც ხალხით გატენილი დარბაზის ახმაურება უფანტავს ყუ-რადღებს, არც რომელიმე პარტიის ფანდის გამო გამართული ოვაცია. იგი ორჯერ-სამჯერ თუ წამოდგება სკამიდან და ბოლთას სცემს სცენაზე, — ხუთი საათის განმავლობაში ზის, დაცქერის დაფას, ფიქრობს, ანგარიშობს, ვარიან-ტებს ითვლის, შეტევას ამზადებს, მეტოქის იერიშს იგერიებს...



დარბაზი კი ამ დროს სულმოუთქმელად შეცქერის სადგომსტრაციო დაფებს, უფრო მეტად კი იმ დაფას, რომელიც გაფრინდაშვილისა და მისი რომელიმე მოწინააღმდეგის ბრძოლას ასახავს. ბევრი გულშემატკივარი ჰყავს ნონას ამ დარბაზში. კომპოზიტორები: ა. ბალანჩივაძე და ო. თაქთაქიშვილი, ხელოვნებათმცოდნე ვ. ბერიძე, მწერლები: ა. ქვიციანი, ი. ვაკიანი და სხვ. აი, აქ არის ქიმიკოსი ხ. გრიგორიანი, თავისთავად ძალიან საინტერესო პიროვნება. იგი მამობრივ მწრუნელობას იჩენს ხოლმე ყოველი ახალი ტალანტის მიმართ. ჯერ იყო და ტ. პეტროსიანს დატრიალებდა თავს, მერე ბ. გურგენიძის თამაშით მოიხიბლა, ახლა კი ნონას თამაშითაა აღტაცებული. ორი ასეთი დეტალი: საქართველოს პირველობის გათამაშებისას ნონა ავად გახდა და გრიგორიანი უშმად ექიმით ეახლა; ახლა გულითადი საჩუქარი მიუძღვნა ნორჩ გამარჯვებულს ჰარამგამა გულშემატკივარმა და თავის თავს უსრუტებს, კიდევ ბევრჯერ ჰქონდეს ნიჭიერი გოგონასთვის საჩუქრის მირთმევის საბაბი. ნონას მეორე გულშემატკივარმა ტექნიკოსმა ვ. ცანავამ თავისებური „რეკორდი“ დაამყარა: წელს ნონას მიერ ნათამაშე ყველა, 46 პარტია დაესწრო, მათ შორის, ნონას ავადმყოფობის დროს შინ გათამაშებულ ორ პარტიასაც. ბევრი, ძალიან ბევრი გულშემატკივარი ჰყავს ნორჩ ჩემპიონს და იმედია, რომ ნონა შემდგომშიც გაამართლებს მათ იმედებს.

წინ არის დიდი და საინტერესო ბრძოლები.
ბ. ნალარევიშვილი, მ. კაპაბაძე.

გარდამცველთა სპეციფიური ფუნქციები და ეყოფათ თუ არა ძალია მეტად დიდი ფიზიკური სამუშაოს შე-სასრულებლად? სეზონის დასაწყისიდანვე ყველანი მეტად კრიტიკული თვლით შესცქერავენ მათ ყო-ველ მოძრაობას, მათ შებრძოლებას მოწინააღმდეგეს-თან. დღობორძისა და კოტორიკაძის სასახლეოდ უხდა ვთქვით, რომ მათ უკანასკნელ თამაშებში თავიანთ სასარგებლოდ გადასჭრეს ეს საკითხი. დინამიკულმა თავდასხმებელმა მთელი რიგი თამაშებისა თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად ჩაატარეს. ხუთეულიდან განსაკუთრებული ენერჯითა და მონღოებშით გამო-ორჩევა გარემარბი ხასაია, რომელმაც პირველი წრის თამაშები შესანიშნავად ჩაატარა გამოვლინა რა, უდიდესი ნებისყოფა, როგორც მებრძოლმა ვებურ-თელმა და მეტევის ორგანიზატორმა. მეტს მოველო-ღით (იმედს არ გვკარგავთ) ზაზროშვილის, გავნიძის, კალთაიის, ჭკუასელისა და მესხისაგან. მათ ყოველ-გვარი მონაცემები აქვთ იმისათვის, რომ უკეთ ითა-მამონ და მეტი სარგებლობა მოუტანონ კოლექტივს. ტაქტიკურად გუნდი სწორად თამაშობს. ნახევარდამ-ცველთა ჩაბმით თავდასხმულთა კომბინაციებში მეტი სიციხოვლე და სიმწვავე შეიტანა დინამიკულთა თა-მაშში. გვამნიშებს და გვაფიქრებს „დინამიკულთა“ რეზერვის საკითხი, თუ თავდასხმისა და ნახევარდაც-ვისათვის საჭირო ფეხბურთელები სათანადოგო შე-მაღველობაში საკმარისად მოიძებნებიან, რა უნდა ვქნათ იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი შემადგენლო-ბის დამცველები დაზიანების გამო მწყობრიდან გა-მოვლენ? გასული წლის ჩემპიონი მოსკოვის „დინა-მო“ პირველი წრის დამთავრების შემდეგ 12 ქულით მე-5 ადგილზე გამოვიდა. დინამიკულთა არათანაბ-რად და ზოგჯერ სუსტად ჩაატარეს ცალკეული თამაშები. გუნდის მწვრთნელი მიხელო იაკუშინი პირველი წრის დამთავრებამდე ძირითად შემადგენ-ლობის მუდმივ ძიებაში იყო. ასათივე მდგომარეობა იყო თავდასხმამდე. დინამიკულთა რეზერვები საკ-მარისად ჰყავთ (შეიძლება ზედმარტივ). უნდა ვიფიქ-როთ, რომ მეორე წრეში ისინი შეპატივდნენ გამოაქე-თონ მდგომარეობა და გვიჩვენონ თავიანთი ნამდვი-

ლი სახე, სახე საბჭოთა კავშირის არა ერთგვის ჩემ-პიონისა.
მე-5 ადგილზე 12 ქულით იმყოფება კიევის — „დინამოს“ ძლიერი კოლექტივი. კიეველებმა პირვე-ლი წრე თანაბრად ჩაატარეს. მათ კარგი დაცვა და ნახევარდაცვა ჰყავთ. კიეველთა ძლიერი თავდასხ-მელები წელს შედარებით სუსტად და შეუწყობლად თამაშობენ. მათ მთელი პირველი წრის გაამაგლო-ბაში აკლდათ „დინამორი“ — ცენტრალური თავ-დასხმელები. ამ ადგილზე სეზონის განმავლობაში გასინჯული იქნა ლიასკი, ტერენტიევი, კომანი, კანე-ვსკი და კორშუნოვი. ჩვენის აზრით კიეველებს შე-უძლიათ უკეთ ითამაშონ და დამახსურებულად მოი-პოვიონ უკეთესი ადგილი.
მე-7 ადგილზე 10 ქულით იმყოფება საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდი. მომდევნო ად-გილებზე — მოსკოვის „ლოკომოტივი“, ლენინგრად-ის „ზენიტი“, „შრომითი რეზერვები“, სტალინის „შახტორი“ და სევერდლოვსკის ოფიცერთა სახლის გუნდი.
უკანასკნელი წლის მანძილზე ყველაზე „ჩაგარ-დნილი“ ადგილი საბჭოთა ფეხბურთში ფეხბურთელ-თა სუსტი ტექნიკური მომზადება იყო. ჩვენი ქვეყ-ნის საუკეთესო ფეხბურთელებსაც კი სუსტად ქონდათ ათვისებული „დრბლინიგი“, „ფინტი“, პი-რისპირ დარჩენილ მოთამაშისათვის გვერდის აქცევა და სხვ. წელს ამ მხრივ გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. სისტემატური ენერჯიული შრომის შედეგად გაიზარდა ცალკეულ მოთამაშეთა ტექნი-კური მომზადება. ჩვენად სასიხარულოდ წელს სწო-რად გვხვდა, თუ თავდასხმელები როგორ „პაი-ჭაძისებურად“ ატყუილებენ ორ, ან სამ დამცველს და ელვისებურად იჭრებიან კარისაკენ.
მაღალი ტექნიკური მომზადება საფუძველ-ად ტაქტიკურ ვარიანტების მრავალგვარობისა. საჭი-როა გვეყავდეს ფეხბურთელები, რომლებიც სრულად ფლობენ ფეხბურთის რთულ ტექნიკას.
გასული წლისა, და სამწუხაროდ, მიმდინარე წლის სეზონმაც დავგანახვა, რომ ჩვენი წამყვანი

გუნდების თამაში ტაქტიკურად არაა მრავალფერო-ვანი. გუნდებს არა აქვთ საკუთარი სტილი, ღარი-ბია მათი ტაქტიკური არსენალი, განსაკუთრებით ეს იქმნის თავდასხმულთა თამაშის ტაქტიკაზე, შეტე-ვით ტაქტიკაზე, საკმარისი ყურადღება არ ექცევა საჯარიმო, თავისუფალი, და კუთხური დარტყმების დამუშავებას მათი უფრო ეფექტური გამოყენების თვალსაზრისით.
საბჭოთა გუნდების მოწინავე მწვრთნელები გა-ურბიან თამაშში სიბალის შეტანას, გამბედაობას ვერ იჩენენ ტაქტიკაში რეგულაციის მოსახდენად და ადგანან რა „შმტკიეველი“ პოლიტიკას, 10-15 წლის წინათ შემუშავებულ ტაქტიკურ სქემაზე კრწინით სხედან.
1954 წლის V მსოფლიო პირველობაზე დემონს-ტრირებული იქნა თამაშის რამდენიმე ტაქტიკური ვარიანტი. ყურადღებას იქონია თამაშის ისეთი ტაქტიკური სქემები, როგორიცაა 3-3-4; 4-2-4; 1-3-2-4 და სხვ. მათი შესწავლა და დამუშავება მწვრთნელთა მოვალეობაა.
„ა“ კლასის ჩემპიონატის დაწყებასთან ერთდრო-ულად დაიწყო „ბ“ კლ.სის გუნდების პირველობის გათამაშება. აქ „ა“ კლასის გადასავლელად ერთ-მანეთს ეჯიბრება ჩვენი ქვეყნის ტალანტის 36 კოლექტივი, რომელთაგანაც მხოლოდ ორს ექნება ბუნდურება მომავალ წელს მონაწილეობა მიიღოს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონისათვის ბრძოლაში. გუნ-დები ორ ზონად არიან დაყოფილი. პირველ ზონაში ლიდერობენ ზაპროვიის, ლვოვისა და ხარკოვის გუნდები. მეორე ზონაში — თბილისის ოფიცერთა სახლისა და ტაშკენტის „პახტაკორი“.
ვინ იქნება „ა“ და „ბ“ კლასის გუნდებს შორის უძლიერესი თქმა ძნელია. წინ კიდევ ერთი და მრავალი სახიფათო ბრძოლები იქნება. ერთი ცხა-დია, გამარჯვებს ის კოლექტივი, რომელიც უკე-თესად მოემზადა ხანგრძლივი და მძიმე თამაშ-ებისათვის.
ბ. ანთაძე
სპორტის დამახსურებელი ოსტატი.



ნაპოლეონი მზავსა!



3. ლაუარაშვილი

ჩვენს რესპუბლიკის საფთავიკო ქსელის სისწორით მოძმე რესპუბლიკათა შორის პირველი ადგილი უკავია. ქალაქად და სოფლად ასობით აფთავიკი, საფთავიკო საწყობები, მაღაზიები, ფარდულები, საკონტროლო ლაბორატორიები არსებობს. ერთდროს მიუვალ მაღალმთიან სოფლებშიც კი მრავალადა კეთილმოწყობილი აფთავიკები.

ლენინის მოედანზე ლამაზ, ნათელ და ფართო შენობაშია მოთავსებული თბილისის აფთავიკი № 1. აქვე მოწყობილია „სამკურნალო საშუალებების ცნობათა ბიურო“. ყოველ მოქალაქეს შეუძლია დაურთოს ტელეფონით № 8-66-58 ცნობათა ბიუროს პირიგებს და შეიტყოს, თუ რომელ აფთავიკში იმყოფება ესა თუ ის წამალი, ან საფთავიკო საქონელი.

ბიურო კარგ სამსახურს უწევს თბილისის მშრომლებს.

ამ უკანასკნელ წლებში შემოღებულია წამლის ბიურეტული სისტემა. მანამდე წამლის მომზადება ხდებოდა აწონვით, ძველი სისტემის მაგიდასთან უწინ ასისტენტი ფეხზე იდგა შვიდი საათის განმავლობაში. ახლა ბიურეტული სისტემის კომბინირებულ საასისტენტო მაგიდასთან აფთავიკის მუშაკი ზის. ბიურეტული სისტემით წამალი მზადდება მოცულობის მიხედვით. ბიურეტებში ისმება ადრევე მომზადებული, სვადასხვა ხსნარები და ნაყენები. ასისტენტს ხილთ აქვს აგრეთვე, საბრუნავი კარადა, რომელშიც მოთავსებულია წამლის მოსამზადებლად საჭირო სამკურნალო წამლო საშუალებები. ახალი სისტემით წამალი უფრო სწრაფად მზადდება, ვიდრე უწინ, აფთავიკის მუშაკების შრომის ნაყოფიერება გაცილებით დიდა და ენერჯიაც ნაკლები ეხარჯებათ.

აფთავიკების საწარმოო განყოფილებაში შრომობულია, აგრეთვე, მომზადებული წამლის საკონტროლო მაგიდა ექსპრეს-ანალიზებისათვის, სადაც წამლის შემოწმება ხდება სპეციალურ რეაქციების მიხედვით, რი-

თაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წამალთა მომზადების ხარისხს.

საფთავიკო ქსელის მეშვეობით რესპუბლიკაში ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი სარეცეპტურო ერთეული მზადდება. გადაჭარბებით სრულდება სამედიცინო საქონლის შემოზიდვის გეგმა. საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნა რენტგენის აპარატებზე, რეფლექტორებზე, ტონომეტრებზე, ქირურგიულ ხელსაწყოებზე.


განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დაზარებულ რაიონებსა და სოფლებში განლაგებულ აფთავიკების მომარაგებას. დიდი თანხები ხმარდება საფთავიკო ქსელის კეთილმოწყობასა და კაპიტალურ შეკეთებებს, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. მწარმოებელია ყურადღება ექცევა ფარმაცევტულ კადრებს, რომლის რიცხვი დღითი დღე მატულობს. საფთავიკო დაწესებულებათა კვალიფიკაციური კადრებით უზრუნველყოფა, ცხადია, აუმაჯობებს მოსახლეობის წამლით დაზარების საქმის უკეთ დაყენებას.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფარმაცევტული კადრების კვალიფიკაციის სისტემატურ ამაღლებას. მაგალითად, პროვიზორებისათვის ტარდება კვალიფიკაციის ამაღლების ციკლი, რომელსაც წარმატებით ამთავრებს პროვიზორთა საგრძნობი ნაწილი. საშუალო კვალიფიკაციის მქონე ფარმაცევტებისათვის ეწყობა წარმოებიდან მოუწყვეტილ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ასეთივე კურსები ეწყობა სოფლად მონუშავე პროვიზორებისათვის.

* * * მრავალი მედიკამენტი მზადდება თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში. საბჭოთა კავშირში მომზადებულ მრავალფეროვან პრეპარატების რიცხვს სისტემატურად ემატება ქართველი მეცნიერების — ფარმაცევტული საქმის ენთუზიასტების — ახალ-ახალი პრეპარატები. როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე მოძმე რესპუბლიკების აფთავიკები სისტემატურად ღებულობენ ახალ პრეპარატებს

როგორცაა თხმელინი, პერიპლოცონი, თიხა-ასკანი, სათითურანი, დიგალენ-ნეო, ფილიქსანი და სხვა, რომელთა შექმნა შედეგია პროფესორების ი. ქუთათელაძის, ვ. შოთაძის, ნ. მასხლიას, პ. გელბახიანის, დოც. ქ. მუჯირის და სხვათა დაძაბული მეცნიერული შრომისა.

იმისათვის, რომ აფთავიკებს ერთი ახალი პრეპარატი შეემატოს, საჭიროა მისი ხანგრძლივი ლაბორატორული და კლინიკური გზით შესწავლა. თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტის სამკურნალო მცენარეების მუზეუმში ოცი ათასზე მეტი სხვადასხვაგვარი მცენარე ინახება. ეს ინსტიტუტი საქართველოს რაიონებში სპეციალურ ექსპედიციებს გაზიანს. ექსპედიციების წევრებს ევალება გამკურნალობაში გამოსაყენებელი გამოვლინებულ მცენარეების აღნუსხვა და წამოღება. ისინი უკავშირდებიან მოსახლეობას,



აკადემიკოსი ი. ქუთათელაძე (მარცხნივ) და პროფ. პ. გელბახიანი ვაკუმ გამოსაცდელ აპარატთან ამოწმებენ ფილიქსანის მომზადების პროცესს.

მორიგებით შეაღებს ხოლმე აფთავიკის კარს საბჭოთა ადამიანი, რომელსაც ნათესავი, ან მეგობარი ჰყავს ავად. იგი ქვითარს აწვდის აფთავიკის თეთრხალათიან მუშაკს და თავაზიანად ეუბნება:

— ცოტა ადრე მოვედი, იქნებ მზადაა წამალი?!

— წამალი მზადაა — გაისმა პასუხი და მადლიერი მოქალაქის სახეზე დიმილი აღიბეჭდა.

1740 წელს კათოლიკე მისიონერებს პირველად გაუხსნიათ თბილისში აფთავიკი, რომელსაც მაშინ „წამალთ-ხანა“ ეწოდებოდა. თხუთმეტო წლის შემდეგ ეს მისიონერები გაუდევნიათ საქართველოდან და მათ მიერ გახსნილი აფთავიკი დასურულა. ერთდროს მეორის დროს, მას ლეიბ-მედიკს დონ რაინექს სასახლეთან მოუწყვია აფთავიკი და სამკურნალო სკოლა, რომელშიაც ბატონი-შვილები და დიდებულთა შვილები სწავლობდნენ სამკურნალო მეცნიერებას.

საფთავიკო საქმის განვითარებას ჩვენში საფუძველი ჩაეყარა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს. 1803 წლის ივნისში დაარსდა „საქართველოს სამკურნალო სამმართველო“, 1806 წელს პირველი სახანო აფთავიკი. დღევანდელ ლენინის მოედნის მახლობლად 1881 წლამდე ყოფილა სამკურნალო მცენარეთა ბაღი, რომლის ნაწილი გადაუციათ კერძო პირებისათვის სახლების ასაშენებლად, მცირე ნაკვეთმა კი ჩვენს დრომდე მოაღწია და იგი დღეს პუშკინის ბაღის სახელწოდებას ატარებს. 1829 წლის შემდეგ თელავის, სიღნაღის, გორის, დუშეთისა და სხვა მაზრებშიც გაიხსნა პატარა აფთავიკები.



იხილეთ



გამოსარკვევად საკითხისა თუ რას იყენებენ ისინი ადგილობრივ ნედლეულიდან ხალხურ მედიცინაში და რის წინააღმდეგ. ასეთი მუშაობის შედეგად აღმოჩენილ იქნა, მაგალითად, ღვედკეცის სამკურნალო თვისებანი, რომლის ქერქისაგან მიღებულია მერიალოცინი — გულის სამკურნალო საშუალება.

ყოველდღიური, დაძაბული, შემოქმედებითი შრომით იბრძვიან ფარმაციის მუშაკები საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისათვის.

ფოტოზე (წრეში): № 1 აფთავიკის ცნობათა ბიურო. ქვემოთ: რეცეპტარი ღებულობს წამლის შეკვეთებს.



არანაკლები როდენობით ცხოვრობენ ხნიერი ადამიანები ქ. თბილისსა და მის გარეუბნებში, ისინი მრავალნაირ მუშაობას ეწევიან.

ვიქტორ ოქროპირის-ძე ყრუაშვილი სვანა გლხია, 94 წლისაა, 17 წელია ცხოვრობს თბილისში. მუშაობს სამხატვრო აკადემიაში „ნატურად“ იგი მოძრავი და სიცოცხლით სავსე მოხუცია, ცოლის ავადმყოფობის გამო სახლშია უხდება მუშაობა. „ვინც ცუდ ხასიათზეა — უნდა იმუშაოს, — ამბობს იგი, ამას სიამოვნება მოაქვს. ვინც მოწყინლია, — უნდა იმუშაოს და მოწყენილობაც გაქრება. ვინც მუშაობს, იგი მხიარულია, ხოლო ვინც მხიარულია, იგი ჯანმრთელიც არის“.

თბილისში ცხოვრობენ 109 წლის დარო კაშია, 99 წლის ნიკოლოზ ბაბუაშვილი, 92 წლის ალთონ ოსიბოვა, 100 წლის გრიგოლ იაშუტინი და სხვ. გარეუბნის რაიონში: 95 წლის გიგო თეთრაშვილი, 100 წლის მიხეილ შჩერბაკოვი, 98 წლის იაკინთე კენჭაშვილი და სხვ.

საინტერესოა და მრავალფეროვანი მოხუცთა შემოქმედებითი მოღვაწეობა. მათ შორის ბევრია ცეკვის მოყვარული, მამოღერალი, მისხრობელი, ხელოვანი მუსიკოსი, ძველ ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვირვებული.

საქართველოს უხუცესი ადამიანები

პროფ. გ. უჩხელაური

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის პიგიენისა და პროფდავადებათა კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტის ექსპედიციის მასალების მიხედვით, 90-100 წლის ასაკის შემთხვევაში საქართველოში ითვლება 10,300 კაცზე მეტი. აფხაზეთის რაიონებში ცხოვრობს 90-100 და მეტი წლის ასაკის 2,000 სულზე მეტი, თბილისში — 700 სულზე მეტი, ქუთაისში — 200, ბათუმში — 100 და ა. შ.

საბჭოთა კავშირში ხალხთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების, შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, მოსახლეობის უფასო სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური წყალობით შესაძლებელი გახდა ადამიანის სიცოცხლის განხანგრძლივება. თურქოლუციამდელ მეფის რუსეთში 60 წლისაზე მეტი ასაკის ადამიანთა რიცხვი ერთ მილიონ-ნახევარს აღწევდა, ამჟამად ამავე ხნის არის 12 მილიონზე მეტი. 90 წლისა და უფრო მეტი ასაკის, — 200,000 სული.

ღრმა მოხუცთა უდიდესი ნაწილი ეწევა შრომითი ცხოვრებას, გამოიყურება მხნედ. ბევრ მათგანს შენარჩუნებული აქვს კარგი მხედველობა და სმენა, არ ემჩინეთ გულსისხლძარღვოვანი და ნერვიული სისტემის რაიმე დარღვევა.

ეს ხნიერი ადამიანები შეძლებისდა-

გვარად საკომპლემენტო ცხოვრებაშიც კი ღებულობენ მონაწილეობას. სწორი არ არის დრომოქმედი წარმოდგენა იმაზე, ვითომცდა მოხუცი ადამიანისათვის საქირი იყოს ნაკლები მოძრაობა, მყუდროება და რომ მუშაობა მავნელ მოქმედებს მის ორგანიზმზე. პირიქით, მოხუცი ადამიანი, რომელიც ატარებს ნაკლებად მოძრავ ცხოვრებას, არ ეწევა ფიზიკურ შრომას, იშვიათადაა სუფთა ჰაერზე და დღის მეტ ნაწილს ლოგინში ატარებს, ხშირად ავადმყოფობს, უდროოდ უძღურდება და ადრე კვდება.

ჯავის რაიონის (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) მთიან სოფელ ერმანში, რომელიც ზღვის დონიდან 2300 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, ცხოვრობს იაგორ პიტკოს-ძე კოკოევი. ის ახლა 155 წლისაა, დაბადებულია 1801 წელს. კოკოევი 15 წლისა იყო, როცა მუშაობდა მზარეულად ცნობილ რუს გენერალთან, კავკასიის მთავარმართებელ ა. პ. კროპოვთან. ერმოლოვის გარდაცვალების შემდეგ, უკვე როგორც გამოცდილი მზარეული, კოკოევი მსახურობდა ბევრ არისტოკრატიულ ოჯახში მოსკოვსა და პეტერბურგში, ნამყოფია კურორტებზე საფრანგეთში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში.

ი. კოკოევი მოწევა მრავალი ისტორიული ამბისა. სოფლის ახალგაზრდობა განსაკუთრებული ყურადღებით ისმენს მის ნაამბობს.

აფხაზეთში ბევრია ხნიერი ადამიანი. ამ მიზანი და მარადმწვანე მხარას ბუნება, მისი მომხიბლავი სილამაზე, უხვი სუბტროპიკული მცენარეულობა, ზღვის ჰავა, სვა ფაქტორებთან ერთად შესაძლებელს ხდის და ხელს უწყობს აფხაზეთის მოსახლეობის ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ტყვარჩელში — მაღაროელთა ქალაქში — შეიმჩნება შეხვედით ყირიმის ომის მონაწილეს, 122 წლის მოხუცს სულიმან არშას. ოდესღაც იგი მწყემსი იყო, შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა მკედელად, ხოლო სიბერეში მებაღეობას მოჰკიდა ხელი.

გაგრის რაიონში ცხოვრობს 127 წლის კოლმეურნი არქიმო ხარბაძე. მიუხედავად თავისი წლოვანებისა, იგი თავისივე სურვილით მუშაობს კოლმეურნეობაში. მისი სიბერე მატერიალურად უკვე დიდი ხანია უზრუნველყოფილია. კოლმეურნეობის გამგეობამ აუშენა კარგი სახლი, სისტემატურად ამარაგებს მას პროდუქტებით, სათბობით და სხვ.

ოჩამჩირის რაიონის მაღალმთიანი სოფლის ზემო-ბედიას სასოფლო სამეურნეო არტელ „ახალ ცხოვრებაში“ მუშაობს რვა უხუცესი კოლმეურნი; ღრმა მოხუცებულობამ გავლენა ვერ იქონია მათ გონებაზე. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხშირად იწვევს „უხუცესთა საბჭოს“. მოხუცი კოლმეურნეები აქტიურად განიხილავენ სასოფლო-სამეურნეო არტელის შემდგომი განვითარების საკითხებს, იძლევიან ბრძნულ დარიგებებს.

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეში ცხოვრობს ასი წლის მოხუცი მჭედელი თადა მამუბრას-ძე გაგუა. იგი ღრმინის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს, მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, სამუშაოს არ ტოვებს. როდესაც მას ჰკითხეს, გამომის თუ არა მუშაობაო, უპასუხა: „მე კარგი თანაშემწეები მყვანან. ჩემი აღზრდილი ახალგაზრდები დაღლით შესაძლებლობას არ მაძლევნო“.

თ. მ. გაგუა ხარატობასაც ეწევა. იგი აწვადებს სხვადასხვა დეტალს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისათვის. გულმოდგინედ მუშაობს, აგრეთვე, სახლში, უვლის ბაღს და ეღებს ხილის უხვ მოსავალს.

დიდმედი მოხუცი ქალები — 90 წლის ანა კუციაშვილი და 101 წლის ანა მამუჩაშვილი, მღერიან გუნდში ახალგაზრდებთან ერთად.

ამბროლაურისა და ონის რაიონში ბევრია ძველი ხალხური სიმღერებისა და ცეკვების უხუცესი შემსრულებელი. 100 წლის დაკვირვული ა. ჯაფარიძე (რაქა) და 112 წლის მოცეკვავე ლ. შარია (აფხაზეთი) დააჯილდოეს რესპუბლიკური მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადის დრუს თბილისში.

აფხაზეთში ჯერ კიდევ 1948 წელს ჩამოყალიბდა უხუცეს მომღერალთა გუნდი, მათი გამოსვლები მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს.

კარგი ინიციატივა გამოიჩინა აფხაზეთის ასსრ ხალხური შემოქმედების სალმა, როდესაც 1954 წ. მოაწყო უხუცესთა რესპუბლიკური შეკრება. მრავალი საინტერესო ძველი თქმულებანი, სიმღერა და ცეკვა იქნა დემონსტრირებული მათ მიერ.

ექიმების სპეციალური ბრიგადებს მიერ დისპანსერულ მომსახურებაზე აყვანილია მრავალი ათეული მოხუცი. ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზარუნველობით შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ განხანგრძლივდეს ადამიანის სიცოცხლე.

აფხაზეთის მხატვრული თვითმოქმედი წრის უხუცესი მონაწილეები. მარცხნიდან მეორე ლუკა შარია, რომელიც 112 წლისაა.



საბჭოთაო მუშაკთა მემორიალი

მ. გიგაური, მ. აკოვოვი

ნაწილი

— თქვენის აზრით, ვინ გაიმარჯვებს, მეღბურნის XVI ოლიმპიადის ტურნირში? — ასეთი შეკითხვით მიმართა ჯერ კიდევ შარშან ევროპის ერთ-ერთმა სპორტულმა გუნდმა მძლეოსნური სპორტის რვა გამორჩენილ სპეციალისტს.

ეს შეკითხვა არ იყო უდროო, იგი არ შეიძლება ჩათვლილიყო ზოგადი თუ სპორტული გაზეთის ყალბი სენსაციის ძიების ნაყოფად.

პირიქით! პასუხი ამ შეკითხვაზე საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ესპანეთის გამორჩენილი მწვრთნელებისა და სპეციალისტების უკანასკნელი ორი წლის დაკვირვებებისა და მრავალრიცხოვან შეჯიბრებათა ანალიზის შედეგია.

მართო ის ფაქტი, რომ ამგვარი შეკითხვა ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ათი თვე ადრე დაისვა და ამ თავისებური ანექსის მონაწილეთა აზრმა თითქმის მთელი სპორტული სამყარო შემოიარა, უტყუარად აღსტურებს იმ უდიდეს ინტერესს და მიზიდულობის ძალას, რომელსაც განაცდევინებს სპორტის მოყვარულთა და სპეციალისტთა მრავალმადიონიან არმიას შორეული ავსტრალიის ზღვისპირა პუქტი — მეღბურნი.

რაზე ლაპარაკობს ეს ანექტა? გამორჩენილი ჩეხი მორბენალი, ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების ოქროს სამი მედლის მფლობელი, ემილ ზატოპეკი, ერთადერთი აღმოჩნდა, რომელიც ერთხელ დასახელეს მართონულ რბენაში გამარჯვების კანდადატად.

ცნობილმა საბჭოთა მორბენალმა ვლადიმერ კუცმა რვიდან შვიდი ხმა მიიღო — მხოლოდ ავსტრიელი სტეფენი არის დასახელებული მის ერთადერთ მეტოქედ 10 ათას მეტრზე რბენაში. ასეთივე „შედეგი“ მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა, მსოფლიო რეკორდსმენმა უროს ტყორცხაში, მიხეილ კრივონოვმა.

ამ ანექტაში ვხვდებით, აგრეთვე, მსოფლიოში სახელგანთქმულ ბერს სხვა მძლეოსანს. აქ არიან ტრინიდადელი აგოსტინი და ამერიკელი მორიუ, გერმანელი ფუტურერი და უნგრელი იპაროში, საბჭოთა სპორტსმენები — ივანტოვი, შჩერბაკოვი, ლიტუვეი, იულიანი და კუზნიცოვი, პოლონელი ხრომიკი და ბრაზილიელი დე სილვა, ნორვეგიელი ბოსსენი და შვედი ნილსენი...

კუცი თუ იპაროში? დე სილვა თუ შჩერბაკოვი? — ამ შეკითხვაზე პასუხს მხოლოდ ნომბერში მივიღებთ. ახლა კი კუციც, იპაროშიცა და სხვებიც, ისევე როგორც მათი მომავალი მეტოქეები, აგრეთვე, სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები დაუღალავად, გეგმაზომიერად მეცადინეობენ ოლიმპიურ თამაშებში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

ეს გაცხოველებული სამზადისი მართო სასწავლო-საწვრთნელი ვარჯიშებით როდო განისაზღვრება — მიმდინარე სეზონში გაცილებით იმატა დიდი საერთაშორისო ასპარეზობების რიცხვმა. მოსკოვში შეიკრიბნენ ევროპის ექვსი სახელმწიფოს მოცურავეები, მათ შორის, სახელმწიფო პოლანდიელი გოგონები; საბჭოთა ტანმოვარჯიშეები, ევროპის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ, თავიანთი მდიდარი გამოცდილების გასაზიარებლად ინდოეთს გაემგზავრნენ. ჩვენმა მოკრივეებმა პარიზში ჩატარეს მატჩი საფრანგეთის ნაკრებთან; მეორე პანამერიკულ ფეხბურთის ტურნირში გამარჯვებულმა ბრაზილიის გუნდმა გადასერა ოკეანე და შეხვედრები გამართა პორტუგალიის, შვეიცარიის, ავსტრიისა და ევროპის სხვა ქვეყნების უძლიერეს გუნდებთან... ეს მხოლოდ რამდენიმე თვალნაჩინო სპორტული ასპარეზობაა, რომლებიც უმაღლესი დონეზე უმაღლესი შეჯიბრებების სია მიმდინარე სპორტულ სეზონში არანახულად დიდია და მრავალფეროვანია.

და განა მართო საერთაშორისო შეჯიბრებები?! უდიდეს ინტერესს იწვევენ ცალკეული ქვეყნების ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მაგალითად, სსრ კავშირის მოჭიდევთა, ან თანამედროვე

ხუთციდელთა ასპარეზობების ისეთივე ცხოველი ინტერესით ელოდნენ მოყვარულ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ან შვეიცარიაში, როგორც ამერიკის მძლეოსანთა ან იაპონიის მოცურავეთა მიერ ნაჩვენებ შედეგებს — საბჭოთა კავშირში ან ბრიტანეთის კუნძულებზე...

ყოველივე ეს ნაკიანი წელიწადის „ბრალია“ (როგორც ცნობილია, ოლიმპიური თამაშები ოთხ წელიწადში ერთხელ — ყოველ ნაკიან წელს იმართება).

მიმდინარე სპორტული სეზონი ჩვენს ქვეყანაშიც განსაკუთრებული გამოცოცხლებითა და აქამდე არნახული მასშტაბებით აღინიშნება. სპორტული მჯდისციპლინის ცენტრად საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა გვევლინება და სწორედ მასში ღირსეული მონაწილეობისათვისაა გამიზნული, ამჟამად, ჩვენს სპორტული ორგანიზაციების მთელი მოღვაწეობა. სპარტაკიადის გამარჯვებით მოსკოვში — ლუქსემბურგში — შენდება სპორტულ ნაგებობათა უზარმაზარი კომპლექსი, სადაც სრული ოლიმპიური პროგრამით გაჩაღდება მძაფრი და წარმატებულ ასპარეზობანი. სწორედ ამ დიდ სპორტულ ღონისძიებაში ჩემპიონი — უძლიერესი უძლიერესთა შორის — გაუღებინა გზას მეღბურნიკენ. მართალია, ზემოთხსენილ ანექტაში ჩვენ ვერ შევხვდით საქართველოს წარმომადგენლებს (რაც ჩვენს რესპუბლიკაში მძლეოსნობის განვითარების ჯერ კიდევ არასასურველი დონით აიხსნება), მაგრამ პროგნოზები სპორტის სხვა სახეობებშიც რომ გაკეთებულიყო, ამ სიებში ჩვენ უშეკვლად დავინახავდით ჩვენი თანამემამულეების გვარებსაც...

უპირველეს ყოვლისა, მოჭიდევთა შორის. მართლაც, თავისუფალ ჭიდაობაში უკანასკნელი წლების შედეგების მიხედვით, საბჭოთა ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში მეღბურნის საჭიდაო ხალიჩაზე ერთმანეთს გვერდს დაუმშვიკნენ მსოფლიო ჩემპიონი ვახტანგ ბალაყაძე, მსოფლიო პირველობის პრიზიორები — მიჩან ცალქალამანიძე და სერგო გაბარაევი, სტუდენტთა მსოფლიო თამაშების ჩემპიონები — ალექსანდრე მისსურაძე, გიორგი სხირტლაძე და ოთარ კანდელაკი. მათი უფროსი ამხანაგი, XV ოლიმპიადისა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი დავით ციმაკურიძე, ალბათ, კვლავ იქნება ოლიმპიადის მონაწილე, მაგრამ, ამჯერად, იგი ძველებურად ხალიჩაზე კი არ დიკავებს ადგილს, — დ. ციმაკურიძე სსრ კავშირის მოჭიდევთა ნაკრები გუნდს წევრთრენია.


კლასიკურ ჭიდაობაში გივი კარტოზიას დედამიწის ზურგზე ბადალი არ ჰყავს საშუალო წონაში. ეს მან „სუფთად“ დაამტკიცა ორ უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში და, მიუხედავად ამისა, მას მეღბურნის ოლიმპიადის ოქროს მედლის მოსაპოვებლად უადრესად მწვეავი ბრძოლის გადატანა მოუხდება.


საბჭოთა ძალოსნების ნაკრებ გუნდში უდავოდ დაიჭერს თავის „ტრადიციულ“ ადგილს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილი, მსოფლიო რეკორდსმენი და ჩემპიონი, XV ოლიმპიური თამაშებში გამარჯვებული რაფიელ ჩიმიშკიანი.

ამ სპორტსმენებით როდო ამოიწურება საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატთა სია საქართველოდან. მომავალი შეჯიბრებისათვის გაცხოველებით ემზადებიან მძლეოსნები — ნინო ლუშაძე, ნადეჟდა დგალიშვილი, ლევან სანაძე, რობერტ შავლაყაძე, ტანვარჯიშის ოსტატები — გალინა და რევაზ შარაპიძეები, მზია ჯულილი, სერგო ჯაიანი, მსროლელები — ბორის ანტონოვი და ზურაბ მაჩხანელი, მოცურავე რადა არკადიევა, ხუთციდელები — ანატოლი ბეცკოვი და რევაზ მანჯავიძე...

...გეოგრაფიის თვალსაზრისით, გამოთქმა — „გზა თბილისიდან მეღბურნი ლუქსემბურგისკენ“ აბსურდულ მოეჩვენება კაცს. მაგრამ ეს სწორედ ასეა სპორტული თვალსაზრისით: მხოლოდ ლუქსემბურგში, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მოპოვებული გამარჯვება იქნება მომავალი XVI ოლიმპიური თამაშების საგზური.

მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა საქართველოს ფიჭულტურელთა რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელმაც კიდევ მრავალი ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა. ფოტოზე: სპარტაკიადის მონაწილენი თბილისის „დინამოს“ სტადიონზე.





ნიუგა პენსიის სიყვარული

მარსიდან გამოგზავნილი დებეშები. გავიდა თვეები. მარსიდან რადიოსიგნალები ვერ მიიღო მცურავმა რადიოსადგურმა. ხელცარიელი დაუბრუნდა ექსპედიცია მშობლიურ ნაპირებს. ზარი შეიცვალეს ნიჭამხარმა უყურადღებოდ, კალამი გადაღეს, გატაცებით რომ აღწერდნენ მარსელებთან რადიოსატელეფონო საუბარს...

რატომ ატყდა ასეთი ხმაური მარსელებზე? რატომ მიიტაცებინა მარსიდან გამოგზავნილი რადიოსიგნალები მიიჩინეს რადიოტელეფონის საიდუმლო „ჩურჩული“ თერაპი? ამის მიზეზი ასტრონომების ერთი საინტერესო აღმოჩენა იყო.

1877 წელს იტალიელმა ასტრონომმა სკიპარელიმ ტელესკოპით დაკვირვების დროს მარსზე რაღაც შავი ფერის ზოლები — ხაზები შეამჩნია. ისინი ახასიათებდა კილომეტრებზე იყვნენ გაჭიმული, თანაც საოცრად სწორი მიმართულებები ჰქონდათ, სრულებით არ წაგავდნენ მდინარეების კალაპოტს. მათი შედარება მხოლოდ სარწყავი არხების გიგანტურ სისტემასთან შეიძლება. და სკიპარელიმ თავის აღმოჩენილ ხაზებს „არხები“ უწოდა.

თუ მარსზე არხები არსებობენ, იქ მცხოვრებლებიც იქნებიან, რომლებსაც მაღალი ტექნიკა აქვთ, სხვანაირად ვერ შესძლებდნენ გრანდიოზული ნაგებობების აგებას, ალბათ — სწორედ ისინი გზავნიან ჩვენსკენ რადიოსიგნალებსო, — შეიქმნა ზარი საზოგადოებაში. მაგრამ ექსპედიციამ იმედი გაუცრუა ყველას, ვისაც გულით სურდა „მეზობლებთან“ კავშირის დამყარება.

„არხები“?

მარსზე არხების არსებობის მოწინააღმდეგენი უკვე გაბედულად უმტკიცებდნენ ასტრონომებს: — თქვენი „არხები“ მხოლოდ ოპტიკური ილუზიაა და მეტი არაფერი. აბა, კარგად დააკვირდით. იქ მხოლოდ ცალკეული ლაქებია, რომლებიც თვალს ერთთან ხაზებად ეჩვენება. ხელოვნურ მორწყავი ლაპარაკი შედგებოდა!

დღესანს გაგრძელდა ცხარე დისკუსია. ასტრონომები თანდათან სიმობდნენ პოზიციებს...

უკანასკნელ წლებში გადაღებული ფოტოსურათები ერთგვარ წარმოდგენას იძლევიან „არხებზე“. ასინი ნამდვილად მოსდებიან გიგანტურ ქსელად მარსის ზედაპირს. უკვე ცნობილია 1000-ზე მეტი „არხი“, რომელთაგან ნახევარზე მეტი ფოტოსურათებზეა აღბეჭდილი. „არხების“ უმეტესობის სიგანე 20-60 კილომეტრს აღწევს.

ხომ არ წარმოიშვა „არხები“ ბუნებრივი ვულკანური ძალებით? ძნელად დასაჯერებელია, რომ

მთელ პლანეტაზე მომხდარიყოს შედაპირის სტანდარტული ცვალებადობა. გარდა ამისა, თუ „არხებს“ ღრმა ბზარებად წარმოვიდგინოთ, ისინი დროის ყოველ პერიოდში უნდა მოჩანდნენ, მაგრამ წამოხრებით „არხების“ უმეტესობა შეუმჩნეველი ხდება. ამგვარად, „არხები“ შეიძლება შედაპირული წარმოშობისა იყვნენ.

გამორჩევა, აგრეთვე, რომ „არხების“ ახლო მდებარე ადგილები პერიოდულად მწვანე ფერს იღებს. რატომ არიან „არხის“ გასწვრივ განლაგებული ადგილები გამწვანებული?

ამაზე პასუხს იძლევა ჰიპოთეზა „არხების“ ხელოვნურად წარმოშობის შესახებ. ჰიპოთეზის მიხედვით მარსელები წყალს აგროვებენ ყინულების დნობისას და შემდეგ გრანდიოზულ სარწყავ სისტემაში უშვებენ. ამიტომ არის, რომ ჩვენ ვხედავთ მწვანე მცენარეებით დაფარულ სარწყავ მიწებს. სწორია თუ არა ეს ჰიპოთეზა, მომავალი გვიჩვენებს. იქნებ, „არხების“ ხელოვნურად წარმოშობა არ არის ფანტასტიკური?

არხების მოწინააღმდეგენი ამბობენ: რატომ არ მოვიჩინდნენ მარსელები დედამიწაზე, თუ მათ ასეთი უზარმაზარი არხების გაყვანა შეუძლიათო. განა ეგვიპტეში, ჩინეთში, ხორციელა და ახურეთში ათასი წლების წინათ ხალხმა არ შექმნა განვითარებული და სრულყოფილი სარწყავი სისტემები? ისინი საპლანეტათაშორისი მოგზაურობაზე არც კი ოცნებობდნენ. რატომ დედამიწიდან არ მივიჩინავენ ადამიანები მარსზე?

შორს, ძალიან შორს არის დედამიწიდან მარსი. 80-90 მილიონ კილომეტრს უდრის მათ შორის მანძილი. მაგრამ ყოველ 15, ან 17 წელში მარსი დედამიწასთან „პაემანზე“ მოდის. ამ დროს მათ შორის მანძილი „მხოლოდ“ 56 მილიონი კილომეტრია. ეს დაკვირვებებისათვის ძალზე ხელსაყრელი მომენტია. სწორედ ამ პერიოდში აღმოჩინა სკიპარელიმ მარსზე „არხები“. ასეთი დაახლოება უკანასკნელად 1939 წელს იყო, უახლოესი პაემანი კი 1956 წლის 10 სექტემბრისათვის „არის დანიშნული“. მარსის დაახლოებას დედამიწასთან ყოველთვის ახალი აღმოჩენები მოაქვს კაცობრიობისათვის. რამდენიმე წნის შემდეგ, როცა უმარავი სრულყოფილი ხელსაწყო წითელი პლანეტისკენ მომართება, საბჭოთა ასტრონომებმა შესაძლოა, ახალი სიტყვა სთქვან მარსის საიდუმლოების კვლევაში და „არხებს“ წინწყლები ჩამოაშორონ.

ა. კარბელაშვილი.

უჩვეულო ბებრების სამყაროში

ფართო, ნათელ ლაბორატორიაში შევედით, სადაც გრძელ მაგიდებზე ხელსაწყოები ელაგა და თეთრხალათებიანი თანამშრომლები თვალყურს ადევნებდნენ ელექტროსაზომ მოწყობილობებს.

— აი, ჩვენი ლაბორატორია, — თქვა ინჟინერმა — მე გაგიმარტავთ ყველაფერს, რაც აქ ხდება, ლაბორატორიაში ჩატარებული ზოგიერთი ცდა ახალია. — შეიძლება პაპიროსის მოწევა? — შევეკითხეთ ინჟინერს და ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოვიღეთ.

ინჟინერი ერთ წუთს დაფიქრდა, ეტყობოდა უარის თქმა ეუხერხულებოდა. — მოსწიეთ.

— ასანთი დამიწვევია, მერე მოვწევ, — განგებ ვთქვი, რაკი მივხვდი, რომ პაპიროსის მოწევა აქ აკრძალული იყო.

ინჟინერს გაეღიმა.

— ძალიან კარგია, რომ ასანთი დავიწვევიათ. სწორედ აქედან დავიწყოთ. გერ ვერ მივხვდი, რის თქმა უნდოდა ინჟინერს.

— პაპიროსი ამ ხელსაწყოს თავზე დაიჭირეთ, მას უმაღლე ცეცხლი მოეკრება, — და მრავალ პატარა ყუთზე მიგვიტოვა, რომელსაც ვერტიკალური წამოწარმადი ჰქონდა გაკეთებული, თან ხელსაწყოს გამშვებ თეთრ ღილს დააწვა.

— მაგრამ... ჰაერში პაპიროსს ცეცხლი როგორ მოეკიდება!

— ახლავე ნახავთ.

ხელსაწყოს თავზე პაპიროსი ისე დავიჭირე, როგორც ინჟინერმა მითხრა. თუთუნისა კვამლი ავარდა. პაპიროსი მოვწიე და გავაბოღე.

— საკვირველია!

— პაპიროსს ცეცხლი ბებრებმა გაუჩინა. ლაბორატორიაში დადგმული ხელსაწყოები სხვადასხვა სიმძლავრისა და სისწილის ულტრაბებრებს გამოიუშვებენ. თქვენ ახლა პაპიროსის კვამლს უშვებთ ოთახში. იცით, როგორ მოქმედებენ ულტრაბებრები კვამლზე? — შეგვეკითხა ინჟინერი და პაპიროსს კვამლის მიმართულებით ულტრაბებრების ხელსაწყო მიმართა.

ნელ-ნელა წევით მიმავალი გაფანტული თეთრი კვამლი მოულოდნელად შეირბა, ალაგ-ალაგ დაქუცმაცდა, დამსხვილდა და კვამლის მქონდელ შეკრული პატარა ნაჭრები იატაკისკენ დაეშვა. გავკვირდით.

— ულტრაბებრების შეხებით კვამლის ნაწილაკები დამსხვილდა, ამიტომ თავიანთი სიმძიმის გამო დაქუცმაცდა, დამსხვილდა და კვამლის მქონდელ შეკრული პატარა ნაჭრები იატაკისკენ დაეშვა. გავკვირდით.

— ულტრაბებრების შეხებით კვამლის ნაწილაკები დამსხვილდა, ამიტომ თავიანთი სიმძიმის გამო დაქუცმაცდა, დამსხვილდა და კვამლის მქონდელ შეკრული პატარა ნაჭრები იატაკისკენ დაეშვა. გავკვირდით.

— განა არ შეიძლება ასეთივე ხერხით ნისლი და ბურუსი გაიფანტოს? — რაზაკვირებელია.

— ისე, რომ წამთრის ან შემოდგომის დღეებში ლენინგრადის, ან ლონდონის ზოგიერთ ქუჩაში შეიძლება ნისლი გაიფანტოს.

— ეს, ალბათ, მომავლის ამბავია, მაგრამ პრინციპულად სახსებით შესაძლებელია. — გვიპასუხა ინჟინერმა და პატარა აქვარიუმთან მიგვიყვანა, რომელშიც მკვირცხლად დასრიალებდნენ ოქროსფერი თევზები. — ულტრაბებრები ცოცხალ ორგანიზმზეც მოქმედებენ.

და მან ულტრაბებრით ხელსაწყო თევზებისკენ მიმართა.

ცოტა წნის შემდეგ, ოქროსფერმა თევზებმა თანდათან შეწყვიტეს მოძრაობა, თითქმის ძილს მიეცნენ. ზოგიერთმა წონასწორობაც დაკარგა და წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა.

— დაიხიციან?

— არა, ახლა გამოცოცხლებიან, — და ინჟინერმა შეწყვიტა თევზებისკენ ბებრების გაშვება.

თითქმის გამოიღვიძეს, ისევ ამოძრავდნენ თევზები. მხოლოდ ერთი მათგანი დარჩა უძრავად. ის ულტრაბებრების „მსხვერპლი“ გახდა.

— ზედმეტი დოზა მოგვივა. ბებრებმა ამ თევზს მთლიანად დაუწინაა შეინაგანი ორგანოები. ეს გასაგებია. განა ცნობილი არ არის, რომ როცა რაიმე სხეული ცვალებად ძალის შემოქმედებას განიცდის გარკვეული დროის განმავლობაში, იღლებს, შეინაგანი ნაწილაკების კავშირი ირღვევა და სხეული დაშლას განიცდის? ულტრაბებრები კი სწორედ ასე მოქმედებენ ორგანიზმებზე. ამიტომ იყო, მოსკოვში, ვ. დ. პამფილოვის სახელობის კომუნალური მეურნეობის აკადემიის მუშაებმა ულტრაბებრებით წყალში ბაქტერიებიც კი დახოცეს. შესაძლებელია, მალე წყლის გაწმენდის ამ ხერხმა პრაქტიკული გამოყენება პპოვოს.

ბებრი რამ ვნახეთ კიდეც ლაბორატორიაში. დავათვალიერეთ როგორ რუცხავდნენ ბებრები სარცხს, პოულობდნენ დეფექტებს ლითონის დეტალებში, გავსინჯეთ ხელსაწყო, რომლითაც შეიძლება უსისალოდ გზა გაიკვლიოს. ჩვენ თვალწინ გავხვრტა ბებრებმა ლითონის თხელი ფირფიტა.

— დიდად ულტრაბებრების მნიშვნელობა დღეს, მაგრამ უფრო საინტერესოა მათი მომავალი, — გვითხრა გამოშვებებისას ინჟინერმა, თან სიყვარულით გადაავლო თვალი ლაბორატორიაში დადგმულ აპარატურას — ულტრაბებრითი ტალღების „ელექტროსადგურებს“.


მეცნებოდა ღრმა რწმენით მალე თვითული ჩვენგანი ახლოს გაიცინობს ამ შესანიშნავ ბებრებს, რადგან ულტრაბებრა უფრო მეტად დაეხმარება ადამიანს ყოველდღიურ საქმიანობაში, გახდება დიასახლისისა, თუ ინჟინრის დიდი მეგობარი.

ა. ციურიძე

შენიშნავი რუსი მოქალაქე



(გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო)



ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ფართო მასებში უდიდესი პოპულარობით და პატივისცემით სარგებლობს შესანიშნავი რუსი მოქალაქის ალექსანდრე ალიოხინის სახელი.

ჭადრაკის ალიოხინი 7 წლის ასაკში გაეცნო. პირველ ხანებში მისი სპორტული მოღვაწეობა ოჯახის ვიწრო წრით განისაზღვრებოდა, მაგრამ მალე იგი მიწერ-მოწერით თამაშში ჩაება, ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი თეორიის შესწავლაში, სხვადასხვა პოზიციების ანალიზის ტექნიკაზე დაუფლებამში.

ბავშვობიდანვე ალიოხინი ვარიანტების გათვლას ხშირად უდავოდ აწარმოებდა, რამაც გასათვარი საჭადრაკო მახსოვრობა და „ბრმაღ“ თამაშის განსაკუთრებული უნარი განუვითარა. ალიოხინი შემდეგში „ბრმაღ“ თამაშის შეუდარებელი ოსტატი იყო.

1909 წელს პეტერბურგში გამართულ, საკმაოდ ძლიერი შემადგენლობის მოჭადრაკე — მოყვარულთა შეჯიბრებაში 17 წლის ალიოხინმა პირველი ჯილდო და ოსტატის წოდება მოიპოვა, რაც მან დამაჯერებლად დაიმტკიცა 1911 წელს კარლსბადის საერთაშორისო ტურნირზე. ამ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ალიოხინზე ხშირად იწერებოდა სტატიები, როგორც ფრიალ ნიჭიერ რუს მოჭადრაკეზე, და მას „შორს წასვლას“ უწინასწარმეტყველებდნენ. ალიოხინმა ბევრად გადაჭარბა ამ „წინასწარმეტყველთა“ პროგნოზებს და „უფრო შორს“ წავიდა.

მსოფლიო და სამოქალაქო ომების დამთავრების შემდეგ, 1920 წელს მიუწყო საბჭოთა ქვეყნის პირველი საჭადრაკო ჩემპიონატი — ოლიმპიადა, რომელშიაც უკვე დიდოსტატმა ალიოხინმა პირველი ადგილი და რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

1921 წლიდან ალიოხინი სულ უფრო და უფრო ამრავლებს გამარჯვებათა რიცხვს. ვანსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წარმატება ბადენ-ბადენის საერთაშორისო ტურნირზე 1925 წელს, რომლის შემდეგაც არაგის ეპარებოდა ეჭვი, რომ ალიოხინი მსოფლიო ჩემპიონობის უახლოესი კანდიდატი იყო.

22 წლის ალიოხინი გულმოდგინე მზადებას შეუდგა მსოფლიოში უძლიერესი მოჭადრაკის წოდების მოსაპოვებლად. ამ მხრავ საკულისხმოა დამსახურებული ოსტატის პ. რომანოვსკის მოგონება. 1914 წელს ვერმანის საჭადრაკო კონგრესმა (კაფშირმა) მანჭიკის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად სხვა გამოჩენილ მოჭადრაკეებთან ერთად, ალიოხინსაც გაუგზავნა მიწვევა. ალიოხინი კარგა ხანს აგვიანებდა პასუხს. ტურნირის დაწყებამდე სამი დღით ადრე შეჯიბრების ორგანიზატორებს მან შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „გთხოვთ მაცნობოთ, მონაწილეობას თუ არა შეჯიბრებაში კაპბლანკა“. შეჯიბრების ორგანიზატორთა ვარაუდი, რომ ეს დეპეშა გამოწვეული იყო ალიოხინის სურვილით შებრძოლებოდა კაპბლანკს, არ გამართლდა. პირიქით, მიიღო თუ არა უარყოფითი პასუხი, ალიოხინი სიამოვნებით ჩაება ტურნირში.

როდესაც რომანოვსკი შეეკითხა ალიოხინს, რატომ არ სურდა მას კაპბლანკასთან შეხვედრა, უკანასკნელის პასუხი ასეთი იყო: საქმე ის არის, რომ უახლოეს წლებში ჩემთვის აუცილებელია კაპბლანკასთან მსოფლიო პირველობაზე ბრძოლისათვის მზადება. ამისათვის კი საჭიროა საერთაშორისო ტურნირებში მხოლოდ პირველი ადგილების მოპოვება. ახლა მე ვერ კიდევ სუსტი ვარ კაპბლანკაზე და შეჯიბრებაში მისი მონაწილეობის შემთხვევაში იძულებული ვიქნებოდი მხოლოდ მეორე ადგილით დავკმაყოფილებულიყავი, რაც სრულებითაც არ შედის ჩემს ანჯარისში.

— მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი ხომ ლასკერია? — კითხება რომანოვსკი.

— ამას არა აქვს მნიშვნელობა. ეს წოდება მალე კაპბლანკას ხელში გადავა — უპასუხა ალიოხინმა. მართლაც, 1921 წელს მსოფლიოში უძლიერესი მოჭადრაკის ტიტული კაპბლანკას ხელში გადავიდა. ახალ ჩემპიონს მალე გაუგზავნა გამოწვევა ალიოხინმა, მაგრამ მას რიგში ჩადგომა მოუხდა — ა. რუბინშტიინმა და ფ. მარშალმა დაასწრეს, ამას გარდა, ლასკერსაც ჰქონდა უფლება რეგულარულ მოთხოვნა ახალი ჩემპიონისათვის.

გადაიდა წლები. ყოველი ახალი შეჯიბრება ალიოხინის მზარდ ძალასა და შემოქმედებას ადასტურებდა. ამ შეჯიბრებებმა ერთდროულად ისიც ცხადვს, რომ რუბინშტიინი და მარშალი უკვე არ შეიძ-

ლებოდა ჩათვლილები მსოფლიო ჩემპიონის ღირსეულ მტოქედ. რაც შეეხება ლასკერს, მან უარი განაცხადა თავის უფლებაზე რეგულარულ გამოწვევა კაპბლანკა და გზა ახალგაზრდებს დაუთმო. ყოველივე ამან მტკივე საფუძელი მოამზადა კაპბლანკა-ალიოხინის მატჩისათვის, რასაც ასე მოუთმენლად მივლოდა საჭადრაკო მსოფლიო.

ეს ტიტლაური ბრძოლა დაიწყო 1927 წელს, ბუენოს-აირსში. ალიოხინის მრავალი წლის გულმოდგინე მზადებას ტყუილა როდი ჩაუვლია. ჭადრაკის ისტორიაში არნახულ ორთა ბრძოლაში მან დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია. თავის მოიმედების შედეგად კაპბლანკამ, არ მოისურვა რა შეჯიბრების პირობებში გაეყოფილიყნებინა უფლება სარეგულარულ შეხვედრაზე, სამუდამოდ დაკარგა წაგებული წოდების დაბრუნების შესაძლებლობა.

მსოფლიო ჩემპიონად გახდომის შემდეგ ალიოხინისათვის აუცილებელი იყო ამ წოდების განმტკიცება, ეს მან წარმატებით შეძლო 1929 წელს, ე. ბოგოლიუბოვთან მატჩში, სანრემოს 1930 წლისა და ბლედის 1931 წლის საერთაშორისო ტურნირებზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებები.

1935 წელს ყველასათვის მოულოდნელად ალიოხინმა, განიცადა რა მარცხი პოლანდელი მ. იევსთან ორთა ბრძოლაში, დაკარგა ხანგრძლივი შრომითა და დიდი ენერგიით მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონის წოდება.

მაგრამ ალიოხინმა მალე ისევ იპოვა თავისი თავი, შეძლო საკუთარი ნების მობილიზება და უდიდესი პოსამზადებელი მუშაობის ჩატარება სარეგულარულ შეხვედრისათვის, რაც ეიევსთან წინა შეჯიბრების პირობებით იყო გათვალისწინებული.

1937 წელს „დამარხული“ მსოფლიო ჩემპიონი ბრწყინვალე სტილით ამარცხებს მ. ეიევს და ისტორიაში პირველად იბრუნებს მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის ტიტულს.

ამ დროიდან ისევ იწყება ალიოხინის მჩქეფარე შემოქმედებითი აქტიულობა.

მაგრამ, საჭადრაკო ასპარეზობაზე მოპოვებული ბრწყინვალე წარმატებების მიუხედავად, ალიოხინის ცხოვრება უცხო მხარეში, ცარიელი და უშინაარსო იყო. 1921 წელს ალიოხინმა პოლიტიკური უპირიციობა გამოიჩინა და თვითნებურად მიატოვა სამშობლო, რის შედეგადაც იგი უცხო-

აღამიანებით გარსემორტყმული უმეგობროდ დარჩა.

ალიოხინი გვიან, მაგრამ მაინც მიხვდა თავის მძიმე შეცდომას, რაც მან 1921 წელს ჩაადინა. საბჭოთა კავშირის მტრები ემიგრანტთა წრეებთან საზღვარგარეთ ხშირად ცდილობდნენ ალიოხინის გადაბირებას თავის მხარეზე, მის ჩათრევას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ ბნელ საქმიანობაში და იმის დასამტკიცებლად, რომ ალიოხინი მათი მომხრეა, ხშირად ათავსებდნენ ვაჭურებში ანტისაბჭოთა შინაარსის სტატიებს ალიოხინის ხელმოწერით.

როგორც კი ალიოხინმა დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის წოდება, იგი მამხინვე შეუდგა ზომების მიღებას საბჭოთა კავშირში დასაბრუნებლად. სამისო შესაძლებლობად მან მიიჩნია მატჩი მ. ბოტვინიკთან მსოფლიო პირველობაზე და 1938 წელს დაიწყო მოლაპარაკება ამ საკითხზე.

სამწუხაროდ, ალიოხინს ეს გეგმა და იმედი განუხორციელებელი დარჩა. ამას ხელი შეუშალა მეორე მსოფლიო ომმა.

ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წლიდან დაიწყო საერთაშორისო ტურნირებისა და მატჩების გათამაშება, მაგრამ ახლა ალიოხინი მისი სიცოცხლის ყველაზე უფრო უსაიმეფო და მძიმე მომენტში აღმოჩენდა.

1945 წლის დეკემბერში ლონდონში მიუწყო მცირე მასშტაბის საერთაშორისო ტურნირი. მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყო ალიოხინიც, მაგრამ იგი არ დაუშვეს შეჯიბრებაზე ამერიკის შეერთებული შტატების საჭადრაკო ფედერაციის ულტიმატუმის შედეგად.

ლონდონის თათბირის გადაწყვეტილება მძიმე დარტყმა შეიქნა ალიოხინისათვის. მან სრული სიმძაფრით იგრძნო მარტობა, უმეგობრობა. იგი მოწყდა საჭადრაკო ცხოვრებას, ყველამ იბრუნა პ. მისჯან. ახლოვდებოდა გასაჭირი, არსიდან ჩასხნა, მხარის დაჭერა.

და უცერად გამოჩნდა დახმარება, გამოჩნდა იქიდან, სიდანაც ყველაზე ნაკლებად ელოდებოდას ალიოხინი. მოსკოვიდან, იმ ქალაქიდან, რომ შეეც იგი განუწყვეტილ ოცნებობდა უკანასკნელ ხანებში, მოვიდა წინააღმდეგ მ. ბოტვინიკთან მსოფლიო პირველობაზე შეხვედრის შესახებ. ეს ალიოხინის ხელახალი აღიარება, მისი შემოქმედი ცხოვრების გაგრძელება, საერთაშორისო საჩადრაკო ასპარეზზე ხელახალი გამოსვლების დასაწყისი, შესაძლებელია, სამშობლოში დაბრუნების ომის განხორციელება იყო!

ჩემური ვაჭეთი იმ პერიოდში წერდა: „რუსე როგორც მზრუნველმა დედამ, ხელი გაუწოდა თგზახუნულ შვილს — ალიოხინს — ყველაზე უმძიმე მომენტში“.

მაგრამ ისევე, როგორც 1939 წელს, ამავერეკ განხორციელდა ალიოხინის ოცნება: 1946 წ. 24 მარტს. დამით პორტუგალიის ერთ-ერთ პაქალაქის (ესტორიალი) სასტუმროს ვიწრო ოთხილარბიესა და სრულ მარტობაში გარდაიცვალა სამშობლოს მიუწყვეტილი დიდი რუსი მოჭადრაკალიოხინის წინათ ხშირად უთქვამს: მინდა მოე მსოფლიო ჩემპიონად. მისი ეს სურვილი ზუსტ მაგრამ სამწუხაროდ, ნაადრევად განხორციელდა.

ა. ფირცხალაშ

შურს. „დროსი“ № 4-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი.

- ვერტიკალური:
- 1. ნოტა. 3. გოგოლი. 4. სტელი. 6. ფაზა. 8. სკარხი. 9. თახი. 11. ერლო. 12. ახი. 16. რიშეკა. 17. ხანჯალი. 18. ბაზალი. 19. ინერცია. 20. გოგილი. 21. დიქსონი. 23. არმია. 25. ეთერი. 26. ჩაი. 27. ზუა. 32. აქსიომა. 36. ალბა. 37. კამო. 38. ხი. 40. იორი. 41. კოლხი. 42. ისინდი. 47. ღირა.

- ჰორიზონტალური:
- 2. შოუ. 5. მოცარტი. 7. როზხონი. 10. კალე. 12. აბა. 13. ისანი. 14. აილა. 15. ოსპი. 22. ტირადა. 24. ნანსენი. 25. ერლო. 28. ხაღე. 29. ჯეიმარაი. 30. კროკეტი. 31. საზი. 33. ბიბლია. 34. ატაქსია. 35. იაღონი. 38. სილა. 39. ბახი. 41. კროლი. 43. ოლირა. 44. ოქრო. 45. ბოკაიო. 46. აკოლადა. 48. იი.

რედაქტორი გრ. აბაშიძე სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გვიგინიშვილი, ნომერი გააფორმა ზ. ლევიანი სპ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლოზა დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ნ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. | ფასი 3 მან. | გარეკანი და ჩანართი გვერდებს ტელეფონები: რედაქტორის — 3-52-69, პ/მგ. მდივანის — 3-95-38. რედაქციაში შემოსული მასალები ატვირთვას არ უბრუნდება. დაბეჭდილია ფოტოციკლოგრაფიაზე

სელმოწერილია დასაბეჭდოდ 15/VI 56 წ. გამოცე. № 57. ქალ. ზომა 70x108/გ. 1,5 ქალ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. ტირაჟი — 15.000. შეკვეთის № 279 უე 05202.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке)



ისპორიული ჭადარი ქუთაისში



ნახატი ალ. ბანძელაიძისა

მ. შ. 1156

ქსოვარი დროიდან იღვანო აქ. გუმბათი რიონის პირას, უღრან ტყეში, — ყველაზე მაღალი, ტოტეზაშლილი. ჯერ თანამომენი შემოვიცალენ, შემდეგ ქალაქი გარს შემოადგა. ის კი დარჩა იქვე, ახოვანი, განმარტოებული, ყველაზე ხნიერი.

უნახავს და ახსოვს წარსულის დიდება და უამთა სიხვე: იგი მოესწრო ჩვენს საბელოვან გმირულ დღეებს. მის ჩრდილქვე ტოტეზქვეშ, ოქროს ჩარდახის წინ, გამარჯვებას ზეიმობდა ზრესილისა და რუხის ბრძოლებიდან დაბრუნებული სოლომონ მეფის ლაშქარი, მას სმენია თურქთა ზარბაზნების გულშემზარავი გრიალი, როცა ანგრევდნენ ზაგრატის ტაძრის დიდებულ კედლებს. სპობდნენ უქიშერიონის მიუვალ ციხე-სიმაგრეს.


ურამა აკაკი აქედან დაპყრებდა რიონის აქაფებულ ჩქერებს და აგონდ-

ბოდა ქაჯთა ტყვეობაში მყოფი ნესტანი, კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამიჩანი. აქ, ზავსეფი შაიკოვსკი პირს იგხებდა რიონის სპეტაკი კენჭებით, დემონსონს ზაძვდა და ოცნებობდა ამ ქადრის ტოტეზივით გოლიათურად მხრების გაშლას...

დროს თავისი გააქვს. ქარსა და ზორშაკ ცაღწვდილი ტოტეზი დაუღწვია მისთვის. დაბერებულა ქადარი. მაგრამ სიბერე კი ტკბილი აქვს: სიამაუთი გადაპყრებს ახლა იგი ახალ ქუთაისს, თვალს უსწორებს რიონის ელვარე კაშხალს, უურს უგდებს თეთრ ხიდზე მოგრიალე ქუთათურ ავტომანქანათა გუგუნს და გულს უხალისებს ბაღში გამოფენილ პიონერთა ფივალ-ხივილი.

ამბობენ, მშებათ. ჯერ არა, — ფეხმაგარია ქადართუტყვი!

სქ. 2/313.



გარეკანის პირველ გვერდზე: ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში.
ფერადი ფოტო მ. ტრახმანისა.

მწვანე კონცხზე
ფერადი ფოტო თ. არჩვაძისა.